თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

თბილისის მეხუთე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია

# ინტერდისციპლინური პერსპექტივები მუსიკოლოგიაში

4-5 მაისი MAY 2023

# INTERDISCIPLINARY PERSPECTIVES IN MUSICOLOGY

TBILISI FIFTH INTERNATIONAL MUSICOLOGICAL CONFERENCE

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE

თბილისის მეხუთე საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენცია

# ინტერდისციპლინური პერსპექტივები მუსიკოლოგიაში

4 - 5 მაისი MAY 2023

# INTERDISCIPLINARY PERSPECTIVES IN MUSICOLOGY

TBILISI FIFTH INTERNATIONAL MUSICOLOGICAL CONFERENCE

კონფერენციის ორგანიზატორია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ORGANIZER OF THE CONFERENCE IS VANO SARAJISHVILI TBILISI STATE CONSERVATOIRE



*მოხარული ვარ, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით მივესალმო თბილისის მე-5 საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს.*

*საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ წლევანდელი კონფერენცია ინტერდისციპლინური მიმართულებით განსაკუთრებული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც არა მხოლოდ თანამედროვე კვლევის მოთხოვნებს პასუხობს, არამედ კიდევ უფრო ზრდის მის მიმართ ინტერესს საერთაშორისო მასშტაბით.*

*კონფერენციაში აქტიური ჩართულობისთვის განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო კონფერენციის საპატიო მომხსენებლები, რომლებიც დარგის თვალსაჩინო და მსოფლიოო მასშტაბით გამორჩეულ მეცნიერებს წარმოადგენენ; წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა მინდა ვუსურვო ყველა მონაწილეს.*

*ბოლოს, თბილისის მე-5 საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ჩატარებისათვის გაწეული შრომისათვის მსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საორგანიზაციო ჯგუფს, ასევე, ყველა მხარდამჭერს აქტიური ჩართულობის, პროფესიონალიზმისა და გულშემატკივრობისათვის.*

**ნანა შარიქაძე**
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

*On behalf of the Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire, it is a great pleasure for me to greet the participants, guests and organizers of the "The 5th Tbilisi International Musicological Conference".*

*I would also like to take this opportunity to wish all participants a very successful and fruitful Conference. It is particularly noteworthy that this year's conference is characterized by a special variety in the interdisciplinary direction, which not only meets the requirements of modern research standards, but also increases the interest to our conference worldwide.*

*For their great involvement and activity in the conference, I would like to mention the foreign participants – prominent and outstanding scientists of the field of Musicology – of the conference with deep gratitude.*

*Finally, for the work done for the "The 5th Tbilisi International Musicological Conference", I would like to express special thanks to the organizing group and participants, as well as to all the supporters for their active involvement, professionalism and enthusiasm.*

**Nana Sharikadze**
Rector of Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire



თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 106 წლისაა. თბილისის კონსერვატორია პირველი უმაღლესი სასწავლებელია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. ოფიციალურად იგი 1917 წლის 1 მაისს გაიხსნა. 1924 წელს მას სახელმწიფო კონსერვატორიის სტატუსი მიენიჭა, 1947 წლიდან კი გამოჩენილი ქართველი მომღერლის – ვანო სარაჯიშვილის სახელს ატარებს. როგორც არქიტექტურული ძეგლი, კონსერვატორიის შენობა შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში.
წლების მანძილზე თბილისის კონსერვატორია იყო ევროპული ყაიდის ერთადერთი სამუსიკო სასწავლებელი კავკასიაში. მან ღირსეულად განვლო განვითარების საუკუნოვანი გზა და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და პროფესიონალთა თაობების აღზრდაში. თბილისის კონსერვატორიამ არა მარტო შეინარჩუნა მუსიკალური განათლების მდიდარი ტრადიციები, არამედ დაიმკვიდრა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი პროფესიული და აკადემიური სასწავლებლის სტატუსი XXI საუკუნეში. დღეს ის კონსერვატორიათა, მუსიკის აკადემიათა და მუსიკის უმაღლესი სკოლების ევროპული ასოციაციის – AEC-ს სრულუფლებიანი წევრია.
კონსერვატორია არა მარტო საგანმანათლებლო ინსტიტუტია, არამედ საკონცერტო ცხოვრების ცენტრი და, ამავე დროს, მუსიკალური ხელოვნების სამეცნიერო კვლევის კერაა. თბილისის კონსერვატორია ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახორციელებს მუსიკის ყველა მიმართულებით. აქ ეწყობა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები. იქმნება და გამოიცემა სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ბეჭდვითი გამომცემლობის პარალელურად ფუნქციონირებს ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი „ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია".

Today V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire was the first high school not only in Georgia, but in the Trans-Caucasus, it officially opened on 1 May, 1917. In 1924, it was granted the status of a state institution, and since 1947 it has been named after Vano Sarajishvili – a renowned Georgian opera singer. As an architectural monument the Conservatoire building is included among the monuments of cultural heritage.
Over the years Tbilisi State Conservatoire was the only European-style music school in the entire Transcaucasia. It suitably passed a century of development and played significant role in the development of Georgian musical culture and upbringing of generations of professionals. The Conservatoire today is proud of its century-old traditions of practice and scholarship, but has enthusiastically sought to adapt and grow, developing its programme of education to meet international norms, enabling the institution to play and ever-increasing role in a vibrant global community of artists. The Tbilisi Conservatoire is a member of the European Association of Conservatoires (the Association Européenne des Conservatoires – AEC).
Today the Conservatoire boasts significant international connections, and stands not only as a center for education, but also as a research institution – pushing the boundaries of musical practice. Here conferences and symposia of national and international scales are held; scientific and educational-methodological literature is prepared and published. Parallel to print publishing electronic scientific journal "GESJ: Musicology and Cultural Science" has functioned.

2015 წელს თსკ-ში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში პირველ თბილისის საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციას (თსმკ). კონცეფციის თანახმად, კონფერენცია ტარდება ორ წელიწადში ერთხელ და მისი თემატიკა ცვალებადია. იგი მიზნად ისახავს თანამედროვე მუსიკოლოგიის ზოგადი პრობლემატიკის განხილვას, იმ გზებისა და პერსპექტივების გამოკვეთას, რაც განაპირობებს მუსიკოლოგიის სამომავლო განვითარებას; გარდა ამისა, ქართული თანამედროვე მუსიკოლოგიური სკოლის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებას და განსხვავებული ტრადიციების მქონე სამეცნიერო სკოლებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.
თსკ-ს სამეცნიერო კვლევის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2018-2024) თანახმად, კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორისაა ინტერდისციპლინური კვლევები და შემოქმედებითი კვლევა. სწორედ აღნიშნულმა განსაზღვრა წლევანდელი საერთაშორისო მუსიკოლოგიური კონფერენციის ძირითადი თემა – „ინტერდისციპლინური პერსპექტივები მუსიკოლოგიაში", რომელიც ამ ფართო მიმართულების თითქმის ყველა შესაძლო საკითხს მოიცავს. წლევანდელ კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ არამარტო მუსიკისმცოდნეები, არამედ შემსრულებლები და კომპოზიტორები საქართველოდან, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან და აშშ-დან.

In 2015 Tbilisi International Musicological Conference was held at Tbilisi State Conservatoire for the first time in Georgia. According to the concept, the Conference is held biannually and boasts diverse themes. It aims to discuss general problems of contemporary musicology, to show the ways and perspectives which determine further development of musicology; as well as to position modern Georgian school of musicology on international arena, and to contribute to the interchange of information and sharing of experience between scientific schools with different traditions.
According to the TSC strategic development plan of research (2018-2024), priority directions include interdisciplinary researches and artistic research. This is exactly what defined main theme of current conference – "Interdisciplinary Perspectives in Musicology", which covers almost all possible issues of this broad direction. The participants of this year's conference are not only musicologists but also performers and composers from Georgia, different European countries and the USA.



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი საზეიმოდ გაიხსნა 1904 წლის 4 ნოემბერს (არქიტექტორი – ა. შიმკევიჩი, მხატვარ-დეკორატორი – ნოვიკი). დაარსების დღიდან კონსერვატორიის მცირე დარბაზი თბილისის საკონცერტო ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრად იქცა. დარბაზი გათვალისწინებულია როგორც კამერული, ასევე სოლო კონცერტებისათვის.

A festive opening of the Recital Hall took place on November 4, 1904 (the architect of the Hall was A. Shimkevich, with famous artist Novik as designer). Since the day of its foundation, the Recital Hall has become one of the most major concert venues in Tbilisi. Recitals and chamber music concerts are usually held here.





კონსერვატორიის დიდი დარბაზი 1938-1941 წლებში, კონსერვატორიის შენობის პირველი რეკონსტრუქციის დროს აიგო (არქიტექტორი შალვა თავაძე) და საზეიმოდ გაიხსნა 1942 წლის 28 იანვარს. დარბაზის ბოლო რეკონსტრუქცია განხორციელდა 2002-2006 წლებში. დიდი დარბაზი გათვლილია 500 ადგილზე, აქვს „Alexander Schuke Potsdam"-ის ფირმის ორგანი, ციფრული ხმის ჩამწერი სტუდია, გათვალისწინებულია როგორც კამერული, ისე სიმფონიური მუსიკის კონცერტებისთვის, ხოლო საორკესტრო ორმო საოპერო სტუდიის სპექტაკლების დადგმის საშუალებას იძლევა.
კონსერვატორიის დიდი დარბაზი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრია. აქ ტარდება ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები", კლასიკური და ხალხური მუსიკის კონცერტები, ჯაზის საღამოები, აგრეთვე, მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები, საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსები და სხვ.

THE GRAND HALL of the Conservatoire was built in 1938-1941 during the Conservatoire's first period reconstruction (architect Shalva Tavadze) and was officially opened on 28 January, 1942. In 2002-2006 last reconstruction of the building was carried out. The Grand Hall seats around 500 people; it boasts Alexander Schuke Potsdam organ, a digital sound-recording studio. The Hall provides facilities for chamber music and symphony concerts. Its stage and orchestra pit also allow for opera performances.
The Grand hall of the Conservatoire is an important cultural center of the country. It hosts an annual international New Year concerts, performances of classical, folk and jazz  music, as well as the Conservatoire's International Symposia on Polyphony, The Tbilisi International Piano Competition, the Georgian Competition of Musician-Performers and etc.

# 4 მაისი, ხუთშაბათი
MAY, THURSDAY

| | | |
|---|---|---|
| მონაწილეების რეგისტრაცია / Registration of participants | 9:30-10:00 | IV სართული / Floor |
| კონფერენციის გახსნა / Opening of the conference | 10:00-10:15 | აუდ./ aud. N421 |
| **ზდრავკო ბლაზეკოვიჩი**<br>ლექცია: „თეატრის ფარდებისა და მათი გაფორმებების როლი წარმოდგენის დასაწყისისას"<br>**Zdravko Blažeković**<br>Lecture: "Theater Curtains and Their Decorations: Their Role in Starting a Performance" | 10:15-11:15 | აუდ./ aud. N421 |
| შესვენება / Break | 11:15-11:30 | |
| სესია 1 / Session 1 | 11:30-13:30 | აუდ./ aud. N421 |
| სესია 2/ Session 2 | 11:30-13:30 | აუდ./ aud. N 425 |
| ყავის შესვენება / Coffee break | 13:30-13:45 | |
| სესია 3 / Session 3 | 13:45-16:15 | აუდ./ aud. N421 |
| სესია 4/ Session 4 | 13:45-16:15 | აუდ./ aud. N 425 |
| შესვენება / Break | 16:15-17:00 | |
| **ლოურენს კრამერი**<br>ლექცია: „ქრობადი საზღვრები: მუსიკა, თარგმანი, პარაფრაზი"<br>**Lawrence Kramer**<br>Lecture "Dissolving Boundaries: Music, Translation, Paraphrase" | 17:00-18:15 | აუდ./ aud. N421<br>ZOOM |

| | | |
|---|---|---|
| სესია 1 / Session 1 | 10:00-12:30 | აუდ./ aud. N421 |
| სესია 2/ Session 2 | 10:00-12:30 | აუდ./ aud. N 425 |
| ყავის შესვენება / Coffee break | 12:30-13:00 | |
| სესია 3 / Session 3 | 13:00 -15:30 | აუდ./ aud. N421 |
| სესია 4/ Session 4 | 13:00 -15:30 | აუდ./ aud. N 425 |
| შესვენება / Break | 15:30-16:30 | |
| სესია 5 / Session 5 | 16:30-18:00 | აუდ./ aud. N421 |
| სესია 6/ Session 6 | 16:30-18:30 | აუდ./ aud. N 425 |
| კონფერენციის დახურვა / Conference Closing | 18:30 | აუდ./ aud. N421 |
| ვახშამი / Dinner | 19:00 | |

მონაწილეები

PARTICIPANTS

**ავსტრია**
იური ჯანინი

**აშშ**
დინა ლენცნერი
სერგეი რიბაში

**ბრაზილია / აშშ**
დიოგო სალმერონ კარვალიო

**გაერთიანებული სამეფო / საქართველო**
ნანა კაცია

**ისრაელი**
ამირ ლეკახ ავივი

**იტალია**
დანიელა კასტალდო

**კანადა / ჩინეთი**
დევიდ ჩუ
პატრიკ ჰუანგი

**ლიეტუვა**
რიმა პოვილიონიენე

**ნიდერლანდები**
როლფ სტრავერი

**პოლონეთი**
შიმონ ბორისი
სილვია მაკომასკა
ტემინა კადი სულუმუნა

**საქართველო**
ნია ბარაბაძე
ქეთევან ბოლაშვილი
მაკა ვირსალაძე
ნატალია ზუმბაძე
რუსუდან თაყაიშვილი
ოთარ კაპანაძე
სოფიო მოდებაძე
მარიკა ნადარეიშვილი
თამარ ჟვანია
ნინო ჟვანია
ბაია ჟუჟუნაძე
მაია ტაბლიაშვილი
მარინა ქავთარაძე
გვანცა ღვინჯილია
თამარ ჩხეიძე
ეკა ჭაბაშვილი

**სერბეთი**
მილოშ ზატკალიკი

**უკრაინა**
მარინა ანტონოვა
ოლენა დიაჩკოვა
ინა ივანოვა
ოლექსანდრა კუზმინა
კატერინა პალაჩოვა
სვიტლანა პოსტოვოიტოვა
იევჰენია პროდოუსი
ვალენტინა რედია
ვოლოდიმირ რომანკო
მარგარიტა უშაკოვა
მაია რჟევსკა
ირინა ტუკოვა
სვიტლანა შჩელკანოვა
მარიანა ჩერნიავსკა
ასმათ ჭიბალაშვილი

**ფინეთი**
ჯონ ნელსონი

**AUSTRİA**
Juri Giannini

**BRAZİL / USA**
Diogo Salmeron Carvalho

**CANADA / CHİNA**
David Chu
Patrick Huang

**FİNLAND**
John Nelson

**GEORGİA**
Nia Barabadze
Ketevan Bolashvili
Eka Chabashvili
Tamar Chkheidze
Gvantsa Ghvinjilia
Nino Jvania
Otar Kapanadze
Marina Kavtaradze
Sophio Modebadze
Marika Nadareishvili
Maia Tabliashvili
Rusudan Takaishvili
Maka Virsaladze
Baia Zhuzhunadze
Tamar Zhvania
Natalia Zumbadze

**ISRAEL**
Amir Lekach Avivi

**ITALY**
Daniela Castaldo

**LİTHUANİA**
Rima Povilioniene

**THE NETHERLANDS**
Straver Rolf

**POLAND**
Szymon Borys
Sylwia Makomaska
Temina Cadi Sulumuna

**SERBİA**
Miloš Zatkalik

**UK / GEORGİA**
Nana Katsia

**UKRAİNE**
Maryna Antonova
Marianna Chernyavska
Asmati Chibalashvili
Olena Dyachkova
Inna Ivanova
Oleksandra Kuzmina
Kateryna Palachova
Svitlana Postovoytova
Yevheniia Prodous
Valentina Redya
Volodymyr Romanko
Maiia Rzhevska
Svitlana Shchelkanova
Iryna Tukova
Marharyta Ushakova

**USA**
Dina Lentsner
Sergey Rybas



## ზდრავკო ბლაჟეკოვიჩი
## Zdravko Blažeković

აშშ
USA

ზდრავკო ბლაზეკოვიჩი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის უმაღლეს კვლევით ცენტრში არსებული მუსიკის იკონოგრაფიის კვლევითი ცენტრის დირექტორი და RILM-ის (მუსიკალური ლიტერატურის საერთაშორისო რეპერტუარი) აღმასრულებელი რედაქტორია. 1998 წელს დააფუძნა მუსიკის იკონოგრაფიის ყოველწლიური ჟურნალი Music in Art, ხოლო 2016 წელს მონოგრაფიული სერიები Music in Visual Cultures (გამოსცემს ბელგიური Brepols) და დღემდე რჩება მათ რედაქტორად. არის ICTM საშემსრულებლო ხელოვნების იკონოგრაფიის კვლევითი ჯგუფის თავმჯდომარე. მისი კვლევითი არეალი მოიცავს XVIII-XIX საუკუნეების ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპულ მუსიკას, მუსიკის იკონოგრაფიას, ორგანოლოგიას, მუსიკის ისტორიოგრაფიას, ბერძნული და რომაული ორგანოლოგიის რეცეფციას თანამედროვე ეპოქაში, ევროპა-ჩინეთის მუსიკალურ კონტაქტებს ადრეულ XIX საუკუნემდე და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქების ასტროლოგიის მუსიკალურ სიმბოლიზმს.

### თეატრის ფარდებისა და მათი გაფორმებების როლი წარმოდგენის დასაწყისისას

გასულ საუკუნეებში, სცენის ფარდები თეატრის შიდა იკონოგრაფიული პროგრამის განუყოფელი ნაწილი იყო და ზოგად არქიტექტურულ კონცეფციას პასუხობდა. იკონოგრაფიული მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ ბაროკოსდროინდელი ფარდები ხშირად ასახავდნენ მითოლოგიურ სიუჟეტებს, ეხმაურებოდნენ თეატრის, როგორც instrumentum regni-ს იდეას. რომანტიკოსი არტისტებისთვის საჯარო ადგილებისთვის განკუთვნილ, დიდი მასშტაბის ფორმატებზე მუშაობა განსაკუთრებით მიმზიდველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურ მითოლოგიასთან და ისტორიული ან ეროვნული არტისტული დიდების რეპრეზენტაციებთან გადახლართული ალეგორიები მოდიდან არასოდეს გადასულა, რომანტიკოსი არტისტების მიერ შემქნილი და მაყურებლის წინაშე წარდგენილი სიუჟეტები წარმოადგენდნენ ნაციონალური მესიჯებით მდიდარ, სამეფო ოჯახისა და იმპერატორებისადმი პატივის მიმგებ, ან ადგილობრივ იდენტობაზე მინიშნების შემცველ კომპოზიციებს.

დრამატურგიის ახლებურმა გაგებამ, რომელმაც აღმოცენება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, აქცენტი გადაიტანა თეატრიდან, როგორც წარმომადგენლობითი არქიტექტურული სივრციდან, თეატრზე, როგორც როგორც დრამატული წარმოდგენების განსახორციელებელ სივრცეზე. ფარდები ამ პროცესშიც თამაშობდნენ როლს: შარლ გარნიემ პარიზის ოპერის უკიდურესად მოკაზმული სოვრცისთვის წარმოიდგინა მდიდრული, მაგრამ არა მოხატული ხავერდის სქელი, მძიმე ფარდა; რიჰარდ ვაგნერისთვის დრამატული წარმოდგენის ამოცანა მაყურებლის შინაგანი თვალის გააქტიურებაში მდგომარეობდა, ამიტომ, სცენის დაფარვა „ვაგნერისეული ფარდით“ (Wagner-Vorhang) მაყურებელს სწორედ ამგვარ, სიზმრისეულ მოდგომარეობაში შესვლაში უნდა დახმარებოდა.

ზოგი თანამედროვე თეატრი, შესაძლოა, ფარდას ბრენდინგისთვის იყენებდეს, მათზე საკუთარი ემბლემების დაბეჭდვით, ან თავად ფარდა გახდეს ემბლემატური, მის ფონზე უდიდესი საოპერო ვარსკვლავების ხშირად გამოჩენით. ფარდის მხატვრობის შექმნისას, იდეოლოგიური შეზღუდვებისგან არტისტებმა თავი სულ ცოტა ხნის წინ გაითავისუფლეს და ქმნიან ხელოვნებას ხელოვნებისათვის (მაგ. ვენის შტაატსოპერაში რკინის ფარდაზე გამოსახული Museum in Progress).

ZDRAVKO BLAŽEKOVIĆ is director of the Research Center for Music Iconography at the Graduate Center of the City University of New York and executive editor of Répertoire International de Littérature Musicale. In 1998 he founded an annual journal for music iconography Music in Art, and in 2016 a monograph series Music in Visual Cultures (Brepols), both of which he has been editing since. He is chair of the ICTM Study Group on Iconography of the Performing Arts. His research area concerns $18^{th}$- and $19^{th}$-century music of Southeast and Central Europe, music iconography, organology, historiography of music, reception of Greek and Roman organology in modern times, musical contacts between Europe and China before the early $19^{th}$ century, and music symbolism in medieval and renaissance astrology.

### Theater Curtains and Their Decorations: Their Role in Starting a Performance

In the past centuries stage curtains were an integral part of the interior iconographic program of the theater, resonating with the overall architectural concept. The iconographic evidence demonstrates that Baroque curtains were often showing subjects related to mythology, resonating with the idea of the theater as instrumentum regni. For Romantic artists working in large-scale formats intended for public places, curtains had a particular attraction. Although allegories intertwined with Classical mythology and representations of history or national artistic glory never faded out of fashion, the range of subjects they brought in front of the audiences later in the nineteenth century included compositions rich with nationalistic messages, tributes to the royals and emperors, and references to the local identity.

New understanding of the dramaturgy that started emerging in the second half of the nineteenth century shifted emphasize from theatre as a representative architectural space toward theater as a space for the dramatic representation. Curtain played a role in this process: Charles Garnier envisioned for otherwise immensely decorated Paris Opèra, a sumptuous but not painted velvet drapery; for Richard Wagner the dramatic performance had a task to activate an inner eye of spectators, and by concealing stage the “Wagner-Vorhang“ was supposed to help the audience to enter a dreamlike state. Some modern theaters may have used the curtain for their branding by imprinting on them their emblems, or the curtain became emblematic just by being frequently seen behind the biggest opera stars. In creating the curtain art, artists liberated themselves from ideological restraints only in the most recent times, creating art for the sake of art (Staatsoper’s Museum in Progress in Vienna displayed on the iron curtain).

## ლოურენს კრამერი
## Lawrence Kramer

აშშ
USA



Lawrence Kramer is Distinguished Professor of English and Music at Fordham University, the editor of the journal 19th-Century Music, and a prizewinning composer whose works have been performed throughout the United States and Europe. Kramer's numerous books on music and culture include, most recently, Music and the Forms of Life (2022), The Hum of the World: A Philosophy of Listening (2019); Song Acts: Writings on Words and Music (2017); and a trilogy on musical understanding consisting of The Thought of Music (2016), winner of the 2017 ASCAP Foundation Virgil Thomson Award for Outstanding Music Criticism, Expression and Truth: On the Music of Knowledge (2012), and Interpreting Music (2010).

Recent performances of Kramer's compositions include, among numerous others, Ecospheres for Baritone and Chamber Ensemble (New York, 2022), "Scenes from 'The Ghetto'" for Voice and Piano (New York, part of the citywide festival Migrations: The Making of America, sponsored by Carnegie Hall, 2019; reprised 2022, 2023), and "The Light Fantastic" for Clarinet and Piano (2023).

### Dissolving Boundaries: Music, Translation, Paraphrase.

This talk will explore the idea that music, texts, and images, in whatever media they appear, are meaningful in exactly the same way, and that a technical vocabulary, in particular the technical vocabulary of music, is only minimally necessary for giving a satisfying account of what and how they mean.

The talk will advance the claim that music and other forms of cultural expression are part of a continuous network of meanings produced by expanded forms of translation and paraphrase--actions basic to language but not confined to language, and thus able to move freely across communications media. In the terms of this conference, I will be arguing that if perspectives on music are not interdisciplinary, they are not perspectives on music at all. To illustrate, the talk will turn to an exploration of Mozart's Twelve Variations on a French Folk Song ("Ah! je-disrais vous, maman"), K. 265.

ლოურენს კრამერი ნიუ-იორკის ფორდჰემის უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და მუსიკის საპატიო პროფესორი, ჟურნალ 19th Century Music-ის რედაქტორი და ჯილდოების მფლობელი კომპოზიტორია, რომლის ნაწარმოებებიც ამერიკისა და ევროპის მასშტაბით სრულდება. ბოლო წლებში, მის მიერ მუსიკასა და კულტურაზე დაწერილ მრავალრიცხოვან წიგნთაგან აღსანიშნავია „მუსიკა და ცხოვრების ფორმები" (2022), „სამყაროს ღიღინი – მოსმენის ფილოსოფია", „სიმღერის ქმედებანი: წერა სიტყვებსა და მუსიკაზე" (2017), და მუსიკის გაგებასთან დაკავშირებული ტრილოგია წიგნებით: „აზრი მუსიკაზე" (2016), რომელმაც 2017 წელს ASCAP ფონდის ვირჯილ თომპსონის სახელობის ჯილდო მიიღო გამორჩეული მუსიკალური კრიტიკისთვის, ასევე „ექსპრესია და სიმართლე: ცოდნის მუსიკაზე" (2012), და „მუსიკის ინტერპრეტირება" (2010).

ამ და სხვა ნაშრომებით, ლოურენს კრამერი ახალი მუსიკოლოგიის (იგივე კულტურული, ან კრიტიკული მუსიკოლოგია) ერთ-ერთ ფუძემდებლად მიიჩნევა. 2001 წელს ალასტარ უილიამსმა აღწერა კრამერის ფიგურა, როგორც მუსიკოლოგიაში დისციპლინური ცვლილების პიონერისა, რომელმაც ადრე, თითქოსდა განცალკევებით მდგარი მუსიკოლოგია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფართო ველში შემოიყვანა.

გასულ წლებში ნიუ-იორკის სხვადასხვა საკონცერტო სივრცეში კრამერის არაერთი ნაწარმოები შესრულდა, მათ შორის „ეკოსფეროები" ბარიტონისა და კამერული ორკესტრისთვის, (2022), „სცენები გეტოდან" ხმისა და ფორტეპიანოსთვის (ნიუ-იორკის ფესტივალისთვის „მიგრაციები: ამერიკის შექმნა", კარნეგი-ჰოლის დაფინანსებით, 2019, გამეორდა 2022, 2023 წლებში) და „ფანტასტიკურის შუქი" კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის (2023).

### ქრობადი საზღვრები: მუსიკა, თარგმანი, პარაფრაზი

ლექციაში განიხილება იდეა, რომ მუსიკა, ტექსტები და გამოსახულებები ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობებს მიუხედავად იმისა, რომელ მედიაშიც არ უნდა გამოჩნდნენ, და რომ ტექნიკური ლექსიკონი, განსაკუთრებით კი მუსიკის ტექნიკური ლექსიკონი მხოლოდ მინიმალურადაა საჭირო იმისთვის, რომ დამაკმაყოფილებელი განმარტება მოგვცეს, თუ რას და როგორ აღნიშნავენ ისინი.

მოხსენებაში წამოვაყენებ მტკიცებას, რომ მუსიკა და კულტურული გამოსახვის სხა ფორმები მნიშვნელობათა უწყვეტი ქსელის ნაწილია, ხოლო ეს მნიშვნელობები თარგმანისა და პარაფრაზის გაფართოებული ფორმებით იწარმოება. თარგმანი და პარაფრაზი, თავის მხრივ, წარმოადგენს ქმედებებს, რომელებიც საბაზისოა ენისთვის, მაგრამ ენით არ შემოიფარგლება და, ამრიგად კომუნიკაციის საშუალებებს შორის და მათ ზღვარზე თავისუფლად მოძრაობს.

ამ კონფერენციის თემატიკის შესაბამისად, ვამტკიცებ, რომ თუ შეხედულებები მუსიკაზე ინტერდისციპლინური არაა, მაშინ ისინი საერთოდ არაა მუსიკაზე. საილუსტრაციოდ კი განვიხილავ მოცარტის თორმეტ ვარიაციას ფრანგულ ხალხურ სიმღერაზე ("Ah! je-disrais vous, maman"), K. 265.

PARTICIPANTS
მონაწილეები



## ამირ ლეკახ ავივი
## Amir Lekach Avivi

ისრაელი
Israel

ამირ ლეკახ ავივი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტია და სამაგისტრო ნაშრომის თემად იოსებ ბარდანაშვილის ნამუშევრები აქვს შერჩეული, 1970-იანებიდან ისრაელში მის გადასახლებამდე 1995 წელს. ლეკახ ავივიმ ბაკალავრის წოდება ამავე უნივერსიტეტში, მუსიკოლოგიასა და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში მოიპოვა (2017-2020) და მანდელის საპატიო სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობდა. 2020 წლიდან უნივერსიტის მუსიკოლოგიის დეპარტამენტში ისტორიული კურსების ასისტენტ-მასწავლებელი და ისტორიული და ეთნომუსიკოლოგიური პროექტების კვლევითი ასისტენტია იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში და ისრაელის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

### უსიტყვო ლოცვა: ებრაული ლიტურგიის როლი იოსებ ბარდანაშვილის 1970-იანი წლების შუა პერიოდის ნაწარმოებებში

იოსებ ბარდანაშვილმა ებრაული ლიტურგიის ზეპირ და წერილობით ტრადიციებს თბილისის კონსერვატორიაში სწავლისას, თორმეტტონიანობას, ჯაზსა და როკთან ერთად მიმართა. მიუხედავად იმისა, რომ 1970-იანების დასაწყისიდან ეს უკანასკნელნი აშკარად პრევალირებდნენ ახალგაზრდა საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებში, მიბრუნება ებრაული ლიტურგიული მუსიკისაკენ, რომელიც საბჭოთა მუსიკალურ სივრცეში პრაქტიკულად არ არსებობდა, მაინც უფრო მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი აღმოჩნდა.

ჟღერადი და დისკურსიული მედიატორების განხილვისას, რომელთა მეშვეობითაც ბარდანაშვილი ებრაულ მუსიკას ეცნობოდა, მოხსენებაში გაშიფრულია მანერა, რომლითაც კომპოზიტორი „თარგმნიდა" ტრანსკრიპციებს და საველე ჩანაწერებს თავის საკუთარ კომპოზიციებში, დაწყებული 1975 წლის პოემა-დიალოგით ჩელოს, გიტარის, ორი ფორტეპიანოს და ოთხი ვალტორნისთვის. ბარდანაშვილის მუშაობა ეთნოგრაფიულ ებრაულ „იმპორტთან", მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში ებრაული კულტურისადმი დამოკიდებულების დისკურსიული ცვლილების ფონზე, 1960-70-იან წლებში საბჭოთა აკადემიურ მუსიკაში ესთეტიკური, პოლისტილისტური ძვრების გვერდიგვერდ. აქედან – გამომდინარეობდა ამ „იმპორტების" ლეგიტიმაცია და მისი გათანაბრება სხვა უძველეს სტილებთან, რამაც ბარდანაშვილს საშუალება მისცა ზურგი ექცია იმ სტერეოტიპული და პოლიტიკური წარმოდგენებისათვის, რომლებითაც, ტრადიციულად, იდენტიფიცირებული იყო „ებრაული მუსიკა" საბჭოთა კავშირში, და ამავე დროს, აკადემიურ მუსიკაში, ამავე ტრადიციის ფარგლებში ჩამოეყალიბებინა ახალი ბევრად აბსტრაქტული და სულიერებისკენ მიდრეკილი მიმართულება.

Amir Lekach Avivi is a graduate student in the musicology department at the Hebrew University of Jerusalem, currently writing his thesis on the works of Ioseb Bardanshvili since the 1970s and through his dislocation to Israel in 1995. Lekach Avivi has earned his bachelor's degree in musicology and earth sciences at the Hebrew University (2017-2020) and was part of the Mandel MA Honors Program there. Since 2020 he has been a teaching assistant of historical courses in the musicology department and a research assistant in historical and ethnomusicological projects at the Hebrew University and the National Library of Israel.

### Wordless Prayer: The Agency of Jewish Liturgy in Ioseb Bardanshvili's Works from the mid-1970s

Ioseb Bardanashvili's turn to Jewish liturgical oral and written traditions took place during his studies at Tbilisi Conservatory, alongside experiments with twelve-tone music(s), jazz, and rock. While these imports became prevalent in compositions by young Soviet composers already in the early 1970s, the turn to Jewish liturgical musics, which had been practically nonexistent in the Soviet musical space, was significantly more marked. Discussing the sonic and discursive mediators through which Bardanashvili had been exposed to those Jewish musical traditions, this talk will also decipher the manner by which he translated transcriptions and fieldwork recordings into his own compositions, beginning with his 1975 Poem-Dialogue for cello, guitar, two pianos and four horns. Bardanashvilli's work with ethnographic Jewish imports took place against the backdrop of a discursive change concerning Jewish culture within the Soviet Union alongside aesthetic, polystylistic shifts in Soviet art music from the 1960s-1970s, thereby rendering such imports legitimate and the equivalent to the setting of other ancient styles. This allowed Bardanashvili to revert from the stereotypical and political imagery that was traditionally identified with "Jewish music" in the Soviet Union, while molding a new agency, more abstract and spiritually inclined, of these traditions within art music.

## მარინა ანტონოვა
## Maryna Antonova

უკრაინა
Ukraine



Marina Antonova is the only Ukrainian researcher of Arthur Honegger's works. She is currently working on her dissertation "Arthur Honegger's Mystery Theatre" for a Master's degree at the Tchaikovsky National Music Academy of Ukraine. Her articles have been published in Ukrainian scientific publications and she is a regular participant in various conferences devoted to the research and understanding of the idea of art identification.

### Mise en Abyme and the concept of "Total Work of Arts" in Arthur Honegger's melodrama "Amphion"

In different periods of the development appropriate to culture, various types of art synthesis appeared and were established. Dance, literature, poetry, music, painting, sculpture and architecture, dividing and uniting, formed incredible examples of the world's cultural heritage.

In the beginning of the 20th century, the ideas of the synthesis of arts have already reached incredible heights. Musicians, writers, artists presented more and more new ways of uniting the arts, which led to the creation of unique works belonging to world culture.

Melodrama "Amphion" is an outstanding example of the synthesis of arts. It demonstrates the multilevel and multidimensionality referring to the understanding of the modern concept – "Total Work of Art». The external unification of words, music, dance, theater and painting includes an internal, narrative unification of music and architecture – synthesis within synthesis.

Thus, it is relevant to plunge into the study of this incredible creative alloy to reveal all the explicit and hidden ideas embedded in the Amphion melodrama. This will allow us to introduce a work that reveals from a new angle the age-old idea of the synthesis of arts.

მარინა ანტონოვა არტურ ონეგერის ერთადერთი უკრაინელი მკვლევარია. ამჟამად უკრაინის ჩაიკოვსკის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში მუშაობს სამაგისტრო ნამუშევარზე სახელწოდებით „არტურ ონეგერის მისტერიული თეატრი". მისი სტატიები დაბეჭდილია უკრაინის სამეცნიერო გამოცემებში, ასევე რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა კონფერენციაში, რომლებიც ხელოვნების იდენტიფიცირების იდეის კვლევასა და გაგებას ეძღვნება.

### Mise en Abyme და „ტოტალური ხელოვნების ნაწარმოების" კონცეპტი არტურ ონეგერის მელოდრამაში „ამფიონი"

კულტურის განვითარების სხვადასხვა პერიოდში ჩნდებოდა და მკვიდრდებოდა ხელოვნების სინთეზის სხვადასხვაგვარი იდეა. ცეკვა, მუსიკა, პოეზია, ფერწერა, ქანდაკება და არქიტექტურა, იყოფოდა თუ ერთიანდებოდა, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გასაოცარ ნიმუშებს აყალიბებდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ხელოვნებათა სინთეზის იდეებმა დაუჯერებელ სიმაღლეებს მიაღწიეს. მუსიკოსები, მწერლები, მხატვრები წარმოადგენდნენ სულ უფრო და უფრო ახალ გზებს ხელოვნებათა გაერთიანებისათვის, რაც, თავის მხრივ, მსოფლიო კულტურის უნიკალური ნიმუშების შექმნას უწყობდა ხელს.

მელოდრამა „ამფიონი" ხელოვნებათა სინთეზის გამორჩეული მაგალითია. მისი მრავალდონიანობა და მრავალგანზომილებიანობა მიემართება მოდერნული კონცეპტის „ტოტალური ხელოვნების ნაწარმოების" გაგებას. სიტყვის, მუსიკის, ცეკვისა და ფერწერის გარეგნული ერთიანობა შეიცავს მუსიკისა და არქიტექტურის შინაგან, ნარატიულ ერთიანობას, რის შედეგადაც ვიღებთ სინთეზს სინთეზში.

ამგვარად, მნიშვნელოვანია ჩავუღრმავდეთ ამ შემოქმედებითი „შენადნობის" შესწავლას, რათა ყველა ის აშკარა თუ დაფარული იდეა გამოვავლინოთ, რომლებიც ამ მელოდრამაშია ჩადებული, და წარმოვადგინოთ ნაწარმოები, როგორც ხელოვნებათა სინთეზის საუკუნოვანი იდეის ახალი კუთხით წარმოჩენის მაგალითი.



## ნია ბარაბაძე
## Nia Barabadze

საქართველო
Georgia

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების დოქტორანტი. გაზაფხულის სემესტრს გაცვლითი პროგრამის Erasmus + ფარგლებში ვენაში University of Music and Performing Arts Vienna აგრძელებს. 2018-2019 წლებში მაგისტრატურის მეორე კურსი ვენაში, MDW უნივერსისტეტში, დახურა. ბაკალავრიატის საფეხურზე 2013-2017 წლებში სწავლობდა მუსიკის ჟურნალისტიკის სპეციალობით. მისი, როგორც მუსიკოლოგის ინტერესის სფეროა ქართული ელექტრონული/ ელექტროაკუსტიკური მუსიკა.
არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი, 2016 წლიდან მუშაობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მედია წარმოების ბლოკში, სხვადასხვა პოზიციაზე, არაერთ მუსიკალურ თუ კულტურულ-შემეცნებით პროექტზე, ამჟამად, არის გადაცემის „ამ შაბათ-კვირას" პროდიუსერი.

### ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შუღლიაშვილის ნაწარმოებებში „ინვერსია" და „მულტიპლიკაცია"

კომპოზიტორი, როგორც წესი, რეაგირებს იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ეპოქა სთავაზობს, ხანდახან კი შემოქმედებითი აზროვნება წინ უსწრებს ტექნოლოგიურ განვითარებას, ისეც ხდება, რომ მუსიკას იმაში ხედავენ, რაშიც სხვას აქამდე არასდროს დაუნახავს. ქართული ელექტროაკუსტიკური მუსიკის დაბადების კონკრეტულ თარიღად რა უნდა ავიღოთ, ზუსტად ჯერ ვერ გამიაზრებია, მაგრამ ფაქტია, ეს მუსიკა ჩვენთან ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან იკიდებს ფეხს. მოხსენების კვლევის საგანია ქართული ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შუღლიაშვილის შემოქმედების მაგალითზე. მუსიკალური ენისა თუ აზროვნების თვალსაზრისით იმ ეპოქის საქართველოსთვის მისი შემოქმედება ნოვაცია იყო, რომელიც ძნელად მისაღები აღმოჩნდა. კომპოზიტორის ხელთ არსებული ლოგიკა და მათემატიკა მხატვრული სახის შესაქმნელი იარაღია. მისი, როგორც მთავარი ესთეტიური და ემოციური ინტერესი იყო მუსიკის მექანიზმებთან წვდომა. ნაშრომში შემდეგ კითხვებს გაეცემა პასუხი: როგორია მიხეილ შუღლიაშვილის საკომპოზიტორო მიდგომები, ესთეტიკა და სააზროვნო პრინციპები? რა არის ის კონკრეტული ასპექტები, რაც მეტყველებს მის სწრაფვაზე კონსტრუქციულობისკენ და ელექტრონული/ელექტროაკუსტიკური მუსიკის შექმნისკენ?
მიხეილ შუღლიაშვილის შემოქმედებაში მოიძებნება ორი ნაწარმოები, რომელიც ჩემი კვლევის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას და მნიშვნელობას იძენს – ერთია ფორტეპიანოსა და მაგნიტოფონისათვის შექმნილი ნაწარმოები სახელწოდებით „ინვერსია" (1972/76/79 წელი) და მეორე „მულტიპლიკაცია" 12 ფორტეპიანოსთვის ან ერთი ფორტეპიანოსა და მაგნიტოფონისთვის. სწორედ, ამ ნაწარმოებების მაგალითზე შევეცდები ზემოთ დასმულ შეკითხვებს ვუპასუხო. ასევე, საინტერესოა აქვს თუ არა მიხეილ შუღლიაშვილის კომპოზიციებს კავშირი ხალხურ მუსიკასთან, იკითხება თუ არა მასში ეროვნული ნიშნები.

Doctoral student of Music History Department at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire. She continues the spring semester in the framework of the Erasmus+ exchange program in University of Music and Performing Arts Vienna. In 2018-2019, she completed the second course of the master's degree at MDW University in Vienna. She has a bachelor degree in music journalism. Her field of interest as a musicologist is Georgian electronic/electroacoustic music.
She is the author of several scientific articles, since 2016 she has been working in the media production block of the Georgian Public Broadcaster in various positions, on a number of musical and cultural-cognitive projects, currently she is the producer of the program "On This Weekend".

### The origins of electroacoustic music in the works of Mikheil Shugliashvili "Inversion" and "Multiplication"

The composer usually reacts to the opportunities that the era offers, and sometimes creative thinking precedes technological developments, so that they see music in ways that no one else has seen before. I still haven't figured out the exact date of birth of Georgian electroacoustic music, but the fact is that this music has been around us since the 60s. The subject of research of the report is the origins of Georgian electroacoustic music based on the example of Mikheil Shugliashvili's work. From the point of view of musical language and thinking, his work was an innovation for Georgia of that era, which was difficult to accept. Logic and mathematics that composer was using, were artistic tools for him. His primary aesthetic and emotional interest was access to the mechanisms of music. The following questions will be answered in the work: What are Mikheil Shugliashvili's compositional approaches, aesthetics and thinking principles? What are the specific aspects of his willing to create electronic/ electroacoustic music?
In the works of Mikheil Shugliashvili, two compositions can be found, which, depending on the specificity of the subject of my research, gain special attention and importance – One is a piece for piano and tape called "Inversion" (1972/76/79) and the other is "Multiplication" for 12 pianos or one piano and tape. I will try to answer the above questions on the example of these works. Also, it is interesting whether Mikheil Shugliashvili's compositions have a connection with folk music, whether national symbols can be read in it.

Ketevan Bolashvili is Doctor of Arts and Professor of the Department of Composition and Musicology at Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire. She graduated from Tbilisi State Conservatoire (in 1987). In 1991 Ketevan Bolashvili completed the post-graduate course at the National Institute for the Study of the Arts (Moscow, Russia) and passed the Ph.D. defence at the same Institute in 1994. She is the author of many scientific articles and books including "History of the 20th Century Music. Lectures" (2011; 2022 – second edition) and "Analysis Of the 20th Century Music" (in collaboration with Ketevan Chitadze) (2017), "Music in Baroque Era: Historical and Theoretical Issues" (2018). Ketevan Bolashvili actively participates in conferences in Georgia and abroad. She is co-author of Radio Broadcasts cycle "20th Century – Music and Musician" broadcasted by Georgian Public Radio.
In 2005-2020 Ketevan Bolashvili was director of the annual Festival "Tbilisi. Contemporary Music Evenings".

### "The Undiladze Family" and V-Effekt concept

This report aims to study Teimuraz Bakuradze's tetralogy, The Undiladze Family, from the concept of theatrical dramaturgy, particularly concerning Bertold Brecht's so-called V-Effekt (distancing effect). Hence, this research explores the following issues: to what extent does the V-Effekt itself manifest through the musical language and the polylingual libretto of the tetralogy; to what degree is it revealed in the genre of the composition, including other types of temporal art, namely cinematography and theatre, in polychronicity and the coexistence of text and comments, as part of the whole text of a work, and so on.
So, the report's objectives are to reveal how the V-effekt manifests through the multiple musical and dramaturgical layers in the tetralogy The Undiladze Family and determines its influence on all aspects of musical thinking.
As a result, the opera tetralogy, The Undiladze Family, can be considered an interdisciplinary work united by a holistic artistic concept; whereas, on the one hand, occurs the principles of Bracht's epic theatre, and on the other hand, the Wagnerian idea of total theatre, interpreted by Gordon Craig and Antonin Artaud; later, modified in the theatrical practice of Jean-Louis Barrault, Peter Brook, Vsevolod Meyerhold, and Kote Marjanishvili.

## ქეთევან ბოლაშვილი
## Ketevan Bolashvili

საქართველო
Georgia



ქეთევან ბოლაშვილი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის და მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორია. მან დაამთავრა თბილისის კონსერვატორია (1987), ხოლო 1991 წელს დაამთავრა ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტის (მოსკოვი, რუსეთი) ასპირანტურა და იქვე დაიცვა დისერტაცია (1994). იგი მრავალი სამეცნიერო სტატიის და წიგნის ავტორია, მათ შორის: „XX საუკუნის მუსიკის ისტორია. ლექციები" (2011; მეორე გამოცემა 2022), „XX საუკუნის მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი" (თანაავტორი ქეთევან ჭიტაძე) (2017), „ბაროკოს ეპოქის მუსიკა: ისტორიის და თეორიის საკითხები" (2018). სისტემატურად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. იყო რადიოგადაცემების ციკლის „XX საუკუნე – მუსიკა და მუსიკოსები" თანაავტორი (გადაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს მიერ).
2005-2020 წწ. ქეთევან ბოლაშვილი იყო ყოველწლიური ფესტივალის „თბილისი. თანამედროვე მუსიკის საღამოები" დირექტორი.

### „უნდილაძეების ოჯახი" და V-Effekt-ის კონცეფცია

მოხსენების მიზანია თეიმურაზ ბაკურაძის ტეტრალოგია „უნდილაძეების ოჯახის" შესწავლა თეატრლური დრამატურგიის პრინციპების, კერძოდ, ბერტოლდ ბრეხტის მიერ დამკვიდრებული ე. წ. V-Effekt-ის (გაუცხოების ეფექტი) კონცეფციის პოზიციიდან.
ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ტეტრალოგიის სხვადასხვა რაკურსით შესწავლა, კერძოდ დადგენა როგორ და რამდენად იჩენს თავს V-Effekt-ი ტეტრალოგიის მუსიკალურ ენაში და პოლილინგვურ ლიბრეტოში, ჟანრში და დროითი ხელოვნების სხვა სახეობების, კერძოდ კინემატოგრაფის და თეატრის ჩართვაში, პოლიქრონულობაში და ტექსტის და კომენტარების, როგორც ნაწარმოების ტექსტის ნაწილის, თანაარსებობაში და სხვ. ამდენად, მოხსენების ამოცანები მდგომარეობს „უნდილაძეების ოჯახში" V-Effekt-ის გამოვლინების წარმოჩენაში, ტეტრალოგიის სხვადასხვა შრეში, ანუ მისი გავლენის დადგენაში მუსიკალური აზროვნების ყველა ასპექტზე.
მოხსენების კვლევის ობიექტი, საოპერო ტეტრალოგია „უნდილაძეების ოჯახი", შერჩეული რაკურსით შესწავლისას, წარმოგვიდგება როგორც ინტერდისციპლინური ნაწარმოები, გაერთიანებული და გამთლიანებული მხატვრული კონცეფციით. მასში, ერთი მხრივ, თავს იჩენს ბრახტის ეპიკური თეატრის პრინციპები, ხოლო მეორე მხრივ ვაგნერიდან მომდინარე ტოტალური თეატრის იდეია, გორდონ კრეგის და ანტონენ არტოს მიერ გაზიარებული და მოგვიანებით გარდასახული და გარდაქმნილი ჟან-ლუი ბაროს, პიტერ ბრუკის, ვსევოლოდ მეერჰოლდის, კოტე მარჯანიშვილის თეატრალურ პრაქტიკაში.



## შიმონ ბორისი
## Szymon Borys

პოლონეთი
Poland

შიმონ ბორისი, PhD, კატოვიცეს კაროლ შიმანოვსკის სახელობის მუსიკის აკადემიის ლექტორი. 2015 წელს დაამთავრა აღნიშნული აკადემია სიმფონიური და საოპერო დირიჟორობის მიმართულებით (მიხალ კლაუზას კლასი), ხოლო 2018 წელს – მუსიკის თეორიის მიმართულებით. მუსიკის თეორიაში დოქტორის ხარისხი მიიღო 2023 წელს დისერტაციით „იმედი სასოწარკვეთილებაში. დიერდ კურტაგის ვიტალისტური პესიმიზმი“. ამჟამად, თავის Alma Mater-ში მუსიკის ანალიზისა და XX-XXI საუკუნეების მუსიკის ისტორიის ლექტორია.
როგორც კომპოზიტორი – რამდენიმე ინსტრუმენტული და ვოკალური ნაწარმოების ავტორია. ბოლო ნაწარმოებისთვის „დავიწყების სიმღერები“ პოლონეთის ავტორთა კავშირის ZAiKS პრიზი მიიღო (2021). სხვა არტისტულ მიღწევებს შორისაა სტეფან ბატორის ფონდის ჯილდოები და სტიპენდიები (2013-2015), საპატიო ჯილდოები პოლონური ბავშვთა ფონდისგან (2013), კულტურული განათლების ასოციაცია WIDOK-ისგან (2012-2013) და პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სამინისტროსგან (2022).

### ავტონომიური მუსიკის დაისი? რეფლექსიები ახალი მუსიკის ინტერდისციპლინურობაზე (ვიტოლდ ლუტოსლავსკის ფონზე)

1974: პოლონელი კომპოზიტორის ვოიცეხ კილარის ნაწარმოების Krzesany პრემიერამ ფესტივალ „ვარშავი შემოდგომაზე“ სკანდალი გამოიწვია და ბზარი შეიტანა ფართოდ გაგებული მოდერნისტული ტრენდების ბატონობაში. როცა კშიშტოფ პენდერეცკი თავისი სონორისტული პერიოდიდან მალევე დაუბრუნდა ბრუკნერ-ვაგნერისეულ ესთეტიკას, ის „ავანგარდის ღალატში“ დაადანაშაულეს. თავად კომპოზიტორი კი ამ ქმედებას აფასებდა, როგორც „ზურგსუკან კარის ღიად დატოვებას“.
2023: თითქმის 50 წლის შემდეგ, თანამედროვე მუსიკის ლანდშაფტი თითქოს გან-სხვავებულია. ახალი მუსიკა გლობალიზებულ, ციფრულ სამყაროში ახალი წესებით მოქმედებს. ახალგაზრდა არტისტები (ძირითადად, დასავლეთის უნივერსიტეტში განათლებამიღებულები) სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ კონცეპტუალურ მუსიკას (Konzeptmusik) and რელაციონალურ მუსიკას (Relationale Musik) – შემოქმედებით იდეას, რომელიც ჰარი ლემანმა გამოხატა თავის წიგნში „მუსიკის ციფრული რევო-ლუცია: მუსიკის ფილოსოფია (Schott 2012). ხელოვნებათა სინთეზის მარადიული იდეა ჩვენს თვალწინ სრულიად სხვაგვარ სახეს იძენს. ფუნდამენტური სხვაობაა ის, რომ დღეს, ისე, როგორც არასოდეს, თავისი არსით არასემანტიკური ბგერა/უღერადობა სრულიად წაგებულია ყოველივე ვიზუალურთან. დღესდღეობით შექმნილი მუსიკა, უხშირეს შემთხვევაში, დაქვემდებარებულის როლამდეა დაყვანილი, თუ არა ფონური აკომპანემენტად ქცეული.
მოაქვს თუ არა ინტერდისციპლინურობისა და უსაზღვრო კონტექსტით მოდურ გატა-ცებას ავტონომიური მუსიკის კრიზისი?
ნიშნავს თუ არა ეს კრიზისი მუსიკალური ენის კვდომას?
ამ კითხვებზე პასუხს მოვიძიებთ ვიტოლდ ლუტოსლავსკის რეფლექსიების დახმარე-ბით, რომლის დაბადებიდან ასმეათე წელი ამ წელს აღინიშნება.

PhD – Lecturer at The Karol Szymanowski Academy of Music, Katowice (Poland). In 2015 graduated in Symphonic and Opera Conducting from the Karol Szymanowski Academy of Music in Katowice under the guidance of Michał Klauza. In 2018 graduated in Music theory from the Karol Szymanowski Academy of Music in Katowice under the guidance of Prof. Marcin Trzęsiok (dissertation entitled Spirituality in the Henri Dutilleux's music). He received PhD in Music Theory in 2023 (dissertation entitled Hope in despair. György Kurtág's vitalist pessimism). At his Alma Mater he serving as a lecturer on Music analysis and History of 20th and 21st century music.
As a composer he is author of several instrumental and vocal works. For the last piece entitled Oblivion Songs he received the award of The Society of Polish Authors ZAiKS (2021). For artistic achievements he received awards and scholarships from the Stefan Batory Fundation (2013-2015), a Honorary Polish Children's Fund (2013), a WIDOK Association for Cultural Education (2012-2013) and the Ministry of Culture and National Heritage of Poland (2022).

### Twilight of Autonomous Music? Reflections on the interdisciplinarity of new music (with Witold Lutosławski in the background)

1974: The premiere of the Krzesany by Polish composer Wojciech Kilar at the "Warsaw Autumn" Festival caused a scandal and broke the dominance of broadly understood modernist trends. When Krzysztof Penderecki returned to Bruckner-Wagnerian aesthetics shortly after his sonoristic period, he was accused of "betraying the avant-garde". Composer assessed that with this gesture he "opened the door behind him".
2023: After nearly 50 years, the landscape of contemporary music seems different. New music in a globalized, digital world operates on new rules. Young artists (usually educated at Western universities) increasingly turn their attention to conceptual music (Konzeptmusik) and relational music (Relationale Musik), creative ideas expressed by Harry Lehmann in The Digital Revolution of Music: A Philosophy of Music (Schott 2012). The eternal idea of the synthesis of arts is growing before our eyes in another form. Fundamental difference is that today, like never before, inherently non-semantic sound completely loses to everything visual. Music written nowadays is reduced to a subordinate role, only an accompanying background, more often than ever.
Does the fashion for interdisciplinarity and boundless context result in a crisis of autonomous music? Does this crisis mean the death of musical language? We will look for answers to these questions with the help of Witold Lutosławski's reflections (whose 110th birthday is being celebrated this year).

## ოლენა დიაჩკოვა
## Olena Dyachkova

უკრაინა
Ukraine



Olena Dyachkova is an Associate Professor at Tchaikovsky National Music Academy of Ukraine. Courses: Contemporary Music: The Trends and Concepts; Music Criticism; History of Music. Ph.D. (candidate of science, 2000). Thesis: “Metaphor as a factor of artistic activity of the music works“. Member of the National Composers’ Union of Ukraine (since 2001); Member of the International Musical Society (IMS, since 219). The fields of interest: music analysis, semiotics, musical interpretation, contemporary music, music and literature, music in cinema.

### The Image of the Bard in Ukrainian Culture: History and Contemporary Aspects

The image of the Bard is one of the values in many European and non-European cultures. In the musical and literary classics, as a rule, we can trace the interweaving of ancient traditions (the Myth of Orpheus), the traditions of Judaism and Christianity (the Legends of King David), as well as folk traditions (ashughs, kobzars, skalds, etc.). The Bard is one of the central characters in the semantic complex of Pastoral (especially in its tragic modification). Often the image of the Bard is synonymous with the Poet. In the history of Ukrainian culture, the image of the Bard turned out to be extremely important. The name of Taras Shevchenko, a symbol of Ukrainian national identity, is associated with the image of the Ukrainian folk singer and storyteller – Kobzar. The authors of the songs are the Poet and philosopher of the Ukrainian Baroque era Hryhoriy Skovoroda, and the Poet Marusya Churai. Ukrainian writers of the 19th century – Ivan Franko, Olena Pchilka, and Lesya Ukrainka – were folk song performers.
In musical culture, since the 18th century, Ukraine has been considered a resource of singers for the Russian Empire. In this aspect, the most indicative fact is the opening of the first Ukraine and Russia school of musicians – vocalists and instrumentalists in Glukhov (1730), as well as the history of the famous baritone of the 19th century Gulak-Artemovsky, the author of the opera “Zaporozhets beyond the Danube.“ Starting from the first decade of the 21st century, the image of Bard (as Singer) turned out to be even more significant, associated with the idea of the struggle for the independence of Ukraine. The legendary Ukrainian baritone and counter-tenor Vasil Slipak became a new symbol of the Ukrainian struggle. He made his debut at one of the Ukrainian festivals, made a brilliant artistic career in France, and then, leaving everything, went to the war zone in Ukraine, where he died.
Since 2014, the Ukrainian composer Valentyn Silvestrov has demonstrated the image of the Bard-Orpheus in his creations.

ოლენა დიაჩკოვა უკრაინის ჩაიკოვსკის სახელობის ეროვნული მუსიკალური აკადემიის ასოცირებული პროფესორია. მიჰყავს შემდეგი კურსები: თანამედროვე მუსიკა – მიმართულებები და კონცეფციები, მუსიკის კრიტიკა, მუსიკის ისტორია. დოქტორის ხარისხი მოიპოვა 2000 წელს დისერტაციით „მეტაფორა, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებში მხატვრული ქმედითობის ფაქტორი“. 2001 წლიდან არის უკრაინის კომპოზიტორთა ეროვნული კავშირის წევრი, 2019 წლიდან – საერთაშორისო მუსიკალური საზოგადოების (IMS) წევრი. მისი ინტერესის სფეროებია: მუსიკის ანალიზი, სემიოტიკა, მუსიკალური ინტერპრეტაცია, მუსიკა და ლიტერატურა, მუსიკა კინოში.

### ბარდის სახე უკრაინულ კულტურაში: ისტორია და თანამედროვე ასპექტები

ბარდის სახე მრავალი ევროპული და არაევროპული კულტურის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. მუსიკალურ და ლიტერატურულ კლასიკაში, როგორც წესი, ანტიკური ტრადიციებისა (ორფევსის მითი) და იუდაიზმისა და ქრისტიანობის ტრადიციების (ლეგენდა მეფე დავითზე) ურთიერთგადახლართულ კვალს შეგვიძლია გავყვეთ, ისევე, როგორც ფოლკლორულ ტრადიციებში აღმოვაჩინოთ იგი (აშუღები, კობზარები, სკალდები და ა.შ.)
ბარდი პასტორალის სემანტიკური კომპლექსის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია (განსაკუთრებით, ტრაგიკულ მოდიფიკაციებში) ხშირად ის პოეტის სინონიმია.
უკრაინული კულტურის ისტორიაში ბარდის სახემ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ტარას შევჩენკოს, უკრაინული ეროვნული იდენტობის სიმბოლოს სახელი უკრაინელი სახალხო მომღერლისა და მთქმელის, კობზარის სახეს უკავშირდება. სიმღერების ავტორები იყვნენ უკრაინული ბაროკოს ეპოქის პოეტი და ფილოსოფოსი ჰრიჰორი სკოვოროდა და პოეტი მარუსია ჩურაი; მეცხრამეტე საუკუნის უკრაინელი მწერლები: ივან ფრანკო, ოლენა პჩილკა და ლესია უკრაინკა – ხალხური სიმღერების შემსრულებლები იყვნენ.
მეთვრამეტე საუკუნიდან, მუსიკალურ კულტურაში, უკრაინა ითვლებოდა მომღერალთა მთავარ წყაროდ რუსეთის იმპერიისთვის. ამ ასპექტში, ყველაზე ნიშანდობლივი ფაქტებია უკრაინაში, გლუხოვში მუსიკოსების – ვოკალისტებისა და ინსტრუმენტალისტებისთვის რუსეთის იმპერიაში პირველი სკოლის გახსნა 1730 წელს და მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ბარიტონის, ოპერის „ზაპოროჟიელები დუნაის გაღმა“ ავტორის გულაკ-არტემოვსკის ამბავი.
ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულიდან მოყოლებული, ბარდის, როგორც მომღერლის სახემ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა, დაუკავშირდა რა უკრაინის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას. ლეგენდარული უკრაინელი ბარიტონი და კონტრ-ტენორი ვასილ სლიპაკი ამ ბრძოლის ახალ სიმბოლოდ იქცა. მისი დებიუტი უკრაინის ერთ-ერთ ფესტივალზე შედგა, ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა საფრანგეთში და შემდეგ ყველაფერი მიატოვა, უკრაინაში, საომარ ზონაში წავიდა და დაიღუპა.
2014 წლიდან უკრაინელი კომპოზიტორი ვალენტინ სილვესტროვი წარმოაჩენს ბარდი-ორფევსის სახეს თავის შემოქმედებაში.

PARTICIPANTS
მონაწილეები



## მაკა (მაია) ვირსალაძე
## Maka (Maya) Virsaladze

საქართველო
Georgia

სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული (1994, 2010, 2017 წლებში მიღებული აქვს საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა შემოქმედებითი კავშირის ჯილდოები", 2014 წელს პეტერბურგის, საკომპოზიტორო კონკურსის „საგუნდო ლაბორატორია" ლაურეატის წოდება, II ადგილი). ადგილობრივი და საერთაშორისო მუსიკალური პროექტების მონაწილე როგორც კომპოზიტორი და მკვლევარი. ამჟამად არის მკვლევარ-კომპოზიტორთა ჯგუფის წევრი საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი პროექტისა.
2011 წლიდან სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, 2013 წლიდან თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, 2014-2022 წლებში თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებსა და პრაქტიკულ სემინარებში (თბილისის საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენციაში, სანქტ-პეტერბურგში 2014 წ. საგუნდო ფესტივალის „დროის სარკის" ფარგლებში პრაქტიკული სემინარზე „თანამედროვე ქორმაისტერი", 2016წ. 14-16 ოქტომბერს მოწვეულია მომხსენებლის სტატუსით მართლმადიდებლური მუსიკის საერთაშორისო კონფერენციაზე „Ars Nova East and West" პრაღაში, ჩეხეთში, 2020 წ. „International Conference Music-Cultural Bridge" – ვროცლავში, პოლონეთში). დაინტერესებულია ხელოვნების, რელიგიისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის კავშირით.

### საეკლესიო ზარი, როგორც საქართველოს ხმოვანი ეკოსისტემის ნაწილი

საეკლესიო ზარებს აქვს გრძელი და მომხიბლავი ისტორია, რომელიც ათასობით წლით თარიღდება უძველესი ცივილიზაციებიდან (ჩინეთში, საბერძნეთსა, რომში) დღემდე. ბევრ კულტურაში ზარები განიხილებოდა, როგორც ძალაუფლებისა და ავტორიტეტის სიმბოლო და ხშირად იყენებდნენ რელიგიურ და საზეიმო კონტექსტში.
საეკლესიო ზარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა ყოველდღიური საეკლესიო მსახურებისადმი ხმოვანი მოწოდება, ასევე მნიშვნელოვანი რელიგიური მოვლენების აღნიშვნა, როგორიცაა ქორწილები, დაკრძალვები და ნათლობები. შეიძლება იყოს საფრთხის მოახლოების სიგნალი და კიდევ მრავალი სხვა ფუნქციის გამოკვეთაც არის შესაძლებელი.
ბოლო წლებში სხვადასხვა ქვეყანაში გაიზარდა საზოგადოების შეშფოთება გარემოზე და პლანეტაზე ადამიანის საქმიანობის მავნე გავლენის გამო. ამ გარემოებამ თავის მხრივ წინა პლანზე წამოწია ინტერესი იმგვარი არაერთი კვლევითი საქმიანობის მიმართ, რომელიც ადამიანისა და გარემოს ჰარმონიული თანაარსებობის სხვადასხვა სფეროებს შეისწავლის. ამ მხრივ მკვლვავართა ყურადღების ცენტრში ექცევა ხმოვანებისა და გარემოს ურთიერთობის საკითხიც და ყალიბდება მეცნიერების ინტერდისიპლინარული დარგი, რომელიც მუსიკის, კულტურისა და გარემოს ურთიერთობას სწავლობს. საეკლესიო ზარების ხმოვანება გარემოს ხმოვანი ლანშაფტის მნიშვნელოვანი ნაწილია სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქაართველოშიც.
წინამდებარე ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის – ნოდარ მამისაშვილის მიერ ქართული საეკლესიო ზარების აღდგენის საკითხი, სწორედ როგორც ქართული ეკომუსიკოლოგიის ნაწილი და ისტორიული წანამძღვარი.

Winner of various local and international competitions (in 1994, 2010, 2017 she received the awards of the Ministry of Culture of Georgia, the Union of Composers and Musicologists of Georgia", in 2014 in St. Petersburg, the title of laureate of the composition competition" Choir Laboratory", II place). Participant in local and international music projects. Currently, she is a member of the group of researchers-composers of the project to be implemented with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.
Since 2013 she has been an associate professor at the Faculty of Composition of the V. Sarajishvili Tbilisi State Conservatory, since 2011 The Doctor of Musical Art.Has participated in various conferences and practical seminars (Tbilisi International Musicological Conference, St. Petersburg in 2014 within the framework of the choir festival "Mirror of Time" "Modern Choirmaster", Ars Nova East and West, in Prague, 2020 "International online Conference Music-Cultural Bridge" – Wroclaw Academy of Music, Poland ). Interested in the connection between the various fields of art, religion and science.

### Church bell as a part of sound ecosystem of Georgia

Church bells have a long and fascinating history dating back thousands of years from ancient civilizations (China, Greece, Rome) to the present day. In many cultures, bells were seen as symbols of power and authority and were often used in religious and ceremonial contexts. One of the most important functions of church bells is to sound the call to daily church services, as well as to mark important religious events such as weddings, funerals and baptisms. It can be a signal of approaching danger and many other functions can be identified. In recent years, public concern about the harmful effects of human activities on the environment and the planet has increased in various countries. This circumstance, in turn, brought to the fore the interest in a number of research activities that will study various areas of the harmonious coexistence of man and the environment. In this regard, the issue of the relationship between the sounds and the environment comes to the attention of researchers, and an interdisciplinary field of science is formed, which studies the relationship between music, culture and the environment. The sound of church bells is an important part of the sound landscape of the environment in various countries, including Saqaartvelo. The issue of restoration of Georgian church bells by the outstanding Georgian composer – Nodar Mamisashvili is discussed in the present paper, precisely as a part of Georgian ecomusicology and a historical guide

მილოშ ზატკალიკი
Miloš Zatkalik

სერბეთი
Serbia



A composer and music theorist, professor at the University of Arts in Belgrade. For several years visiting professor at universities in Novi Sad, Kragujevac and Banjaluka (Bosnia and Herzegovina). Lectured by invitation at universities in Canada, Norway, Germany, the USA, Slovenia and Australia. Research interests include analysis of 20th-century music; relationships between music and other arts; psychoanalytic aspects of music analysis. Recent publications include a book on post-tonal prolongation.

## Messiaen's Rhythm, Bacon's Figures And Dazzling Birds – A Deleuzian Perspective On The Collusion Of Painting And Music In Vingt Regards Sur L'enfant-Jésus

In his study on the artist Francis Bacon, Gilles Deleuze demonstrates how Bacon overcomes conventional representation, "unlocking areas of sensation" while employing figures, rather than abstractions. What is painted on the canvas is sensation, rather than illustration or narration, and the function of the painted body is to sustain this sensation.

This nonrepresentational use of figurative means brings painting closer to the immediacy with which music "couples material to sensation." This common feature shared by the two arts is especially striking when the elements of music create a (usually misleading) sense of representation or illustration.

In light of these ideas, the present paper examines Messiaen's piano cycle Vingt regards sur l'enfant-Jésus. Widely divergent in many respects, Messiaen and Bacon nonetheless furnish an example of how "music begins where painting ends", and possibly indicating even "a zone of indiscernibility" between them.

The affinity between the two artists can be observed in a number of concrete parallels. Inspired precisely by Messiaen, Deleuze talks about rhythm as the essence of painting. The isolated figures of Bacon may have their counterpart in Messiaen's juxtaposition of thematic blocks. Bacon struggling to "paint the scream" finds its mirror image in Messiaen's making colors audible.

In general terms, Messiaen's lines of flight (e.g. birdsong, "becoming bird") pierce through the barrier imposed by mundane experience to reach up to the divine, intersecting with figuration-scrambling lines constituting Bacon's "diagram."

კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოსი, ბელგრადის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი. რამდენიმე წლის განმავლობაში – ნოვი სადის, კრაგუევაცისა და ბანიალუკას (ბოსნია და ჰერცოგოვინა) უნივერსიტეტების მიწვეული პროფესორი. ლექციებს კითხულობდა კანადის, ნორვეგიის, გერმანიის, აშშ-ს, სლოვენიისა და ავსტრალიის უნივერსიტეტების მიწვევით. მისი საკვლევი ინტერესები მოიცავს მეოცე საუკუნის მუსიკის ანალიზს, მუსიკისა და სხვა ხელოვნებათა ურთიერთობის საკითხებს, მუსიკის ანალიზის ფსიქოანალიტიკურ ასპექტებს. ბოლო პერიოდის პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია წიგნი პოსტ-ტონალური გახანგრძლივებების შესახებ.

## მესიანის რიტმი, ბეკონის ფიგურები და გასაოცარი ფრინველები – დელეზისეული ხედვა ფერწერისა და მუსიკის შერწყმის შესახებ მესიანის ციკლში „ოცი მზერა ყრმა იესოზე"

მხატვარ ფრანსის ბეკონის შემოქმედების კვლევისას ჟილ დელეზი აჩვენებს, თუ როგორ გადალახა ბეკონმა ტრადიციული რეპრეზენტაცია „შეგრძნებათა არეების გახსნით" და ეს გააკეთა ფიგურების, და არა აბსტრაქციების მეშვეობით, რომ ის, რაც ტილოზეა გამოსახული, შეგრძნებადია, და არა ილუსტრირებული ან მოთხრობილი, და რომ ამგვარი ნახატის ფუნქცია ამ შეგრძნების შენარჩუნებაა.

ფიგურატიული საშუალებების ამგვარი არარეპრეზენტაციული გამოყენება ფერწერას იმ უშუალობასთან აახლოებს, რომლითაც მუსიკა „მასალას შეგრძნებასთან აწყვილებს". ორი ხელოვნების ეს საერთო თვისება განსაკუთრებით თვალშისაცემი მაშინაა, როცა მუსიკა ქმნის (ჩვეულებრივ, მოჩვენებითად) რეპრეზენტაციის ან ილუსტრაციის შეგრძნებას.

წინამდებარე მოხსენება ამ იდეების შუქზე იკვლევს მესიანის საფორტეპიანო ციკლს „ოცი მზერა ყრმა იესოზე". მრავალი თვალსაზრისით ძალიან განსხვავებული ხელოვანები, ბეკონი და მესიანი, მიუხედავად ყველაფრისა წარმოადგენენ აშკარა მაგალითს იმისა, თუ როგორ „იწყება მუსიკა იქ, სადაც მთავრდება ფერწერა" და, შესაძლოა, მათ შორის არსებულ ერთგვარ „გაურკვევლობის ზონაზეც" მიუთითებდეს.

ამ ორ ხელოვანს შორის ნათესაობა მთელ რიგ კონკრეტულ პარალელებში შეინიშნება. სწორედ მესიანით შთაგონებული დელეზი საუბრობს რიტმზე, როგორც ნახატის არსსზე. ბეკონის იზოლირებული ფიგურები შეიძლება ანალოგს ქმნიდნენ თემატური ბლოკების მესიანისეულ შეპირისპირებასთან. ბეკონის მცდელობები, „დახატოს ყვირილი" სარკესავით ირეკლება მესიანის მცდელობაში მოგვასმენინოს ფერი.

თუ განვაზოგადებთ, მესიანისეული „ფრენის ხაზები" (მაგ. ჩიტების სიმღერა, „ჩიტად გადაქცევა"), კვეთს რა ბეკონის „დიაგრამის" შემადგენელ მცოცავ-ფიგურაციულ ხაზებს, ამქვეყნიური გამოცდილების მიერ დაწესებული იმ ბარიერის გავლით მიიკვლევს გზას, ღვთაებრივამდე მიღწევას რომ ელობება წინ.



## ნატალია ზუმბაძე
## Natalia Zumbadze

საქართველო
Georgia

ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მეცნიერთანამშრომელი, ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „მზეთამზეს" თანადამაარსებელი და წევრი, კონსერვატორიის სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ფოლკლორის ეროვნული პრემიის ლაურეატი. ხელმძღვანელი და მონაწილე 70-ზე მეტი საველე ექსპედიციის და ჩაწერისა, მონაწილე მრავალი საერთაშორისო კონფერენციის და სიმპოზიუმისა საქართველოში და საზღვარგარეთ, ავტორი 60-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციისა, ავტორი და ხელმძღვანელი ეთნომუსიკოლოგიური კონფერენციების და ტრადიციული მუსიკის კონცერტებისა. გამოცდილია სარედაქტორო და საგამომცემლო საქმიანობაში, უცხოელთათვის ქართული ხალხური მუსიკის სწავლებაში.

### საექსპედიციო პრაქტიკა – თეორიული კვლევის განახლების საფუძველი (2022 წლის ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია აჭარაში)

აჭარა საქართველოს ის კუთხეა, რომელმაც, ოსმალების თითქმის სამსაუკუნოვანი ბატონობისა და ისლამის იძულებით მიღების მიუხედავად, ქართული მუსიკალური აზროვნების ქვაკუთხედი – მრავალხმიანი მღერის ტრადიცია შეინარჩუნა.

აჭარული ხალხური მუსიკის მეცნიერული კვლევა პირდაპირ კავშირშია მის ჩაწერასთან. ინტერესი ამ საქმიანობისადმი 1910-იან წლებში გაჩნდა და დღემდე არ განელებულა. სხვადასხვა პერიოდის საველე ექსპედიციები გარკვეულ სიახლეებს გვთავაზობს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ხულოს მუნიციპალიტეტში 2022 წელს ჩატარებული ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციაა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

აღნიშნული ექსპედიციის ფონოჩანაწერების შესწავლა და ამავე რაიონის ძველ ჩანაწერებთან შედარება წარმოაჩენს ხულოს მუნიციპალიტეტში აჭარული ხალხური მუსიკის დღევანდელი ფუნქციონირების სურათს, იმ სპეციფიკურ ტენდენციებს, რომლებიც ამ რეგიონისთვის არის დამახასიათებელი. აშკარაა მიდრეკილება ტრადიციული აჭარული სასიმღერო რეპერტუარის მივიწყებისა და მისი არატრადიციულით, არააჭარულით, ხშირად – საავტორო ნიმუშებით ჩანაცვლებისკენ, ქართული ხალხური მუსიკის შესრულების კანონზომიერებების დარღვევისკენ, აჭარულ სასიმღერო მელოდიკაში არაქართული ელემენტების შეჭრისკენ. ყოველივე ზემოთქმული ორიგინალური აჭარული სამუსიკო ტრადიციების რადიკალურ ცვლილებაზე მიუთითებს.

Ethnomusicologist, Doctor of Arts, Professor, Head of Georgian Folk Music Department of Tbilisi State Conservatoire, scientific worker at the Folklore State Centre of Georgia, a co-founder and member of women's folk ensemble Mzetamze, the founder and director of the Conservatoire Student Folk ensemble, laureate of the Folklore National Award. Leader and participant of over 70 field expeditions and recording sessions. A participant of numerous International Conferences and Symposia in Georgia and abroad. Author of over 60 scientific publications. Author and director of ethnomusicological conferences and concerts of traditional music. Experienced in publishing activities, in teaching Georgian folk music to foreigners.

### Field practice – the basis for updating theoretical research (2022 ethnomusicological expedition to Adjara)

Adjara is the corner of Georgia which, despite almost three centuries of Ottoman domination and forced acceptance of Islam, has preserved the tradition of polyphonic singing, the cornerstone of Georgian musical thinking.

Scientific research of Adjarian folk music is directly related to its recording. Interest in this activity arose in the 1910s and has not slowed down to this day. Field expeditions of different periods offer us some news. In this regard, the ethnomusicological expedition conducted in Khulo municipality in 2022, which I led, is no exception.

Studying the phonorecords of the said expedition and comparing them with the old records of the same region presents a picture of the current functioning of Adjarian folk music in Khulo municipality, the specific trends that are characteristic of this region. There is an obvious tendency to forget the traditional Adjarian song repertoire and to replace it with non-traditional, non-Adjarian, often original samples, to violate the rules of performing Georgian folk music, to intrude non-Georgian elements into the Adjarian song melody. All of the above points to a radical change in the original Adjarian musical traditions.

## რუსუდან თაყაიშვილი
## Rusudan Takaishvili

საქართველო
Georgia



Rusudan Takaishvili is a Music Expert-Consultant at the National Center for Teacher Professional Development Center, a Trainer and leads pedagogical subjects at Tbilisi State Conservatoire. As an Expert, she collaborates with the Ministry of Education and Science of Georgia, National Examinations Center, National Center for Educational Quality Enhancement (Accreditation Expert). She is an Author of the National Curriculum of Music (I and II edition), other educational Standards and over 45 scientific and methodical publications.

She regularly participates in International and Local Conferences and Projects. Her academic interests are concerned with Musical Education and Contemporary Pedagogy. She is a member of Georgian Composers' Union and a recipient of Goethe Scholarship.

### Yamaha School Project

The purpose of the report is to discuss different practices of general music education and to develop some recommendations for their implementation. According to Yamaha School Project, “Lack of instruments, teachers and curricula is a common phenomenon; Many children have never had the opportunity to play or even touch a musical instrument.“ In response to this application, the Yamaha School Project promotes instrumental music education. Through methodology, teacher training and the instrument industry, the corporation strives to make orchestral performance a part of school education and establish it worldwide “so that more children can play musical instruments and experience the joy of music and instruments.”

The project (started in Japan in 2015) is successfully implemented in Vietnam, Indonesia, India, Malaysia, Egypt, Brazil. According to the data of 2022, 1,270,000 students from 5150 schools in 7 countries are involved in the project.

The report draws a parallel with Waldorf School, where playing orchestral instruments, school orchestra and choir are considered a prerequisite for the emotional, social, physical and cognitive development of students. It is recommended to implement the experience of the existing systems, which will contribute to the formation of civil society along with the development of individuals.

ექსპერტ-კონსულტანტი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, მიჰყავს პედაგოგიკური დისციპლინები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რეგულარულად ატარებს ტრენინგებს მუსიკის მასწავლებლებისა და ტრენერებისათვის. აქვს სამუსიკო სასწავლებელსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. როგორც ექსპერტი, თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი). არის ეროვნული სასწავლო გეგმის I და II რედაქციების, სხვა საგანმანათლებლო სტანდარტებისა და 45-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური პუბლიკაციის ავტორი.

რეგულარულად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და პროექტებში. მისი ინტერესები უკავშირდება სამუსიკო განათლებას, თანამედროვე პედაგოგიკას. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრია, იყო გოეთეს სახელობის სტიპენდიანტი.

### იამაჰას სასკოლო პროექტი

მოხსენების მიზანია ზოგადი სამუსიკო განათლების განსხვავებული პრაქტიკის, კერძოდ, იამაჰას სასკოლო პროექტის განხილვა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება მათი დანერგვის მიზნით. „როგორც კვლევების შედეგად ირკვევა, მსოფლიოში ხშირად არაა შექმნილი სამუსიკო განათლების შესაფერისი გარემო. ჩვეული მოვლენაა საკრავების, პედაგოგებისა და კურიკულუმების ნაკლებობა; ბევრ ბავშვს კი არასდროს მისცემია მუსიკალურ საკრავზე დაკვრის ან თუნდაც მასთან შეხების შესაძლებლობა.“ ამ განაცხადის საპასუხოდ იამაჰას სასკოლო პროექტი ინსტრუმენტულ სამუსიკო განათლებას უწყობს ხელს. მეთოდოლოგიის შემუშავების, მასწავლებელთა გადამზადებისა და ინსტრუმენტების ინდუსტრიის საშუალებით კორპორაცია ცდილობს, საორკესტრო საკრავებზე შესრულება სასკოლო განათლების ნაწილად აქციოს და მთელ მსოფლიოში დაამკვიდროს, „რათა მეტ ბავშვს მიეცეს მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრის შესაძლებლობა და მუსიკითა და ინსტრუმენტებით მოგვრილი სიხარულის განცდა“.

2015 წელს იაპონიაში დაწყებული პროექტი წარმატებით ინერგება ვიეტნამში, ინდონეზიაში, ინდოეთში, მალაიზიაში, ეგვიპტეში, ბრაზილიაში. 2022 წლის მონაცემებით, პროექტში ჩართულია 7 ქვეყნის 5150 სკოლის 1.270.000 მოსწავლე.

თავისი კომერციული საქმიანობიდან გამომდინარე, პროექტი მოწოდებულია, მაქსიმალურად ბევრი ბავშვი ჩაერთოს და ეხმარება მათ, განივითარონ პიროვნული და სოციალური უნარები. მოხსენებაში პარალელია გავლებული რუდოლფ შტაინერის ვალდორფის სკოლის სახელოვნებო მიმართულებასთან, სადაც საორკესტრო საკრავებზე დაკვრა, სასკოლო ორკესტრი და გუნდი სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რაც მოსწავლეთა ემოციური, სოციალური, ფიზიკური და კოგნიტური განვითარების წინაპირობად მიიჩნევა. რეკომენდებულია არსებული სისტემების გამოცდილების დანერგვა, რაც ინდივიდების განვითარებასთან ერთად მათ სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.



ინა ივანოვა
Inna Ivanova

უკრაინა
Ukraine

უკრაინის ეროვნული მუსიკალური აკადემიის ასპირანტი. მისი კვლევითი ინტერესი მოიცავს „art vocal music" (სპეციფიური ვოკალური მუსიკა?) და უკრაინულ თანამედროვე ვოკალურ მუსიკას. ის მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო მუსიკოლოგიურ კონფერენზიებზე უკრაინასა და ლიტვაში. (მან თავისი კვლევები წარადგინა უკრაინასა და ლიეტუვაში კონფერენციებზე). ინა ივანოვა არის 4 სტატიის ავტორი. ის სტაჟირებას გადის უკრაინის ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში უცხოელ სტუდენტებთან. უტარებს სტუდენტებს ლექციებს ჰარმონიაზე. თეორიულ დისციპლინებსაც ასწავლის კიევის მე-9 სამუსიკო სკოლაში.

### ლინგვისტიკისა და მუსიკოლოგიის გადაკვეთაზე: ვოკალური ნაწარმოების ვერბალური სერიის ანალიზის მეთოდი (ალა ზაგაიკევიჩის ნაწარმოების The Choven მაგალითზე)

ლინგვისტურ მეთოდებში შემუშავებული მუსიკალური კომპოზიციის სიტყვიერი კომპონენტის ანალიზში ჩართვა საყოველთაოდ მიღებული ფაქტია. ბგერისა და ტექსტის სერიებს შორის კავშირი ითვალისწინებს ლინგვისტების მიერ შემუშავებული ანალიზის მეთოდების ჩართვას მუსიკოსის მუშაობაში. ასეთი ინტერდისციპლინური კავშირების აუცილებლობა განსაკუთრებით გამძაფრდა მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც სტრუქტურალიზმი გაბატონდა სხვადასხვა სფეროში, როგორც სამეცნიერო, ასევე მხატვრულ საქმიანობაში.

ეს ნაშრომი გვთავაზობს ლინგვისტიკაში დამკვიდრებული ენის დონეების თეორიის ჩართვას ვოკალური ნაწარმოების ვერბალური კომპონენტის ანალიზის მეთოდოლოგიაში. ეს თეორია ამტკიცებს, რომ ენა არის სხვადასხვა დონის ორგანიზებული სისტემა, რომელიც შედგება ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკურ-სემანტიკური და სინტაქსური დონისა და მათი სპეციფიკური ელემენტებისგან. თითოეული ელემენტი ასრულებს თავის ფუნქციას მეტყველების გამოხატვის შესაქმნელად. მე-20 საუკუნის ბოლოს – 21-ე საუკუნის დასაწყისის კომპოზიტორები საკმაოდ ხშირად ატარებდნენ სტრუქტურულ ცვლილებებს თავიანთ ნაწარმოებებში ვერბალური სერიებით, რომლებიც კონკრეტულად ეხება სხვადასხვა ენობრივ დონეებს. ენობრივი სისტემის ელემენტები იწყებენ არა მხოლოდ სემანტიკური, არამედ დამატებითი სტრუქტურულ და ბგერაფორმირებით დატვირთვას. უკრაინელი კომპოზიტორის ალა ზაგაიკევიჩის The Choven მიკოლა ვორობიოვის პოეზიით, განიხილება ავტორის ენობრივი სისტემით მუშაობის ნიმუშად.

Inna Ivanova is a postgraduate student of National Music Academy of Ukraine. Her research interest includes art vocal music and Ukrainian contemporary vocal music. She has presented her research at the musicological conferences in Ukraine and Lithuania. Inna Ivanova is the author of 4 articles. Inna has an internship at the National Music Academy of Ukraine with foreign students. Gives students lectures on Harmony. He also teaches theoretical disciplines at Children's Music School No. 9 in Kyiv.

### At The Intersection Of Linguistics And Musicology: The Method Of Analysis Of A Vocal Work's Verbal Series (By Example Of "The Choven" By Alla Zagaykevych)

Involving developed in the linguistic methods to a music composition's verbal component analysis is a generally accepted fact. The connection between sound and text series foresees involvement of analysis methods developed by linguists into the work of a musicologist. The need for such interdisciplinary connections became especially profound in the later 20$^{th}$ century, when structuralism prevailed in various spheres both scientific and artistic activities.

This paper proposes to include the theory of language levels established in linguistics into the methodology of a vocal work's verbal component analysis. This theory postulates that language is different levels organized system from phonological, morphological, lexical-semantic, and syntactic levels and their specific elements. Each element performs its own function in creating a speech expression. Composers of the late 20$^{th}$ – early 21$^{st}$ centuries quite frequently involved structural changes into their work with verbal series, which relate specifically to various language levels. The elements of the language system begin to bear not only semantic, but also additional structural and sound-forming load. "The Choven (Boat)" by the Ukrainian composer Alla Zagaykevych, with poetry by Mykola Vorobyov, will be considered as an example of the author's work with the language system.



## ოთარ კაპანაძე
## Otar Kapanadze

საქართველო
Georgia

Otar Kapanadze, ethnomusicologist, doctor of Arts (dissertation: Georgian Round-Dance Songs: Peculiarities of Musical Language. Tbilisi, 2014). Assistant professor of V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and Dean of the faculty of composition and musicology. Tbilisi E. Mikeladze Central Music School Teacher. 2008-2012 was radio presenter of "Folkradio'' and the author of several ethnomusicological broadcast. 2012-2014 was coordinator in regions of Folklore State Centre. Is member of about 20 ethnomusicological expeditions. His main research fields are: Georgian round-dance songs; Traditional music of East Georgia highland regions; Georgian Soviet folk music; Modern state of folk music in Georgia.

### Historical-Ethnographic Regions of Georgia and folk Music

Ethnomusicology is a type of musicology, where considering an interdisciplinary data has fundamental importance. Information from various scientific fields has repeatedly helped researchers of Georgian traditional music to study issues related to the social context of music, the type of melody, age of melody and issues related to instrumental musical culture. Aim of the study is to consider the little-studied issue of Georgian ethnomusicology – the relationship of the historical-ethnographic regions of Georgia to Georgian traditional music. In the paper, mainly – on the example of the musical creature of Mtiuleti and High Imereti, will be discussed problems associated with the dialect division, degree of development of polyphony, performing style, repertoire.

ოთარ კაპანაძე, ეთნომუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (დისერტაციის თემა: „ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები". თბილისი, 2014). თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების ასოცირებული პროფესორი. ამავე სასწავლებლის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. თბილისის ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი. „ფოლკრადიოს" მუსიკალური წამყვანი და რამდენიმე ეთნომუსიკოლოგიური გადაცემის ავტორი (2008-2012 წწ.) ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორი (2012-2014 წწ.). 20-მდე ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიციის მონაწილე. კვლევის ძირითადი სფეროები: ქართული საფერხულო სიმღერები; აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტრადიციული მუსიკა; ქართული საბჭოთა ხალხური სიმღერები; ხალხური მუსიკის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში.

### საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და ხალხური მუსიკა

ეთნომუსიკოლოგია მუსიკოლოგიის ის სახეობაა, რომელშიც ინტერდისციპლინური მონაცემების გათვალისწინებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. განსხვავებულ სამეცნიერო დარგებში არსებული ცოდნა არაერთხელ დახმარებია ქართული ტრადიციული მუსიკის მკვლევართ მუსიკის სოციალური კონტექსტის, მელოდიის ტიპის, ჰანგის ხნოვანებისა თუ საკრავიერ კულტურასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში. გამოკვლევის მიზანია, მიმოიხილოს ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში ნაკლებშესწავლილი საკითხი – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიმართება ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან. ნაშრომში, უმთავრესად, – მთიულურისა და ზემოიმერული სამუსიკო შემოქმედების მაგალითზე, მიმოიხილება დიალექტურ დაყოფასთან, მრავალხმიანობის განვითარების ხარისხთან, საშემსრულებლო მანერასთან, რეპერტუართან დაკავშირებული პრობლემატიკა.



## დანიელა კასტალდო
## Daniela Castaldo

იტალია
Italy

დანიელა კასტალდო არის მუსიკოლოგიის ასოცირებული პროფესორი სალენტო-ლეჩეს უნივერსიტეტში (იტალია). მისი კვლევის სფეროები მოიცავს ძველ ბერძნულ და რომაულ მუსიკას, მუსიკალურ არქეოლოგიასა და იკონოგრაფიას და ხელოვნებაში ვიზუალური კლასიკური ტრადიციის მიღებას რენესანსიდან მე-19 საუკუნემდე. ის არის MOISA-ს პრეზიდენტი. (MOISA – ბერძნული და რომაული მუსიკისა და მისი კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება).

### ტონგ-ციმბალები ძველ რომში

ჩვ. წ. აღ.-ით მესამე და მეოთხე საუკუნეების შემდეგ, ეგვიპტეში და ჩრდილოეთ აფრიკაში დაფიქსირებულია დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც შედგება წყვილი პატარა თეფშისგან. ეს თეფშები თავის მხრივ ეყრდნობა გრძელ გაყოფილ სახელურს, რომელიც ზამბარის მსგავსად აჯახებს თეფშებს. ამ ინსტრუმენტის არსებობას ადასტურებს ეგვიპტეში ჩტარებული არქეოლოგიური გათხრები და იკონოგრაფიული ნიმუშები. რამდენიმე მოზაიკა, ტერაკოტას მცირე ზომის ქანდაკებები და ქსოვილები გვიჩვენებს, რომ ინსტრუმენტი გამოიყენებოდა როგორც სატირების ცეკვების თანხლება დიონისურ კონტექსტში და ასევე ბანკეტების დროს გამრთობი მოცეკვავე ქალების მიერ.
წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია კვლევა ამ ტიპის თეფშების დადასტურებული ხსენებების შესახებ. ხსენებებს კი ადასტურებს წერილობითი წყაროების მითითებები. ნაშრომი იკვლევს ინსტრუმენტის გამოყენების, სიმბოლური მნიშვნელობისა და გავრცელების კონტექსტს, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი იყო გვიან ანტიკურ ხანაში. ფაქტობრივად, მისი ტრადიცია შეიძლება მოძიებულ იქნას კოპტურ წყაროებში მე-6-მე-7 საუკუნემდე და დასავლურ წყაროებში მე-10 საუკუნემდე (ზოგიერთი შუა საუკუნეების ფსალმუნნი, სადაც მასზე უკრავენ მეფე დავითის თანმხლები მოცეკვავეები).

Daniela Castaldo is Associate Professor of Musicology at the University of Salento-Lecce (Italy). Her research fields concern Ancient Greek and Roman music, music archaeology and iconography, and the reception of the visual classical tradition in art from the Renaissance to the 19th century. She is the president of MOISA. The International Society for the Study of Greek and Roman Music and its Cultural Heritage.

### The Tong Cymbals in ancient Rome

The "tong cymbals" – percussion instrument documented in Egypt and North-Africa after the third and fourth century C.E. – consists of a pair of small cymbals supported on a long-forked handle which, acting like a spring, clashes the cymbals against each other. This instrument is documented in several archaeological finds coming from Egypt and by iconographic evidence. Several mosaics, terracotta statuettes, and textiles show that the instrument was used as an accompaniment to dances of satyrs in the Dionysiac context and by female entertainment dancers (such as during banquets).
This paper systematically investigates the sources concerning this kind of cymbals, verifying references in written sources. This research will investigate the contexts of use, symbolic significance, and diffusion of an instrument that appears to have been very meaningful in late Antiquity. In fact, its tradition can be followed in Coptic sources until the 6th-7th century and in the Western sources until the 10th century (some medieval Psalters where it is played by dancers accompanying King David).



## ნანა კაცია
## Nana Katsia

საქართველო/გაერთიანებული სამეფო
Georgia/UK

Musicologist, 4th year of doctorate study at Royal Birmingham Conservatoire. Nana Katsia's research interests are Messiaen's opera, medieval theatre, the aesthetics of ugliness and beauty in the Middle Ages, and the disfigurement of the musical and physical body in modernist music.

### The Representation of the Medieval Idea of Ugliness in Saint François d'Assise

This paper explores the ways both medieval and medievalist conceptions of ugliness might be linked to the physical and spiritual transformation of the protagonists and how it is realised through specific musical rhythm, such as the dochmiac rhythm in Messiaen's only opera Saint François d'Assise.

Messiaen mirrors the idea of the true humility of Saint's life and positions Le Baiser au Lépreux (act 1, Tableau 3) as the culmination of the first act. The Leper's character represents his physical and spiritual disfigurement, healed after the miracle. So, the scene can be viewed as an encounter between beauty and ugliness. Dochmiac rhythm is one of the most important compositional elements in the opera. It plays a crucial role in creating a dramatic musical narrative and structure in the composition. As such, this paper explores how Messiaen represents the medieval idea of ugliness in the opera through particular musical elements linked to the main protagonists' spiritual or physical ugliness, why Messiaen refers to dochmiac rhythm, and how they create the musical and dramatic context in the opera for the medieval aesthetic category of ugliness.

მუსიკოლოგი, ბირმინგემის სამეფო კონსერვატორიის მეოთხე წლის დოქტორანტი. მისი საკვლევი ინტერესებია: მესიანის ოპერა, შუა საუკუნეების თეატრი, სიმახინჯისა და მშვენიერების ესთეტიკა შუა საუკუნეებში და მუსიკალური და ფიზიკური სხეულის დამახინჯების საკითხი მოდერნისტულ მუსიკაში.

### შუასაუკუნეების სიმახინჯის ესთეტიკა ოლივიე მესიანის ოპერაში „წმინდა ფრანცისკ ასიზელი"

მოხსენება იკვლევს მესიანის ოპერის გმირის ფიზიკური და სულიერი ტრანსფორმაციის კავშირს შუასაუკუნეების სიმახინჯის ესთეტიკასთან მიმართებაში, კერძოდ, ოპერის მესამე სცენის Le Baiser au Lépreux („კეთროვნის ამბორი") მაგალითზე. კეთროვნის პერსონაჟი, რომელიც ოპერაში წარმოადგენს ფიზიკური და სულიერი სიმახინჯის სიმბოლოს, მესამე სცენის ბოლოს, სასწაულის შედეგად განიკურნება. ეს ეპიზოდი შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი ფაზა სიმახინჯის ესთეტიკასა და მშვენიერების ესთეტიკას შორის. მესიანი დამახინჯებული ფიზიკური სხეულისა და სულიერი სიბრმავის გადმოსაცემად მიმართავს დოჰმიურ რიტმს რომელიც მესამე სცენის (ასევე, მთლიანი ოპერის) უმთავრესი კომპოზიციური ელემენტია. მოხსენება წარმოაჩენს, თუ რატომ მიმართავს მესიანი კონკრეტულად დოჰმიურ რიტმს კეთროვნის დასახასიათებლად და როგორ ქმნის დოჰმიური რიტმი სპეციფიკურ მუსიკალურ კონტექსტს შუასაუკუნეების სიმახინჯის ესთეტიკის გადმოსაცემად.



## ოლექსანდრა კუზმინა
## Oleksandra Kuzmina

უკრაინა
Ukraine

Oleksandra Kuzmina graduated from Kharkiv I. P. Kotlyarevsky National University of Arts, Ukraine, with a Master's degree in 2015, where she studied as an opera singer and as a chamber music performer. In 2019 she obtained her PhD with a thesis "Genre Distinctiveness of Children's Opera in Composer's Practice of the 20th – Early 21st Century". Her scientific interests lie in the area of children's opera and artistic activity of modern opera singers. Since 2016 O. Kuzmina is teaching at the Department of solo singing and opera training at her Alma mater. Currently she holds the position of associate professor.

### Opera artists in Wonderland: Instagram blogs of modern singers

Social networks have become an integral part of modern people's lives. Nowadays they provide an opportunity for the previously elitist world of classical music, in particular, opera, to become closer to people and attract a new audience. Such communities at a glance allow the audience to look behind the scenes, into the process of preparing performances and concerts. Opera singers show their subscribers all stages of work, without hiding failures. This creates a sense of kinship between the artist and his audience and makes one want to return to the favorite artist again. To achieve this goal, modern opera singers (independently or with the help of content managers) use specific page management tools: live broadcasts (question-and-answer sessions with subscribers on professional or personal topics, presentation of a new concert program or roles, conversations with colleagues, etc.); stories (an artist can shift the emphasis towards purely singing activities or share both working moments and the flow of everyday life); short Reels videos (jokes related to the specifics of the singers' work, vocal exercises/tips/ideas for improvement); posts (newsletters about upcoming performances or those that reveal singers as individuals – with stories from their lives, reflections on current topics, photos from travels, etc.).

2015 წელს დაამთავრა ხარკივის კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი საოპერო სიმღერისა და კამერული მუსიკის შემსრულებლის მაგისტრის ხარისხით, 2019 წელს კი დოქტორის ხარისხი მოიპოვა დისერტაციით „საბავშვო ოპერის ჟანრული თავისებურებები XX-XXI საუკუნის საკომპოზიტორო პრაქტიკაში".
მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს საბავშვო ოპერის საკითხებს და თანამედროვე საოპერო მომღერლების არტისტულ აქტივობებს. 2016 წლიდან კუზმინა ასწავლის თავის ალმა მატერში, სოლო სიმღერისა და საოპერო მომზადების მიმართულებაზე, სადაც ასოცირებული პროფესორის პოზიცია უჭირავს.

### ოპერის არტისტები საოცრებათა სამყაროში: თანამედროვე მომღერალთა ინსტრაგრამ-ბლოგები

სოციალური ქსელები თანამედროვე ადამიანთა ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. დღესდღეობით ისინი ქმნიან შესაძლებლობას, კლასიკური მუსიკის, განსაკუთრებით ოპერის ადრე ელიტისტური სამყარო უფრო მისაწვდომი და მიმზიდველი გახდეს ახალი აუდიტორიებისთვის. საოპერო მომღერლები თავიანთ გამომწერებს მათი სამუშაოს ყველა ეტაპს აჩვენებენ ისე, რომ არც ჩავარდნებს ან ნაკლოვანებებს მალავენ. ეს ყველაფერი არტისტსა და მის აუდიტორიას შორის ერთგვარი სიახლოვის, ნათესაობის შეგრძნებას ქმნის და გამომწერს სურვილს უჩენს, კვლავ დაუბრუნდეს თავისი რჩეული მომღერლის გვერდს. ამ მიზნის მისაღწევად, თანამედროვე მომღერლები (დამოუკიდებლად, ან კონტენტ-მენეჯერის დახმარებით) იყენებენ გვერდის მართვის სპეციფიკურ ინსტრუმენტებს: ე.წ. ლაივ-სტრიმებს (გამომწერებთან კითხვა-პასუხის სესიებს პროფესიონალურ ან პერსონალურ თემებზე, ახალი საკონცერტო პროგრამის ან როლის წარდგენას, კოლეგებთან დიალოგებს და სხვ.); ე.ს. „სთორიებს" (არტისტს შეუძლია აქცენტი წმინდა სასიმღერო აქტივობებისკენ მიმართოს ან გააზიაროს სამუშაო მომენტები და ყოველდღიური ცხოვრების დინება), მოკლე ვიდეორგოლები (Reels) (მომღერლის სამუშაოსთან დაკავშირებული სპეციფიკური ხუმრობები, ვოკალური სავარჯიშოები, სასარგებლო რჩევები, მღერის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული იდეები); პოსტები (ინფორმაცია მომავალ სპექტაკლებზე, ან მომღერლის ინდივიდუალობის გამოვლინებები მათი ცხოვრების ამბებით, მიმდინარე თემებზე რეფლექსიით, მოგზაურობის ფოტოებით და ა.შ.)



# დინა ლენცნერი
## Dina Lentsner

აშშ
USA

PhD, a Professor of Music Theory and Composition at Capital University in Columbus, Ohio, USA. Her research focuses on multi-disciplinary analysis and interpretation of contemporary music with poetic and literary texts. Lentsner's scholarship, examining music of Hungarian György Kurtág, American George Crumb (in collaboration with literary and cultural studies scholar Stephanie Saunders), Estonian Lepo Sumera (in collaboration with musicologist Saale Konsap), and Latvian Ēriks Ešenvalds, has been published in the United States, Canada, France, Switzerland, Hungary, Georgia, Ukraine, and Lithuania. Lentsner's travel-companion book, The Northern Kind of Loneliness: Musical Travelogues of Ēriks Ešenvalds is being released by Musica Baltica in February 2023.

### Rising Up with Ukraine: Mediated Invitational Rhetoric of "Oi u luzi chervona kalyna"

Since the start of the russian invasion of Ukraine on February 24, 2022, "Oi u luzi chervona kalyna" ("Oh, the Red Viburnum in the meadow"), the 1914 anthem of Ukrainian Sich Riflemen, has become a symbol of the Ukrainian people's resistance and unity against the aggressor. When Ukrainian pop-musician Andriy Khlyvnyuk posted his performance of the song on Instagram, legendary English rock band Pink Floyd responded on YouTube with their rendition of the song, titled "Hey! Hey! Rise up!" featuring Khlyvniuk and powerful images of human suffering. Consequently, YouTube has exploded with dozens of "mesh-up" versions of the song, serving as a symbolic counter-argument toward the war narrative of the attacker.

Employing invitational rhetoric as our framework, we argue that Pink Floyd's video instigated a media-embodied "uprising" that signifies "an alternative view of power, one that privileges the less visible grassroots community organizing tradition" (DeLaure, 2020: 108). We maintain that the stylistic and genre variety of the song's renditions reflects the performers' own negotiation of their national and cultural identity, be it the Estonian Choral Festival's rootedness in the national awakening or the historic significance of Georgian male polyphonic singing. We conclude that the YouTube performances of "Oi u luzi chervona kalyna" represent the invitational rhetoric practices of offering an external perspective on issues of independence, cultural identity, human and national values, and freedom.

დოქტორი დინა ლენცნერი მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პროფესორია კოლუმბუსის უნივერსიტეტში (ოჰაიო, აშშ). მისი კვლევის ფოკუსშია თანამედროვე მუსიკის მულტიდისციპლინური ანალიზი და ინტერპრეტაცია პოეტურ და ლიტერატურულ ტექსტებთან ერთად. ლენცნერის კვლევები უნგრელი დიერდ კურტაგის, ამერიკელი ჯორჯ კრამბის, (ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარ სტეფანი სონდერსთან ერთად), ესტონელი ლეპო სუმერას (ესტონელ მუსიკოლოგ საალე კონსაპთან ერთად) და ლატვიელი ერიკს ეშენვალდსის შესახებ გამოცემულია აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, უნგრეთში, საქართველოში, უკრაინასა და ლიეტუვაში. 2023 წელს Musica Baltica გამოსცემს ლენცნერის გზამკვლევს „ჩრდილოური მარტოობა – ერიკს ეშენვალდსის მუსიკალური მოგზაურობა".

### აღსდექი უკრაინასთან ერთად: Oi u luzi chervona kalyna-ს გაშუალებული მოწვევითი რიტორიკა

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, სეჩის მსროლელთა 1914 წლის ჰიმნი Oi u luzi chervona kalyna-მ (ოჰ, მდელოზე წითელი ძახველი...), აგრესორის მიმართ უკრაინელი ხალხის წინააღმდეგობისა და მათი ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. როცა პოპმუსიკოსმა ანდრი ხლივნიუკმა ამ სიმღერის მისეული შესრულება ინსტაგრამზე განათავსა, ლეგენდარული „პინკ ფლოიდი" მას იუტუბზე, ამ სიმღერის საკუთარი ვერსიით გამოეხმაურა, სახელწოდებით Hey! Hey! Rise up! (ჰეი! ჰეი! აღსდექი!). მასში ჩართული იყო თავად ხლივნიუკის ვიდეოდან ფრაგმენტები და ომის განსაცდელში მყოფ ადამიანთა ტანჯვის ამსახველი ძლიერი ზემოქმედების მქონე სურათები. ამის შემდეგ იუტუბი ააფეთქა ათეულობით ვერსიამ სიმღერისა, რომელიც თავდამსხმელთა საომარი ნარატივის სიმბოლურ კონტრარგუმენტად იქცა.

ვიყენებთ რა მოწოდებით რიტორიკას, როგორც საფუძველს, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პინკ ფლოიდის ვიდეომ ერთგვარი „ამბოხების" პროვოცირება მოახდინა, რაც მეტწილად მედიაში და მის მიერ განხორციელდა და რაც ნიშნავს „ძალაუფლებაზე ალტერნატიულ ხედვას, რომელიც პრივილეგიას ანიჭებს ნაკლებად შემჩნეული საზოგადოების ორგანიზების ტრადიციას" (DeLaure, 2020: 108). ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სიმღერის ვერსიათა სტილისტური და ჟანრული მრავალფეროვნება აირეკლავს შემსრულებელთა ერთგვარ დიალოგს საკუთარ ეროვნულ და კულტურულ იდენტობაზე, იქნება ეს ეროვნულ გამოღვიძებაში ფესვგადგმული ესტონური საგუნდო ფესტივალი თუ ქართველ მამაკაცთა პოლიფონიური სიმღერის ისტორიული მნიშვნელობა. ვასკვნით, რომ იუტუბზე წარმოდგენილი Oi u luzi chervona kalyna-ს სხვადასხვაგვარი შესრულება წარმოაჩენს მოწვევით რიტორიკულ პრაქტიკებს, რომლებიც გვთავაზობენ გარე პერსპექტივებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დამოუკიდებლობა, კულტურული იდენტობა, ადამიანური და ეროვნული ღირებულებები და თავისუფლება.



## სილვია მაკომასკა
## Sylwia Makomaska

პოლონეთი
Poland

ვარშავის უნივერსიტეტის მუსიკოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-პროფესორი. მის საკვლევ ინტერესებს შორისაა ფსიქოაკუსტიკა, მუსიკის კოგნიტური და სოციალური ფსიქოლოგია. ავტორია წიგნისა „მუსიკა ყურადღების პერიფერიებზე: Musique d'ameublement-დან აუდიომარკეტინგამდე" (2021) და ათეულობით სტატიისა, რომლებიც აბსოლუტური სმენის ფენომენსა და სოციალურ ურთიერთობებში მუსიკის როლს ეძღვნება (განსაკუთრებით აინტერესებს ფონური მუსიკის პრობლემა). მონაწილეობდა ნიიგატას უნივერსიტეტის (იაპონია) და ფრედერიკ შოპენის სახელობის ვარშავის მუსიკალური უნივერსიტეტის მუსიკის აკუსტიკის დეპარტამენტის ერთობლივ სამეცნიერო პროექტში.

### შოპენის მუსიკა „ბრენდ-თეატრში" – მიმართული სტიმულაციიდან გაზიარებულ მნიშვნელობამდე

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში ხმის ჩაწერისა და რეპროდუცირების ტექნიკების სფეროში მიმდინარე სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო „ახალი საუნდ-კულტურის" განმტკიცებას, რომელსაც ახასიათებს თავდაპირველი წყაროდან და კონტექსტიდან მოწყვეტილი ჟღერადობების „აკუზმატიკური მოსმენა". ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია კლასიკური მუსიკის გამოყენება მარკეტინგული სტრატეგიის ისეთ ფორმებში, როგორებიცაა აუდიომარკეტინგი ან საუნდ-ბრენდინგი, რომლებიც გავლენას ახდენს გამგზავნის განზრახვების მიმართ მომხმარებლის პასუხზე.
ჩემი მოხსენების მთავარი მიზანია წარმოვადგინო ცალკეული მაგალითები ბრენდებისა, რომლებიც თავიანთ სტრატეგიებს აგებენ ფრედერიკ შოპენის ნაწარმოებების გარშემო, რათა სენსორული მარკეტინგის წესების თანახმად, პროდუქტის ან სერვისის გარშემო შესაბამისი გამოცდილება შექმნან და აურა ააგონ. მუსიკის სოციალური გაძლიერების მოდელი და მუსიკალური სემანტიკის იერარქიული მოდელი ამგვარი აქტივობების ეფექტურობის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური მექანიზმის გაგების ამოსავალი წერტილია. საერთო ანალიზი ავლენს, რომ მარკეტინგის პრაქტიკოსები ურთიერთზემოქმედების მქონე ორ მექანიზმზე ფოკუსირდებიან (მიმართული სტიმულაციები და მიმართული ასოციაციები). ორივე პროცესი შესაძლებელია მონაწილეობდეს მნიშვნელობების გადაცემაში, განსაკუთრებით ჯგუფურ დონეზე. ამას კი ცალკეულ წინააღმდეგობრიობებთან და ეთიკურ პრობლემებამდე მივყავართ, რომლებიც მაშინ ჩნდებიან, როცა დარწმუნებისა და მანიპულაციის საზღვრები გაბუნდოვანებულია.

Assistant professor at the Institute of Musicology (University of Warsaw). Among her scholarly interests are psychoacoustics, cognitive and social psychology of music. She is the author of a book Muzyka na peryferiach uwagi. Od musique d'ameublement do audiomarketingu (2021) and dozens of articles on the phenomenon of Absolute Pitch and the role of music in social communication (particularly devoted to the problem of background music). She has participated in research projects realised in the cooperation with prof. Ken'ichi Miyazaki (Niigata University, Japan) and with the Department of Music Acoustics (Fryderyk Chopin University of Music, Warsaw).
More information: http://imuz.uw.edu.pl/instytut/pracownicy/dr-sylwia-makomaska/

### Chopin's music in the "brand theatre" – from directed stimulation to shared meaning

Rapid development in the field of sound recording and reproduction techniques in the 20th and 21st centuries contributed to the consolidation of "new sound culture" characterized by the "acousmatic listening" of sounds detached from their original source and context. One of the most interesting examples is the use of classical music in different forms of marketing strategies such as audiomarketing or sonic branding to influence the consumers' responses according to the sender's intentions.
The main aim of my paper is to present the selected examples of brands that construct their marketing strategies around Fryderyk Chopin's works to create appropriate brand experience and build an aura around a product or a service in accordance with the rules of sensory marketing. The social enhancement model of music and the hierarchical model of musical semantics are the starting points for understanding the psychological mechanisms that determine the effectiveness of such activities. The overall analysis reveals that marketing practitioners focus on two complementary mechanisms ("directed stimulations and "directed associations"). Both processes can take part in the transmission of meanings especially on a group level. It leads to some controversies and ethical problems that appear when the border between persuasion and manipulation seems to be blurred.

სოფიო მოდებაძე
Sophio Modebadze

საქართველო
Georgia



Doctor of philosophy, From 2018 till now Invited lecturer at Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and Shota Rustaveli Theatre and film Georgian State University. She is the author of a lecture course “the philosophy of music“. She received her Doctor’s Degree in Philosophy (2017) the dissertation thesis “Philosophical aspects of music“. The result of her research are presented in a number of local and International scientific conferences and published in local and International scientific journals: “Intellectual“ (2014); “Religion“ (2014; 2015); “Mermisi“ (2015); “Philosophical- Theological Reviewer“ (2022). Scientific collections since 2015: collection of reports: science forum dedicated to Ivane Javakhishvili’s memory (2015); The themes of the interdisciplinary conference of Students and Young Scientist, Georgian National Academy of Sciences (2015; 2018); “Praiseworty of the idea of nation“, Anniversary collection dedicated to the 130th anniversary of the great Georgian Scholar Professor Sergi Danelia (2018); III International Symposium of Young Scholars in the Humanities“, Symposium proceedings ( 2020).

## Music in the types and philosophical concepts of culture

The purpose of the study is to discuss the impact and role philosophical concepts play in the formation and development of musical art in different eras.

The research strategy is to discuss each musical-philosophical concept closely related to the cultural trends of the era. In order to determine whether the systems of perception and evaluation of musical arts are changing and what remains unchanged, which determines the essence of music.

In the course of the research, I will discuss all the main issues of the philosophy of music, which will be a kind of orientation in the scientific experience accumulated in this field and the basis for the following research related to the issue. The topic is relevant, at the same time, necessary for research on the philosophy of music. Conflicting opinions of philosophers in different eras, musical arts will be presented. In order to determine what determines the philosophical essence of music.

Thus, the main goal is to examine the relationship between music and philosophy in the types and philosophical concepts of different cultures, to determine the philosophical aspects of music, and at the same time to show whether philosophical concepts influence the development of music from beginning to present. This goal is implementable because the theory of music crosses with philosophical thinking from early, antique philosophy to the present. The study contains little observation of why music theory is related to the main goals of philosophical thinking.

ფილოსოფიის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2018 წლიდან დღემდე. ავტორი სალექციო კურსის „მუსიკის ფილოსოფია“. 2017 წელს მიენიჭა დოქტორის ხარისხი ფილოსოფიის სპეციალობაში, სადისერტაციო თემა: „მუსიკის ფილოსოფიური ასპექტები“, კვლევის შედეგები წარმოდგენილია არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაზე, დაბეჭდილია პუბლიკაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში: „ინტელექტუალი“ (2014); „რელიგია“ (2014; 2015); „მერმისი“ (2015); „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი“ (2022). სამეცნიერო კრებულებში 2015 წლიდან: კრებ. „ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმის მოხსენებები“ (2015); კრებ. „სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ინტერდისციპლინური კონფერენციის თეზისები“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (2015; 2018); „ერის იდეის მებაირახტრე“, საიუბილეო კრებული ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერის, პროფესორის სერგი დანელიას 130-ე წლისთავს (2018); „ახალგაზრდა მეცნიერთა III საერთაშიროსო სიმპოზიუმი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სამეცნიერო მოხსენებათა კრებული (2020).

## მუსიკა კულტურის ტიპებსა და ფილოსოფიურ კონცეფციებში

კვლევის მიზანია, განვიხილოთ თუ რა გავლენას ახდენს და რა როლს თამაშობს ფილოსოფიური კონცეფციები მუსიკალური ხელოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე სხვადასხვა ეპოქაში.

კვლევის სტრატეგიას წარმოადგენს თითოეული მუსიკალურ-ფილოსოფიური კონცეფცია განვიხილოთ ეპოქის კულტურულ ტენდენციებთან მჭიდრო კავშირში. იმისათვის რომ განვსაზღვროთ იცვლება თუ არა მუსიკალური ხელოვნების აღქმისა და შეფასების სისტემები და რა რჩება უცვლელი, რაც მუსიკის არსს განაპირობებს.

კვლევის პროცესში განვიხილავ მუსიკის ფილოსოფიის ყველა იმ ძირითად საკითხს, რაც ამ სფეროში დაგროვილ მეცნიერულ გამოცდილებაში ერთგვარი ორიენტირების საშუალება იქნება და საფუძველი საკითხთან დაკავშირებული შემდეგი კვლევებისთვის.

კვლევა აქტუალურია და, ამავე დროს, აუცილებელი მუსიკის ფილოსოფიის კვლევებისთვის. წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ეპოქაში ფილოსოფოსების ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები მუსიკალური ხელოვნების შესახებ. იმისათვის რომ დავადგინოთ რა განსაზღვრავს მუსიკის ფილოსოფიურ არსს.

მოხსენების მთავარი მიზანია, გამოვიკვლიოთ ურთიერთობა მუსიკასა და ფილოსოფიას შორის სხვადასხვა კულტურის ტიპებსა და ფილოსოფიურ კონცეფციებში, განვსაზღვროთ მუსიკის ფილოსოფიური ასპექტები და ამავე დროს, ვაჩვენოთ ახდენს თუ არა გავლენას ფილოსოფიური კონცეფციები მუსიკის განვითარებაზე დასაწყისიდან დღევანდელობამდე. ეს მიზანი განხორციელებადია, რადგან მუსიკის თეორია გადაკვეთილია ფილოსოფიურ აზროვნებასთან ადრეული, ანტიკური ფილოსოფიიდან დღემდე. კვლევა შეიცავს მცირე დაკვირვებას რატომ არის მუსიკის თეორია დაკავშირებული, ფილოსოფიური აზროვნების ძირითად მიზნებთან.



## მარიკა ნადარეიშვილი
## Marika Nadareishvili

საქართველო
Georgia

მარიკა ნადარეიშვილი – მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; მიჰყავს სპეციალობისა და თეორიული დისციპლინები საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება თანამედროვე და ძველი მუსიკის თეორიას, საკომპოზიტორო ტექნიკასა და დამწერლობის პრობლემებს. 40-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთა შორისაა ლექციათა კურსები პოლიფონიაში, მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზში (თანაავტორი), ქრესტომათია ჰარმონიაში (თანაავტორი). იგი რეგულარულად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში; მიღებული აქვს DAAD (2012) და საქართველოს პრეზიდენტის (1997-2000) სტიპენდიები, დაფინანსება კვლევითი გრანტებისა და პროექტებისთვის. სხვადასხვა დროს იყოს თსკ-ს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი (2008-2010), სასწავლო დეპარტამენტის უფროსი (2010-2013), კვლევის დეპარტამენტის უფროსი (2013-2022).

### გრაფიკული და ვერბალური პარტიტურების ანალიზის ზოგიერთი ასპექტი

მუსიკალური ტექსტში არამუსიკალური სიმბოლოების გამოყენების პრაქტიკა საუკუნეებს ითვლის. თანამედროვე, არასტანდარტულად ნოტირებული სანოტო ტექსტის ანალიზი ერთგვარი გამოწვევაა მკვლევრისთვის, ვინაიდან განსხვავებული და დამატებითი კონტექსტისა თუ კრიტერიუმების გამოკვეთა და გათვალისწინება გიწევს. გრაფიკული ან ვერბალური ნოტაციით ფიქსირებული მუსიკალური იდეა შესრულებიდან შესრულებამდე, შესაძლოა, უმნიშვნელოდ ან რადიკალურად იცვლებოდეს. შესაბამისად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია – რეალიზების რამდენი ვერსიაა ჩადებული გრაფიკულ თუ ვერბალურ პარტიტურაში. ამგვარი მუსიკალური ტექსტის ანალიზისას გადასაწყვეტია – წავიკითხოთ, მივუდგეთ მას, როგორც ვიზუალური ხელოვნების ნიმუშს (გრაფიკული პარტიტურა), როგორც ლიტერატურულ ნიმუშს (ვერბალური პარტიტურა), როგორც ერთგვარ ენას მისთვის დამახასიათებელი სინტაქსით?
მოხსენებაში განხილულია გრაფიკული (სიმბოლური და ფერწერული ნაირსახეობები) და ვერბალური (ინსტრუქციული და ალუზიური ნაირსახეობები) ნოტაციით შესრულებული კომპოზიციები. რენესანსისა და XX-XXI სს. ევროპული და ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების ანალიზისას ყურადღება გამახვილებულია კომპოზიციაში ინდეტერმინიზმის სხვადასხვა დონეებზე მოქმედების ფენომენზე, სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებებში მსგავსი, არასტანდარტული ნოტაციის გამოყენების ესთეტიკურ, ტექნოლოგიურ და კომპოზიციურ მსგავსება/განსხვავებაზე.

Marika Nadareishvili – Musicologist, PhD in Art studies, the Head of the Music Theory Department at TSC, Associate professor; leads theoretical courses on BA, MA and Doctoral programs. Her scientific interest is focused on the study of contemporary and early music theory, compositional techniques and notation problems. She is the author up to 40 scientific articles, course of lectures. Regularly participates in national/international conferences; received DAAD (2012) and Georgian President's (1997-2000) scholarships, research grants. At various times she was Academic secretary of the Scientific Council (2008-2010), Head of Study Department (2010-2013), Head of Research Department (2013-2022), Head of Music Theory Department at TSC.

### Some Aspects of Analysis of Graphic and Verbal Scores

The practice of using non-musical symbols in musical text dates back centuries. The analysis of a modern, non-standard notated text is a challenge for the researcher since you have to highlight and take into account different and additional contexts or criteria. A musical idea introduced in graphic or verbal notations may change slightly or radically from performance to performance. Therefore, one of the issues is how many versions of the realization are included in the graphic or verbal score. When analyzing such a musical text, it is up to us to read it, to approach it as a piece of visual art (graphic score), a literary sample (verbal score), or a kind of language with its syntax.
Compositions made with graphic (symbolic and pictorial varieties) and verbal (instructive and allusive varieties) notation are discussed in the presentation. In the analysis of samples of European and Georgian professional music of the Renaissance and contemporary music, attention is focused on the action of indeterminism at different levels of composition, the aesthetic, technological, and compositional similarity of the use of similar, non-standard notation in works of different eras.

## ჯონ ნელსონი
## John Nelson

ფინეთი
Finland



John Nelson has always been involved with music although pursuing a career elsewhere. Between 1995-2007 he assisted the Mikkeli Music Festival and was Intendant from 2001-2007.
In 2006 John gained his B.A. (Hons) in Opera Studies and was awarded a PhD from the Faculty of Arts, University of Helsinki in 2013. The thesis was entitled The significance of Rimsky-Korsakov in the development of a Russian national identity. His book The Political in Rimsky-Korsakov's Operas was published last year. John has an interest in the interaction between the arts and the socio-political aspects of national identity.

### How Important is the Audience for Political Criticism through Opera?

Opera in the 19th century was a place to be seen, discuss business, rather than concentrating on the music. However, it was an ideal forum for commenting on accepted, and often questionable, norms of society as well as attacking State politics. Much has been written about the scrutiny of Mozart's, Rossini 's and Verdi's operas. In Russia the strained political relationship between Shostakovich and Stalin is often highlighted.
Rimsky-Korsakov's opera The Maid of Pskov is frequently mentioned in discussion on censorship due to its reference to Pskov's independence or The Golden Cockerel's portrayal of an out-of-touch tsar. Prior to the abolishment of the Imperial Theatre Monopoly in 1882, the main forum for opera was the Mariinsky Theatre with its upper class and court-centred audience. Russian composers were not in vogue; St. Petersburg had European tastes. Within the majority of Rimsky-Korsakov's operas there is political criticism. It was though the support of the developing Moscow business community that a middle-class intellectual audience grew whose views accorded with the composer. This paper analyses his politics through his operas. Special attention is drawn towards the tsarist policies directed at Poland and Ukraine and the operas May Night, Christmas Eve and Pan Voyevoda.

მიუხედავად იმისა, რომ მისი თავდაპირველი კარიერა მუსიკაში არ წარმართულა, ჯონ ნელსონი მუდმივად იყო ჩართული მუსიკალურ პროცესებში. 1995-2001 წლებში მიკელის მუსიკალურ ფესტივალზე ასისტენტად მუშაობდა, 2001-2007 წლებში კი ამავე ფესტივალის ინტენდანტი იყო.
2006 წელს ოპერის კვლევების ბაკალავრის, ხოლო 2013 წელს, ჰელსინკის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტზე დოქტორის ხარისხი მოიპოვა დისერტაციით „რიმსკი-კორსაკოვის მნიშვნელობა რუსული ეროვნული იდენტობის განვითარებაში". გასულ წელს გამოვიდა მისი წიგნი სახელწოდებით „პოლიტიკური რიმსკი-კორსაკოვის ოპერებში". ჯონ ნელსონის საკვლევი ინტერესების სფეროს წარმოადგენს ხელოვნებათა და ეროვნული იდენტობის სოციო-პოლიტიკურ ასპექტთა ურთიერთქმედება.

### რამდენად მნიშვნელოვანია აუდიტორია ოპერის მეშვეობით პოლიტიკის კრიტიკისას?

მეცხრამეტე საუკუნეში, ოპერა იყო ადგილი, სადაც ადამიანები უფრო მეტად საკუთარ თავებს საჯაროდ წარმოაჩენდნენ და საქმეებს განიხილავდნენ, ვიდრე მუსიკაზე კონცენტრირდებოდნენ. და მაინც, ეს იტო იდეალური ფორუმითუმცა, ეს იყო იდეალური ფორუმი საზოგადოების მიღებულ, ხშირად – საეჭვო ნორმებზეც კომენტარისთვის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკაზე თავდასხმისთვის. ბევრი და დაწვრილებით დაწერილა მოცარტის, როსინის, ვერდის ოპერების ამ ასპექტზე, რუსეთში ხშირად უსვამენ ხაზს დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას სტალინსა და შოსტაკოვიჩს შორის.
რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „ფსკოველ ქალს, ფსკოვის დამოუკიდებლობის ხსენების გამო, და „ოქროს მამალს" – ყოვლად უუნარო ცარის პორტრეტის დახატვის გამო – ხშირად ახსენებენ ცენზურაზე დისკუსიებისას.
1882 წელს, საიმპერატორო თეატრის მონოპოლიის გაუქმების შემდეგ, მთავარ საოპერო ფორუმად სასახლის კარისა და მაღალი კლასის აუდიტორიაზე ორიენტირებული „მარიინსკი" თეატრი იქცა. რუსი კომპოზიტორები მოდაში აღარ იყვნენ, პეტერბურგში ევროპული გემოვნებას ბატონობდა. რიმსკი-კორსაკოვის ოპერების უმეტესობაში პოლიტიკური კრიტიკაა წარმოდგენილი. მით უფრო, რომ მოსკოვის საქმიანი წრეების მხარდაჭერით განვითარდა საშუალო კლასის წარმომადგენელი ინტელექტუალური აუდიტორია რომელთა შეხედულებებიც კომპოზიტორისას ემთხვეოდა. მოხსენებაში რიმსკი-კორსაკოვის პოლიტიკური იდეები მისივე ოპერების მეშვეობითაა გაანალიზებული, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლონეთისა და უკრაინისადმი მიმართული ცარისტული პოლიტიკის კრიტიკას ოპერებში „მაისის ღამე", „შობის წინა ღამე" და „პან ვოევოდა".



## კატერინა პალაჩოვა
## Kateryna Palachova

უკრაინა
Ukraine

კატერინა პალაჩოვამ 2020 წელს დაამთავრა ხარკივის ი. პ. კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტი, კომპოზიციის სპეციალობით (პროფესორ ვ. პტუშკინის კომპოზიციის კლასი). ახლა ამავე უნივერსიტეტის ინტერპრეტაციისა და მუსიკის ანალიზის მიმართულების დოქტორანტი და, ასევე, კომპოზიციისა და ინსტრუმენტობის განყოფილების მასწავლებელია. 2019 წლიდან კატერინა პალაჩოვა მუშაობს ხარკივის აფანასიევის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თოჯინების თეატრში მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელად. ის წერს მუსიკას სპექტაკლებისათვის, გაფორმებული აქვს არაერთი სპექტაკლი უკრაინისა და უცხოეთის თეატრების სპექტაკლებისათვის.

### მუსიკა ხარკივის აფანასიევის სახელობის თოჯინების თეატრში ომისდროინდელი სპექტაკლების მაგალითზე (2022-2023)

კვლევის მიზანია გამოავლინოს ხარკივის ვ. ა. აფანასიევის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თოჯინების თეატრის სპექტაკლებში მუსიკის ფუნქციონირების სპეციფიკა, მისი ისტორიის უახლეს პერიოდში (2022-2023 წწ). თეატრი არის ხარკივის სკოლის რეჟისორებსა და კომპოზიტორებს შორის თანამშრომლობის ტრადიციების მატარებელი და ამავე დროს – პლატფორმა შემოქმედებითი ძიებებისა და ექსპერიმენტებისთვის, რამაც თეატრი 21-ე საუკუნის დასაწყისში ახალ მხატვრულ დონეზე აიყვანა. თეატრის ისტორიის უახლესი პერიოდი დაკავშირებულია მისი მთავარი რეჟისორის ოქსანა დმიტრიევას სპექტაკლებთან და გამოირჩევა სპექტაკლების მუსიკალური დიზაინისადმი პრინციპული მიდგომით: მუსიკა გვევლინება, როგორც ზოგადი სასცენო მოქმედების განუყოფელი და მნიშვნელოვანი კომპონენტი და სემანტიკური კოდის მატარებელი. ომის დროს თეატრის სპექტაკლებში თანამედროვე უკრაინული ხელოვნება ვლინდება არა მხოლოდ როგორც მოვლენების მხატვრული ასახვა და დოკუმენტაცია, არამედ როგორც სამოქალაქო წინააღმდეგობის აქტი.

Kateryna Palachova graduated from Kharkiv I. P. Kotlyarevsky National University of Arts in 2020 as a composer (professor V. Ptushkin's composition class). Now she is a postgraduate student of the Department of Interpretation and Music Analysis and a teacher of the Department of Composition and Instrumentation in Kharkiv I. P. Kotlyarevsky National University of Arts. Since 2019 Kateryna Palachova works as a head of music department in Kharkiv V. A. Afanasiev State Academic Puppet Theater. She is the author of music for performances in Ukrainian and foreign theaters.

### Music in Kharkiv V. A. Afanasiev State Academic Puppet Theater (Ukraine) on the examples of wartime performances (2022-2023)

The purpose of the research is to reveal the specifics of the music's functioning in the performances of Kharkiv V. A. Afanasiev State Academic Puppet Theater in the latest period of its history (2022-2023). The Theater is a carrier of traditions of cooperation between directors and composers of the Kharkiv school, and at the same time – a platform for creative searches and experiments that brought the Theater to a new artistic level at the beginning of the 21st century. The latest period of the Theater's history is associated with the performances of its main director Oksana Dmitrieva and is marked by a principled approach to the music design of the plays: music appears as an integral and important component of general stage action and a carrier of semantic codes for understanding the artistic idea of the play. In wartime performances of the Theater, contemporary Ukrainian art reveals itself not only as an artistic reflection and documentation of events, but also as an act of civil resistance.

## რიმა პოვილიონიენე
## Rima Povilionienė

ლიეტუვა
Lithuania



Rima Povilionienė, Ph.D. is a full-time professor at the Department of Musicology of the Lithuanian Academy of Music and Theatre (LAMT), the assistant editor-in-chief of the scientific yearly publication Lithuanian Musicology, and an editor at the Lithuanian National Philharmonic. She has held a research position at the International Semiotics Institute (ISI) at Kaunas University of Technology. Rima interned at the Institute of Musicology at Leipzig University (2004) and IRCAM (2012, 2019, and 2022). She has been a guest lecturer at such institutions as Leipzig University, the Belgrade University of Arts, the Jazeps Vitols Latvian Academy of Music, the Tbilisi Conservatoire, Vilnius University, and the Kaunas University of Technology.
Rima has edited over 15 collections and published over 30 academic texts and nearly 200 critic reviews. Her monograph Musica Mathematica (in Lithuanian, 2013) was awarded the Vytautas Landsbergis Prize for the best musicological work of the year. The English edition of the monograph was published by Peter Lang in 2016. She is a coauthor of the monograph “Vox Humana Craftsmanship: Origins, Intersections and Influence on Lithuanian Pipe Organ Building” (Springer, 2022 December) with Lithuanian historical organ restorer and researcher Dr. Girėnas Povilionis and Italian organ researcher and musician Dr. Diego Cannizzaro.

### Čiurlionis's Piano Works: Digital Documentation and Critical Edition as the Response to Music Encoding Initiative

The report focuses on an interdisciplinary approach to complete piano works by Čiurlionis (1875-1911) creating a comprehensive interactive database. The creation of interactive score website is timely relevant, because up to now, Ciurlionis’s work has been propagated online in several websites that are rather traditional catalogs. Moreover, the need to rethink, critically analyze and digitize the legacy of Lithuanian academic music from the 20th c. beginning reflects the recent relevance for intensifying worldwide practice in digital humanities and the Music Encoding Initiative (MEI). The initiated database focuses on Čiurlionis’s piano compositions, which contain nearly 200 units of complete or nearly complete works. The collected different versions of the same piano piece, appended with the studies of Čiurlionis’s epistolary and notebooks, allow reconstructing the composing process and creating a critical edition, as well as publicly accessed online representation of Čiurlionis’s piano oeuvre applying the machine-readable structure and higher-level XML programming. The report is prospected to overview the initial stage and methodological approach of a joint scientific research, implemented by Lithuanian musicologists and IT professionals and funded by Lithuanian Research Council. Launched on 1 July 2022 the project will finalize by the end of 2024 presenting an interactive critical edition of Ciurlionis’s piano works.

დოქტორი რიმა პოვილიონიენე ლიეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის მუსიკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორია, ასევე გახლავთ ყოველწლიური სამეცნიერო პუბლიკაციის Lithuanian Musicology რედაქტორის ასისტენტი და ლიეტუვის ნაციონალური ფილარმონიის მთავარი რედაქტორი. ასევე, მკვლევრის პოზიციით მუშაობდა კაუნასის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის საერთაშორისო სემიოტიკურ ინსტიტუტში, სტაჟირებას გადიოდა ლაიფციგის უნივერსიტეტსა (2004) და IRCAM-ში (2012, 2019, 2022). იყო მიწვეული ლექტორი ლაიფციგის უნივერსიტეტში, ბელგრადის ხელოვნების უნივერსიტეტში, ლატვიის მუსიკის აკადემიაში, თბილისის კონსერვატორიაში, ვილნიუსის უნივერსიტეტში და კაუნასის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში.
რიმა 15 კრებულის, 30-ზე მეტი გამოქვეყნებული აკადემიური ტექსტის და ორასამდე კრიტიკული მიმოხილვის რედაქტორია. მისი მონოგრაფია Musica Mathematica (ლიეტუვურად, 2013) ვიტაუტას ლანდსბერგისის პრიზით დაჯილდოვდა, როგორც წლის საუკეთესო მუსიკოლოგიური ნამუშევარი. მონოგრაფიის ინგლისური ვერსია დაბეჭდა პიტერ ლანგმა 2016 წელს. ისტორიული ორგანების ლიეტუველ რეკონსტრუქტორთან და მკვლევართან, დრ. გირენას პოვილიონისთან და იტალიელ ორგანის მკვლევართან და მუსიკოსთან, დრ. დიეგო კანიცაროსთან ერთად თანაავტორია მონოგრაფიისა „Vox Humana ოსტატობა: წარმომავლობა, ურთიერთგადაკვეთა და გავლენა ლიეტუვური ორგანის აგებაზე“, (Springer, 2022 წლის დეკემბერი).

### ჩურლიონისის საფორტეპიანო შემოქმედების ციფრული დოკუმენტირება და კრიტიკული გამოცემა, როგორც პასუხი მუსიკის ენკოდირების ინიციატივაზე

მოხსენების თემაა ჩურლიონისის (1875-1911) სრული საფორტეპიანო შემოქმედებისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა ყოვლისმომცველი ინტერაქტიული მონაცემთა ბაზის შექმნით. პარტიტურების ინტერაქტიული ვებსაიტის შექმნა დროის თვალსაზრისითაც აქტუალურია, რადგანაც, დღემდე, ჩურლიონისის ნამუშევრები რამდენიმე ინტერნეტსაიტზე ვრცელდებოდა, რომლებიც, მეტწილად, ტრადიციულ კატალოგებს წარმოადგენენ. ამასთან ერთად, მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიეტუვური აკადემიური მუსიკის მემკვიდრეობის გადააზრების, კრიტიკული ანალიზისა და გაციფრების საჭიროება აირეკლავს ციფრული ჰუმანიტარული მეცნიერებების მსოფლიო პრაქტიკის გააქტიურებას და მუსიკალური ენკოდირების ინიციატივას (MEI). ინიცირებული მონაცემთა ბაზა ჩურლიონისის საფორტეპიანო ნაწარმოებებზეა კონცენტრირებული და შეიცავს თითქმის ორას ერთეულ დასრულებულ ან თითქმის დასრულებულ ნაწარმოებს, ასევე, ათეულობით დაუსრულებელ ფრაგმენტებს და შემორჩენილ ესკიზებს. ერთი და იგივე პიესის სხვადასხვა ვერსიის შეგროვებით, რომლებსაც კომპოზიტორის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და უბის წიგნაკებში დაცული ჩანაწერების კვლევაც ემატება, საშუალება გვეძლევა, აღვადგინოთ საკომპოზიტორო შემოქმედებითი პროცესი და შევქმნათ კრიტიკული გამოცემა, ისევე, როგორც ჩურლიონისის საფორტეპიანო შემოქმედების საჯაროდ ხელმისაწვდომი ონლაინ ნიმუშები, სადაც გამოყენებულია ავტომატურად კითხვადი სტრუქტურა და მაღალი დონის XML პროგრამირება. მოხსენებაში შემოთავაზებულია პროექტის საწყისი ეტაპის მიმოხილვა და ლატვიელი მუსიკოლოგებისა და IT პროფესიონალების მიერ დანერგილი ერთობლივი სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა, დაფინანსებული ლიეტუვის კვლევის საბჭოს მიერ. 2022 წლის პირველ ივლისს გაშვებული პროექტი 2024 წელს დასრულდება და წარმოადგენს ჩურლიონისის საფორტეპიანო ნაწარმოებების ინტერაქტიულ კრიტიკულ გამოცემას.



## სვიტლანა პოსტოვოიტოვა
## Svitlana Postovoytova

უკრაინა
Ukraine

სვიტლანა პოსტოვოიტოვა უკრაინის მუსიკის ეროვნული აკადემიის მაგისტრატურის სტუდენტია. მისი კვლევითი ინტერესები ფოკუსირებულია XX-XXI საუკუნის მუსიკის პოლიფონიის საკითხებზე. 2019 გამარჯვება პირველი და ხარისხის დიპლომი მოიპოვა სრულიად უკრაინის მასშტაბით სტუდენტების სამეცნიერო კონკურსში „მუსიკალური ხელოვნებისა" და „კულტურის კვლევების" მიმართულებით ნამუშევრისთვის „თემა, როგორც ინტონაციურ-სტრუქტურული initio მეოცე საუკუნის ფუგებში", არის ექვსი სტატიის ავტორი და რეგულარულად მონაწილეობს უკრაინის სამეცნიერო კონფერენციებში.

### ბორისლავ სტრონკოს კომპოზიციური მეთოდი: კომპოზიციის ფილოსოფია და ტექნიკა

ბორისლავ სტრონკო უკრაინელი კომპოზიტორი, ხელოვნებათმცოდნე და პედაგოგია. ის სამი სიმფონიის, ვოკალური და კამერული ნაწარმოებების სერიების ავტორია, უკანასკნელი ორი დეკადის განმავლობაში მისი შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ელექტროაკუსტიკურ მუსიკას მოიცავს.
სხვადასხვაგვარი სტილური ძიებები, ბოლო არტისტული ტრენდებისადმი ღიაობა, ევროპული და აღმოსავლური მუსიკალური აზროვნების პრინციპების სინთეზი მისი მუსიკალური ესთეტიკის მთავარი კომპონენტებია. კომპოზიტორის მსოფლმხედველობის საფუძველი ფილოსოფიური იდეების სინთეზია: ცენტრალური კონცეპტი მარტინ ჰაიდეგერისეული სივრცის ოთხგანზომილებიანობაა, რომელიც ორგანულად უერთდება არტურ შოპენჰაუერის ცალკეულ იდეებს, ალბათობის თეორიას, შემთხვევით პროცესებსა და სინერგიულ მიდგომებს ( 2003 წელს ბოლესლავ სტრონკომ დაიცვა დისერტაცია თემაზე „არსებითი დროის სტატუსი მუსიკაში").
ფილოსოფიური იდეების სინთეზის საფუძველზე, კომპოზიტორი აყალიბებს კონცეპტს „მოხეტიალე/გაჩერებული მუსიკალურ სივრცეში".
ერთი მხრივ, კომპოზიტორი ცდილობს შექმნას უნიკალური თეორიული კონცეფცია, რომელიც მისი კომპოზიციებისთვის თეორიული საფუძველი ხდება, მეორე მხრივ – ის უბრალოდ კი არ ეძიებს ერთ მეთოდს ან სტილს, არამედ იდეის წესს მიჰყვება: სწორედ ეს იდეა ხდება აზროვნების ერთეული, აყალიბებს ცნობიერებას თითოეულ სპეციფიკურ შემთხვევაში ა. ტოინბის გამოწვევა-და-პასუხის" ალგორითმის ანალოგიით.
ბოლესლავ სტრონკოს ელექტროაკუსტიკური ნაწარმოებები საექსპერიმენტო სივრცედ იქცევა: „ღამის აკორდი", „ლაბირინთ-აკორდი", „დიალოგები ალბათებთან", „დრო-კრისტალი". ყველა მათგანი აუდიო-ვიზუალურ კომპლექსადაა ჩაფიქრებული და აჩვენებს მთავარ იდეას: ბგერის მარადიულ სივრცეში დარჩენას, რომელიც სხვადასხვაგვარადაა განსხეულებული ტექნიკების ნაირგვარი კომპლექსებით. სერიალიზმის, ალეატორიკისა და მინიმალიზმის პრინციპები ცალკეულ ნაწარმოებებში ინდივიდუალურად გამოიყენება.

Svitlana Postovoytova is a postgraduate student of the National Music Academy of Ukraine. She is focused on the problems of polyphony in the music of the $20^{th}$-$21^{st}$ centuries. In 2019, she became the winner of the All-Ukrainian competition of student scientific works in "Musical Art" and "Cultural Studies" (diploma of the first degree), The topic of her work is "Theme as an intonation-structural initio of the fugue in the music of the $20^{th}$ century". She is an author of six articles and regularly participates in Ukrainian scientific conferences.

### The compositional method of Boryslav Stronko: philosophy and technique of composition

Boryslav Stronko is a Ukrainian composer, an art critic and a teacher. He is the author of three symphonies, a series of vocal and chamber works for various instruments, including the organ. A significant part of the creativity of the last two decades consists of electroacoustic works.
Diverse stylistic searches, openness to the latest trends, synthesizing the principles of European and Eastern musical thinking are the main components of the composer's musical aesthetics. The basis of the composer's worldview is a synthesis of philosophical ideas: the central concept is Martin Heidegger's four-dimensionality of space, which is organically joined by individual thoughts of Arthur Schopenhauer, the theory of probability and random processes, and a synergistic approach (in 2003, Boryslav Stronko defended his PhD thesis "The Status of Essential Time in Music") .
Based on the synthesis of philosophical ideas, the composer forms the concept of "wandering/staying in musical space". On the one hand, the composer tries to create a unique theoretical concept that will become the basis of the compositions, and on the other hand, he is not just looking for a single method or style, but is guided by the rule of the idea: it is the idea that becomes the unit of thinking, forms consciousness in each specific case by analogy with the algorithm "Challenge-and-Response" A. Toynbee.
Electroacoustic works by Boryslav Stronko become a space for experiments: "Chord of night", "Labyrinth Chord", "Dialogs with eventualities", "Time Crystal". All of them are thought of as an audio-visual complex and demonstrate the main idea of staying in the eternal space of sound, which is embodied in different ways through a variable complex of techniques. The synthesis of the principles of dodecaphony, serialism, aleatorics and minimalism acquires individuality in each individual work.

# ევჰენია პროდოუსი
# Yevheniia Prodous

უკრაინა
Ukraine



In 2022, Yevheniia received a master's degree in piano at the Kharkiv I.P. Kotlyarevsky National University of Arts. During her studies, she became a laureate of international competitions and participated in a variety of concerts, concert-lectures and festivals.
Currently Yevheniia is a postgraduate Student of the 1st year of studying at the Department of Interpretology and Music Analysis of the same University. Since October 2022, she is also a member of the Council of Young Scientists there.

## Style Dominants Of The Musical Creativity Of Myroslav Skoryk

The purpose the paper is to determine which parameters of the style of musical creativity can, on the one hand, serve as markers of its attribution, and on the other hand, be responsible for its integrity. We define such parameters as style dominants. As one of the factors of the creative process, they fulfill two functions: first, it illustrates the specific properties of a certain individual style; second, it is a factor that determines the formation of this specificity. The dominant determines the behavior of a certain subject, and therefore is related to the structure of his personality.
The material of the study is the creativity of the outstanding Ukrainian composer and musicologist Myroslav Skoryk (1938-2020). The beginning of his career is associated with the Sixties, an artistic and political movement that was significant for the development of Ukrainian art in the XX century, which united many artists in search of freedom of expression. Composers of the Sixties actively comprehended the artistic pursuits of representatives of the Western European avant-garde, but these interests did not affect Skoryk. The dominant features of his style of music are: reproduction of the melody of Ukrainian folklore, fascination with jazz and a tendency to polystylistics.

2022 წელს ევჰენიამ მიიღო მაგისტრის ხარისხი ფორტეპიანოს სპეციალობით ხარკივის ი. პ. კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტში. სწავლის პერიოდში გახდა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი და მონაწილეობდა სხვადასხვა კონცერტებში, კონცერტ-ლექციებსა და ფესტივალებში.
ამჟამად ევჰენია ამავე უნივერსიტეტის ინტერპრეტოლოგიის და მუსიკის ანალიზის განყოფილების დოქტორანტურის პირველი კურსის სტუდენტია. 2022 წლის ოქტომბრიდან აქვე არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს წევრი გახლავთ.

## მიროსლავ სკორიკის მუსიკალური შემოქმედების სტილური დომინანტები

წინამდებარე კვლევის მიზანია კონკრეტული მუსიკალური შემოქმედების სტილური თავისებურებების კვლევა, იმის დადგენა თუ რომელი პარამეტრები შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, მიკუთვნილობის მარკერი, მეორე მხრივ კი მთლიანობაზე პასუხისმგებელი. ამგვარი პარამეტრები კვლევაში განისაზღვრება, როგორც სტილის დომინანტები. როგორც შემოქმედებითი პროცესის ერთ-ერთი ფაქტორი, ეს პარამეტრები ასრულებენ ასრულებს ორმაგ ფუნქციას: ერთის მხრივ ასახავენ ინდივიდუალური სტილის სპეციფიკურ მახასიათებლებს, ხოლო მეორე მხრივ განსაზღვრავენ სპეციფიკის ფორმირებას. დომინანტი განსაზღვრავს გარკვეული სუბიექტის ქცევას და, შესაბამისად, დაკავშირებულია მისი პიროვნების სტრუქტურასთან.
კვლევის საგანია გამოჩენილი უკრაინელი კომპოზიტორისა და მუსიკოლოგის მიროსლავ სკორიკის (1938-2020) შემოქმედება. მისი კარიერის დასაწყისი უკავშირდება სამოციან წლებს, მხატვრულ და პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო XX საუკუნეში უკრაინული ხელოვნების განვითარებისთვის, რომელმაც მრავალი ხელოვანი გააერთიანა გამოხატვის თავისუფლების ძიებაში. სამოციანი წლების კომპოზიტორები აქტიურად ეცნობოდნენ დასავლეთ ევროპის ავანგარდის წარმომადგენლების მხატვრულ მისწრაფებებს, მაგრამ მსგავსი ინტერესი არ ამოძრავებდა სკორიკს. მისი მუსიკის სტილის დომინანტური თვისებებია: უკრაინული ფოლკლორისთვის დამახასიათებელი მელოდიის გარდასახვა, ჯაზით გატაცება და პოლისტილისტიკისკენ მიდრეკილება.



## თამარ ჟვანია
## Tamar Zhvania

საქართველო
Georgia

პიანისტი, სამუსიკო ხელოვნების დოქტორი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ პროფესორი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის, „ნიჭიერთა ათწლედის“ პედაგოგი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით (პროფესორ ნანა ხუბუტიას კლასი). DAAD-ის სტიპენდიით 2005 წელს გაემგზავრა გერმანიაში, სადაც გაიარა სტაჟირების კურსი დიუსელდორფის რობერტ შუმანის სახელობის კონსერვატორიაში. მოპოვებული აქვს: 2006 წელს ვენის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსზე პირველი პრემია და ვენის მერის პრიზი; 2008 წელს ბიალიშტოკის (პოლონეთი) საფორტეპიანო დუეტების IV საერთაშორისო კონკურსზე საპატიო დიპლომი პიანისტ ნინო ჟვანიასთან ერთად.არის კონსერვატორიის თანამედროვე მუსიკის ანსამბლის თანახელმძღვანელი; თანამედროვე მუსიკის ანსამბლის, Georgia Modern-ის წევრი. ეწევა აქტიურ სამეცნიერო და საკონცერტო მოღვაწეობას. 2022 წელს ნინო ჟვანიასა და ეკა ჭაბაშვილთან ერთად გამოსცა წიგნი „მხატვრული კვლევა, ფილოსოფია და პრაქტიკა“.

### ინტერდისციპლინური გამოწვევები კლასიკური მუსიკალური განათლების სისტემატიზაციის პროცესში

თანამედროვე განვითარებული სამყაროს მთავარი პრიორიტეტი უწყვეტი საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფა და მისი ხელმისაწვდომობაა. ინტერნაციონალიზაცია, ინკლუზიური სწავლება, ინტერდისციპლინური თანამშრომლობითი პროექტების აქტუალობა, კვლევითი კომპონენტის აუცილებლობა სწავლის გარკვეულ საფეხურზე – ეს თანამედროვე განათლების პრიორიტეტებია. სისტემატიზაციის პროცესი მიმდინარეობს ხარისხის მექანიზმების დანერგვით უმაღლეს სამუსიკო განათლებაშიც. ამ პროცესმა ახალი ინტერდისციპლინური თანამშრომლობის შესაძლებლობები და იმავდროულად, ახალი გამოწვევები შეუქმნა სამუსიკო განათლების ყველა საფეხურს და ყველა სფეროს.
მოხსენება განიხილავს, თუ რამდენად ყოვლისმომცველია სისტემატიზაციის პროცესი უწყვეტი სამუსიკო განათლების კუთხით; რა ცვლილებებს განიცდის მუსიკის სფეროს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლის აღზრდის პროცესი; რამდენად ორგანულია განათლების სისტემის დღევანდელი პრიორიტეტები ტრადიციასა და მემკვიდრეობითობაზე დამოკიდებულ სამუსიკო განათლებისთვის; რა ტიპის პერსპექტივებს და რა გამოწვევებს აწყდება სამუსიკო განათლება ამ ახალი საგანმანათლებლო პრიორიტეტების ფონზე.

Pianist, Doctor of Musical Arts, assistant professor at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (Chamber Music Department) and teacher at Tbilisi Z. Paliashvili Central Music School for Talented Children. She was awarded Bachelor's and Master's degrees at V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire (class of Professor N. Khubutia). As a DAAD grant holder, she studied in Germany at the R. Schumann-Hochschule Düsseldorf (class of C. Beldi). She is the winner of the First Prize and Special Prize of the Mayor of Vienna at the Vienna International Piano Competition (2006). Tamar also was awarded the Diploma of Honor at the IV Bialystok International Piano Duo Competition in 2008 (together with pianist Nino Jvania). Tamar Zhvania is a co-director of Tbilisi Conservatoire Contemporary Music Ensemble. She has given masterclasses and public lectures at conservatories and music academies in Batumi, Helsinki, and Gdansk. She is active as both a pianist and musicologist and participates in international festivals and conferences. Tamar has published articles in various national periodicals. 2019-2022 she participated in a research project financed by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, conducting together with pianist Nino Jvania and composer Eka Chabashvili one of the first artistic researches in Georgia. The final result of the research — the book (incl. DVD) "Artistic Research: Philosophy and Practice" was published in February 2022. As a solo performer, a member of the piano duo Zhvaniasisters and ensemble Georgia Modern Tamar gives concerts at both the national and international levels.

### Interdisciplinary challenges in the process of systematizing classical music education

The main priority of the modern developed world is the provision of a continuous education system and its availability. Internationalization, inclusive education, the relevance of interdisciplinary collaborative projects, and the need for a research component at a certain level of education — these are the priorities of modern education. The process of systematization is ongoing in higher music education as well with the introduction of quality mechanisms. This process has created new opportunities for interdisciplinary cooperation and, at the same time, new challenges for all levels and all areas of music education.
The paper examines how comprehensive the process of systematization is in terms of lifelong music education; What changes the process of raising representatives of different professions in the field of music undergoes; How organic are the current education system priorities for music education considering the importance of tradition and heredity in music education; What types of perspectives and challenges music education faces in light of these new educational priorities.

## ნინო ჟვანია
## Nino Jvania

საქართველო
Georgia



Pianist, PhD, Associate Professor. After graduating from Tbilisi Conservatoire, she went to Germany to study at the R.Schumann-Hochschule Düsseldorf. Her interest in contemporary music led her to participations in Stockhausen-courses and prizewinning performances at the Orléan International Piano Competition. She was the grant holder of the Ensemble Modern. Her interest in contemporary music determined also her research activity: she is the (co)author of several scholarly works and two monographs on contemporary piano performance and artistic research practice. Nino is also the co-founder of New Music Ensemble Georgia Modern. 2010 and 2013 Nino was a visiting professor and scholar at New England Conservatory and New York University.

### Visualisation of Piano Performance in the Context of Scenic Music (K. Stockhausen's "Luzifers Traum" and E. Chabashvili's "The Sound and the Fury")

The purpose of the present paper is to explore some relatively new aspects of contemporary piano performance related to various attempts at the enrichment of instrumental music with visual and theatrical elements in the 20th and 21st centuries. The main task of the paper is to determine what impact this tendency makes on piano performance. One of the best ways to achieve this goal is to analyse particular examples. For this purpose, two works were selected: LUZIFERs TRAUM, oder KLAVIERSTÜCK XIII by the 20th-century German composer Karlheinz Stockhausen from his opera cycle LICHT and "The Sound and the Fury" for piano and holographic theatre (a musical re-telling of the novel by William Faulkner) by the contemporary Georgian composer Eka Chabashvili. In both works, composers of different generations and national schools use the method of visualization of the musical process related, to particular extant, to traditions of scenic music, but in each case, the visualization has different backgrounds. A comparative discussion of these backgrounds will make it possible to provide a general picture of the so-called theatricalization of piano performance and reveal a pianist's extended functions.

პიანისტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა გერმანიაში რობერტ შუმანის სახელობის კონსერვატორიაში სასწავლებლად. თანამედროვე მუსიკისადმი ინტერესმა განაპირობა მისი მონაწილეობა „შტოკჰაუზენის კურსებსა" და ორლეანის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსში (2003), სადაც ის მეორე პრემიით დაჯილდოვდა. იგი იყო Ensemble Modern-ის სტიპენდიანტი. თანამედროვე მუსიკისადმი ინტერესმა განსაზღვრა მისი სამეცნიერო საქმიანობაც: ნინო არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის (თანა)ავტორი, რომელთა შორისაა ორი მონოგრაფია თანამედროვე საფორტეპიანო შემსრულებლობისა და მხატრვულის კვლევის პრაქტიკის შესახებ. ნინო ასევე არის თანამედროვე მუსიკის ანსამბლის Georgia Modern-ის თანადამფუძნებელი. 2010 და 2013 წლებში იგი იყო ნიუ-ინგლენდის კონსერვატორიისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

### საფორტეპიანო შემსრულებლობის ვიზუალიზება სცენური მუსიკის კონტექსტში (კ. შტოკჰაუზენის „ლუციფერის სიზმარი" და ე. ჭაბაშვილის „ხმაური და მძვინვარება")

წინამდებარე მოხსენების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, თანამედროვე საფორტეპიანო შემსრულებლობის შედარებით ახალი ასპექტების კვლევა. ეს ასპექტები დაკავშირებულია ინსტრუმენტული, მათ შორის – საფორტეპიანო მუსიკის თეატრალიზების არაერთ მცდელობასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს XX-XXI საუკუნეების მუსიკაში. მომხსენებლის მთავარი ამოცანაა, დაადგინოს, რა სახის გავლენა მოახდინა ამ ტენდენციამ საფორტეპიანო შემსრულებლობაზე, როგორ აისახა ის პიანისტის ფუნქციების გაფართოებაზე. ყველაზე ოპტიმალურად კი ეს ჩანს კონკრეტული მაგალითების განხილვისას. ამ მიზნით შეირჩა ორი სანიმუშო ნაწარმოები: XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის კარკლჰაინც შტოკჰაუზენის „ლუციფერის სიზმარი, ანუ XIII კლავირშტუკი" მისი საოპერო ციკლიდან „ნათელი" და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლის ეკა ჭაბაშვილის „ხმაური და მძვინვარება". ორივე საფორტეპიანო ნაწარმოებში სხვადასხვა თაობისა და ეროვნული სკოლის წარმომადგენელი კომპოზიტორები მიმართავენ მუსიკალური პროცესის ვიზუალიზების ხერხს, ოღონდ ვიზუალიზაციას სხვადასხვა წინაპირობა აქვს. სწორედ ამ წინაპირობების შედარებითი განხილვის შედეგად შესაძლებელი ხდება საფორტეპიანო შემსრულებლობის თეატრალიზების ზოგადი სურათის წარმოჩენა და პიანისტის გაფართოებული ფუნქციების გამოვლენა.



ბაია ჟუჟუნაძე
Baia Zhuzhunadze

საქართველო
Georgia

თსუ-ს კულტურის კვლევების პროგრამის დოქტორანტი; მუსიკოლოგიის მაგისტრი. თსკ-ს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი; ფონდ „ქართული გალობის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. არის 15 საერთაშორისო კვლევითი პროექტის მონაწილე; ქართული ხალხური მუსიკის აუდიოალბომების შემდგენელი. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროა ქართულ და მეზობელ მუსიკალურ კულტურებს შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთქმედების საკითხები.

### მესხური მუსიკალური დიალექტის ინტერდისციპლინარული კვლევის საკითხისათვის

თანამედროვე ეთნომუსიკოლოგია ტრადიციული მუსიკის შესწავლის ამოსავლად ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგის ალან მერიამის მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას – ტრადიციული მუსიკის სოციალურ-კულტურულ კონტექსტში შესწავლას მიიჩნევს, რაც ზეპირი ტრადიციის მუსიკის მუსიკალური და სოციალური სტრუქტურის კვლევას ითვალისწინებს. ქართული მუსიკალური დიალექტებიდან, სოციალურ-კულტურული პროცესების მრავალფეროვნებით მესხური მუსიკალური დიალექტი კვლევის მეტად საინტერესო ობიექტია.

ოსმალეთის იმპერიის სამ საუკუნოვან ბატონობის პერიოდიდან მოყოლებული, ვიდრე 1944 წელს მუსლიმი მოსახლეობის მასობრივ გადასახლებამდე, მულტიკულტურული გარემო, რომელშიც მესხებს უხდებოდათ ცხოვრება, განაპირობებდა ტრანსნაციონალიზმს, რომელიც არა მარტო მათი მუსიკისთვის, არამედ ზოგადად, მათი ცხოვრების წესისთვისა და გამოხატვის არამუსიკალური ფორმებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მესხეთის მულტიკულტურული მემკვიდრეობა, რაც დღევანდელი გადასახედიდან ამ კუთხის კულტურულ სიმდიდრეს წარმოადგენდა, საბჭოთა მართველობის პერიოდში მასიური გადასახლებებით საგრძნობლად შემცირდა, ნაწილი კი სრულიად გაქრა.

მოცემული მოხსენება მიზნად ისახავს მესხური მუსიკალური დიალექტი განიხილოს ისტორიულ-ეთნომუსიკოლოგიურ ჭრილში, წარმოაჩინოს ის პროცესები, რამაც ამ ტრადიციაში მრავალხმიანობის ქრობა და მონოფონიურობის გაბატონება განაპირობა.

კვლევა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა, რომელიც აერთიანებს კულტუროლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ეთნომუსიკოლოგიურ, ისტორიულ მეთოდებს.

რამდენადაც მესხური მუსიკალური დიალექტი დღემდე არ გამხდარა კვლევის საგანი სოციალურ-კულტურული პროცესების ჭრილში, მოცემული მოხსენება საკითხის დასმის პირველი მცდელობაა.

Ph.D candidate in cultural studies at Tbilisi State University. Holds Master's degree in musicology. Specialist at the International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire. PR manager at Georgian Chanting Foundation. She is a participant of 15 international research projects, compiler of Georgian folk music CDs. Her scholarly interest is focused on the interrelation and interaction of Georgian and adjacent musical cultures.

Panel Presentation
With Rusudan Tsurtsumia

### For the Interdisciplinary research Issue of Meskhetian Musical Dialect

Modern ethnomusicology considers the methodology proposed by the well-known American anthropologist Alan Merriam as the origin of the study of traditional music – the study of traditional music in the social-cultural context, which considers the study of the musical and social structure of the music of the oral tradition. Among the Georgian musical dialects, the Meskhetian musical dialect is a very interesting object of research due to its diversity of social-cultural processes.

From the three-century period of Ottoman rule until the mass exodus of the Muslim population in 1944, the multicultural environment in which the Meskhs had to live led to a transnationalism that characterized not only their music, but also their way of life and non-musical forms of expression in general. The multicultural heritage of Meskheti, which from today's point of view represented the cultural richness of this region, was significantly reduced during the Soviet rule due to mass emigration, and some of it completely disappeared.

This paper aims to discuss the Meskhetian musical dialect from a historical-ethnomusicological point of view. To present the processes that led to the disappearance of polyphony and the predominance of monophony in this tradition.

The research is interdisciplinary in nature, combining cultural, anthropological, ethnomusicological, historical methods.

Since the Meskhetian musical dialect has not been the subject of research in terms of social-cultural processes, this report is the first attempt to discuss the issue.



## ვალენტინა რედია
## Valentina Redya

უკრაინა
Ukraine

Doctor of Arts hab., Professor of the National Music Academy of Ukraine (Kyiv). Dr. Redya's professional interests include history of art culture, music and cultural studies, genre and stylistic processes in the art of music, music critics. She is the author of two monographs, "Music in the Cultural Composition of the Silver Age" (2006), "There Are Subtle Powerful Connections": Integrative Processes in the Music of Silver Age (2010); over 80 scientific articles on issues of classical and modern music, music education, methodic course books. Dr. Redya takes part in musicology forums, conferences, internet projects in Ukraine and abroad.

### "I am writing poems to music..." Intermedial connections in Mykola Bazhan's poetic cycle "Night Concerts"

Contemporary intermedia art studies are mainly based on the principles of interdisciplinary research, which has intensively emerged and is demonstrating the need for modern comprehension of arts' interaction. It is necessary to project interdisciplinary methods on the direct analysis of art works, which makes it possible to reveal the hidden resources of various types of art.

Mykola Bazhan is one of the most musical Ukrainian poets, whose work is literally permeated with intermedia; his poetic variations on music themes are numerous. The lyric cycle "Night Concerts" is among them, with its "heroes" being composers, performers and the poet's favorite musical works: Schubert's "Unfinished" symphony, Sibelius' Valse, Villa-Lobos' "Bachianas Brasileiras", Grabovsky's symphony "Night on Ivan Kupala," etc).

მუსიკოლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი. კონსერვატორიაში კითხულობს რამდენიმე საავტორო და სპეც-კურსს. მისი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია კულტურათაშორისი ურთიერთობის, ქართული მუსიკის, მულტიკულტურალიზმისა და ეროვნული იდენტობის, ტოტალიტარიზმის, მუსიკის სემიოტიკის, მუსიკალური თეატრისა და სხვა პრობლემატიკასთან. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით არაერთი სამეცნიერო პროექტია განხორციელებული. არის რეცენზირებადი/რეფერირებადი სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის „მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია" მთავარი რედაქტორი; თბილისის სახ. კონსერვატორიის სადოქტორო პროგრამის „მუსიკოლოგიური კვლევების" ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრი.

### ხელნაწერები არ იწვიან

ნებისმიერი ეროვნული კულტურის ისტორიაში კლასიკურ მემკვიდრეობად აღიარებულ ხელოვნების ნიმუშებს და მათ ავტორებს განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ. ხშირია, როდესაც დროს თავისი კორექტივები შეაქვს და კლასიკად აღიარებული ნაწარმოების გადაფასება ხდება, მაგრამ ამისათვის როგორც მინიმუმ, ისტორიამ სანოტო ტექსტის ხელნაწერი ან ჩანაწერი უნდა შემოგვინახოს.
მოხსენება ეძღვნება ქართული მუსიკის კლასიკოსის, ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი არაყიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავს და მასში განიხილება კლასიკად აღიარებული ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე" რედაქციები და მისი კლავირის გამოცემის პრობლემური საკითხები.
ოპერის პრემიერა შედგა 104 წლის წინ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელობის ხანმოკლე პერიოდში 1919 წლის 5 თებერვალს და დიდი რეზონანსი ჰქონდა. მას შემდეგ ოპერა რამდენჯერმე დაიდგა სცენაზე, შეიქმნა სხვადასხვა, მათ შორის ავტორისეული რედაქციები. ის შეტანილია ქართული მუსიკის ისტორიის ყველა არსებულ სახელმძღვანელოში, როგორც ქართული კლასიკური მუსიკის ნიმუში. მაგრამ ოპერის არც კლავირი და არც აუდიოჩანაწერი დღემდე არ გამოცემულა. და რაც მთავარია, ოპერის პარტიტურის სრული ვერსია არსად იძებნება.
მოხსენებაში მოთხრობილია არაყიშვილის ოპერის მრავალრიცხოვანი რედაქციების და ხელნაწერის საფუძველზე მომზადებული კლავირის პირველი გამოცემის მომზადების ისტორია 2023 წელს.



გვანცა ღვინჯილია
Gvantsa Ghvinjilia

საქართველო
Georgia

მუსიკოლოგი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. ზ. ფალიაშვილის და საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი. Erasmus + პროგრამის „მობილურობა+“ პროექტის ფარგლებში იმყოფებოდა ბელგიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავს: ინტერდისციპლინური კვლევები, რუსეთის ანექსიის შედეგები ქართულ მუსიკაში; ქრისტიანული სემანტიკა და მუსიკა; პოსტ-ჰუმანიზმი ხელოვნებაში; ეკო-მუსიკა; მულტიმედიური მუსიკა. იგი არის 50 სამეცნიერო შრომის ავტორი და სისტემატიურად მონაწილეობს ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.

### რიჰარდ ვაგნერის მუსიკალური დრამის ზეგავლენა თომას მანის ლიტერატურაზე

თომას მანი, რომელმაც საჯაროდ დააფიქსირა ვაგნერის „მსგავსი შემოქმედების“ შექმნის სურვილი ლიტერატურის სფეროში, მუსიკით ყველაზე შეპყრობილ მწერლად ითვლება. სტატიის განხილვის მიზანია დაასაბუთოს მწერლის ვაგნერის მუსიკაზე ორიენტირების მიზეზი, ის, თუ რატომ განსაზღვრა ვაგნერის მუსიკალურ იდეებზე კონცენტრირებამ თომას მანის სამყაროს ხედვის ამგვარი ტევადობა, მრავალშროვანი დრამატურგია; არის თუ არა მანის სრულიად უნიკალური სამწერლობო სტილი მხოლოდ ვაგნერის გავლენის შედეგი თუ უფრო გლობალური პროცესის გამოხატულება – ეპოქალურად განპირობებული მოვლენა? კვლევის საგანია მანის შემოქმედებაზე ვაგნერის მუსიკალური აზროვნების გავლენის შესწავლა, რისთვისაც გამოყენებულია ემპირიული, კომპარატიული და ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები. მეთოდოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანია ს. ბოლდექის, რ. ფრათის, დ. ნეგის, ი. იანის, ნ. ჭოლაძის შრომები.

სტატიაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები: ლიტერატურის მუსიკალური ტერმინებით ანალიზის მანისეული მეთოდი; ვაგნერის მუსიკალური დრამის იდეით შთაგონებული თომას მანის ახალი ჟანრული მოდელი – ანტირომანის და ეპიკური რომანის სახით; ვაგნერის მუსიკალური დრამების სტილური და ფორმაქმნადი ელემენტების გავლენა მანის ლიტერატურაზე; ვაგნერის დრამებში ფსიქოლოგიის და მითოსის შერწყმის ტენდენციის გავლენა მანზე; შინაგანი სულიერი პროცესების, ინტროსპექტულობის დომინირება ვაგნერის დრამებში, როგორც ნარატივის ინტერნალიზების და შინაგანი დიალოგის ტექნიკის გამომუშავების ინსპირაცია მწერლის რომანებში; ვაგნერის ლაიტმოტივური სისტემის გავლენა მანის ნაწარმოებებში ასოციატური კავშირების ტექნიკაზე, რაც მწერალმაც არაცნობიერის გადმოცემის ხერხად აქცია და სხვა.

იმდენად რამდენადაც, თომას მანის შთაგონების წყარო არა ვაგნერის მუსიკის ცალკეული მახასიათებლები, არამედ მხატვრული აზროვნების მთელი სისტემაა, სტატიის აქტუალობას განაპირობებს სწორედ ვაგნერის მუსიკის მანის ნააზრევზე გავლენის კომპლექსური შესწავლა.

Musicologist, a member of the Georgian Composer's Union. Member of the Academic Council and Chairman of the Dissertation Committee of the Tbilisi State Conservatoire. The lecturer at Theatre and Film Georgia State University. She has received the Scholarships of the President of Georgia and Z. Paliashvili. Within the framework of the Erasmus + program "Mobility+" project, she visited Belgium, France, and Poland. Her scientific interests are connected with: interdisciplinary studies; consequences of Russian annexation in music; Christian semantics and music, post-humanism in art; eco-music; multimedia music. She is the author of 50 scientific papers and systematically participates in national and international conferences.

### Influence of Richard Wagner's Music Drama on Thomas Mann's Literature

Thomas Mann is considered the writer most obsessed with music. The purpose of the article is to substantiate the reason for the writer's focus on Wagner's music, which determined the huge capacity of Mann's vision of the world and his multi-layered dramaturgy.

The subject of the research is to study the influence of Wagner's musical thought on Mann's literature, for which empirical, comparative, and interdisciplinary research methods are used. From a methodological point of view, S.Bolduc, R.Pratt, D.Nagy, U.Jung's works are important.

The article discusses the following: Mann's new genre model – the anti-novel – inspired by Wagner's musical drama; influence of stylistic and formative elements of Wagner's music on Mann's literature; influence of Wagner's tendency to merge psychology and mythos on Mann's oeuvre; dominance of inner spiritual processes in Wagner's dramas, as an inspiration for developing the technique of inner dialogue and internalization of the narrative in the writer's novels; influence of Wagner's leitmotif system on the writer's technique of associative connections.

As not only the individual characteristics, but the whole system of artistic thought of Wagner's music became a source of inspiration for Mann, the relevance of the article is conditioned by the complex study of Wagner's influence on Mann.



## სვიტლანა შჩელკანოვა
## Svitlana Shchelkanova

უკრაინა
Ukraine

Svitlana Shchelkanova, PhD in Art (2022), Lecturer at the Department of Interpretology and Music Analysis in Kharkiv I.P. Kotlyarevsky National University of Arts, Ukraine.
Graduated from Kharkiv I.P. Kotlyarevsky National University of Arts in 2015 as a musicologist. Studied at the Postgraduate Department of Kharkiv I.P. Kotlyarevsky National University of Arts from 2016 to 2020. The topic of the dissertation for obtaining the degree of Doctor of Philosophy is "Poetics of early symphonies of Valentin Silvestrov" (2022).
The field of scientific interests is related to the study of the value bases of the contemporary musical art of the 20th-21st centuries.

### Early Symphonies by Valentin Silvestrov as a Sound Universe: the Ontological Aspects

Early works of Valentin Silvestrov endowed with the features of avant-garde poetics, and as a subject of musicological reflection they are associated with rethinking of the semantic paradigm of the genre.
V. Silvestrov's early symphonies stand out from the classical practice of European symphony. Scientific awareness of their phenomenal nature necessitated a methodological choice aimed at the most accurate identification of the philosophical concept of the new sound universum of V. Silvestrov's music. The purpose of the paper is to define the stylistic value of V. Silvestrov's early symphonies as a sound universum (through dichotomy Musica mundana → Musica humana) based on their cognitive analysis. Each of the composer's symphonies has an original world-view, which every time embodies a different image of the world and a human being. This is manifested at all levels of the system – both the general idea of the work and its structure and the latest composition techniques of that time. Deep correlation of the image of a human being as a factor of the symphony poetics (the influence of philosophical concepts of human ontology in the 20th century on the transformation of the genre canon) is taken into account. This refers to the non-musical dimension of the genre semantics. The study of V. Silvestrov's early symphonies reveals a new philosophy of music.

სვიტლანა შჩელკანოვა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (2022) და ხარკივის ი. პ. კოტლიარევსკის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის ინტერპრეტოლოგიის და მუსიკის ანალიზის დეპარტამენტის ლექტორია.
2015 წლიდან 2020 წლამდე სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. 2022 წელს დაიცვა დისერტაცია სახელწოდებით „ვალენტინ სილვესტროვის ადრეული სიმფონიების პოეტიკა" და მოიპოვა დოქტორის ხარისხი.
მისი სამეცნიერო ინტერესები უკავშირდება XX-XXI საუკუნის მუსიკის ღირებულებრივი საფუძვლების შესწავლას.

### ვალენტინ სილვესტროვის ადრეული სიმფონიები, როგორც ჟღერადი სამყარო: ონტოლოგიური ასპექტი

ვალენტინ სილვესტროვის ადრეული ნაწარმოებები ავანგარდული პოეტიკის თვისებებს შეიცავს და, როგორც მუსიკოლოგიური რეფლექსიის საგანი, ჟანრის სემანტიკური პარადიგმის გადააზრებასთან არის ასოცირებული.
სილვესტროვის ადრეული სიმფონიები ევროპული სიმფონიზმის კლასიკური პრაქტიკისგან განსხვავებულია. მათი ფენომენალური ბუნების სამეცნიერო გააზრება მოითხოვს მეთოდოლოგიური არჩევანის გაკეთებას, რომელიც მიზნად ისახავს სილვესტროვის მუსიკის ახალი ბგერითი უნივერსუმის ფილოსოფიური კონცეფციის ძალიან ზუსტ იდენტიფიკაციას. მოხსენების მიზანია კომპოზიტორის ადრეული სიმფონიების, როგორც ჟღერადი უნივერსუმის სტილისტური ღირებულების განსაზღვრა (Musica mundana → Musica humana-ს დიქოტომიის მეშვეობით) მათი შემეცნებითი ანალიზის საფუძველზე. თითოეული ეს სიმფონია ორიგინალურ მსოფლმხედველობას წარმოაჩენს და ყოველ ჯერზე, მსოფლიოსა და ადამიანის ახლებურ სურათს ასხამს ხორცს. ეს გამოხატულია სისტემის ყველა დონეზე – როგორც ძირითადი იდეისა და სტრუქტურისა, ისე თავისი დროის უახლესი საკომპოზიტორო ტექნიკების დონეზე. მხედველობაში მიიღება ადამიანის სახე, როგორც სიმფონიის პოეტიკის ფაქტორი (მეოცე საუკუნეში ადამიანის ონტოლოგიის ფილოსოფიური კონცეფციების გავლენა ჟანრის კანონის ტრანსფორმაციაზე. რაც, თავის მხრივ, ეხება ჟანრის სემანტიკის არამუსიკალურ განზომილებას. სილვესტროვის ადრეული სიმფონიების გამოკვლევა მუსიკის ახალ ფილოსოფიას ავლენს.



## მარიანა ჩერნიავსკა
## Marianna Chernyavska

უკრაინა
Ukraine

პიანისტი, მუსიკოლოგი, პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ხარკივის ი.პ. კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის პრორექტორი და სპეციალური ფორტეპიანოს მიმართულების პროფესორი. ჰ. ელერის სახელობის ტალინის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატი (1987). ეწევა სამეცნიერო აქტივობებს, სახელმძღვანელოების, ორმოცამდე სამეცნიერო სტატიის და სალექციო პროგრამების ავტორია. მონაწილეობს საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში.

### ხელოვნება და ომი: ხარკიველი მუსიკოსების შემოქმედებითი გამოცდილება

მოხსენება ეძღვნება უკრაინელი მუსიკოსების პროფესიულ აქტივობებს ომის განმავლობაში. კერძოდ, მუსიკოსებს ქალაქ ხარიკივიდან, რომელიც გმირულად ებრძოდა და უკუაქცევდა მტრის შემოტევებს ომის პირველი დღიდან დღემდე.
ომი ტრაგედიაა უკრაინისთვის, მაგრამ, პარადოქსია, პარალელური არტისტული კონტრ-რეფლექსიის ზრდა მისმა მოტანილმა უნიკალურმა არტისტულმა სიტუაციამ განაპირობა, რაც ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრების პირობებში არასოდეს გაჩნდებოდა. გამოჩნდა ნაირგვარი შემოქმედებითი პროექტი – კონცერტები, შეხვედრები, კონფერენციები, კითხვის საათები, მრგვალი მაგიდები. მათმა რაოდენობამ წინა წლებისას გადააჭარბა კიდევაც. ყველა ამ ღონისძიების მთავარი თემა უკრაინული ხელოვნების მიღწევებია. კერძოდ, ხარკივში, ესაა ადგილობრივი კომპოზიტორების – ხარკივის ი. პ. კოტლიარევსკის სახელობის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების, ან მათი მუსიკა, ვინც ომამდე, ან ომის განმავლობაშიც მუშაობენ და სწავლობენ აქ.
ომის მიერ შობილი სიტუაცია ხელოვნურ ესთეტიკურ სივრცეს ქმნის – ის შეიძლება ნებისმიერ ადგილას იყოს, თუნდაც ისეთ ადგილზე, რომელიც ნორმალურ, მშვიდობიან დროს, შესაძლოა, ამგვარი აქტივობებისათვის სრულიად შეუფერებლად მიჩნეულიყო. მაგალითად, ხარკივის მეტრო, სარდაფები, მიწისქვეშა პარკინგები. ნიჭიერი მუსიკოსები უკრავენ ქუჩებში, თითქმის დანგრეულ შენობებში, რომლებიც, ცალსახად შეუფერებელი პირობებია მუსიკალური ხელოვნებისათვის. ამგვარი, სიცოცხლისათვის სახიფათო სიტუაცია ხელოვნებაში ესთეტიზებული ხდება და შემოქმედებითობისათვის უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის – არაარტისტული გარემოებების მიუხედავად, არტისტული ღონისძიებები მაინც მიმდინარეობს და ამ ყველაფერს განსაკუთრებული ღირებულება აქვს ადამიანის შინაგანი სამყაროს განსაზღვრის თვალსაზრისით; ხელოვნება სიცოცხლისუნარიანობის და წინააღმდეგობის გაწევის საშუალება ხდება, აწრთობს სულს, ნებისყოფას, იმედს.
ადამიანი, როგორც კრეატული არსება მოწოდებულია თვითრეალიზაციის გზა გამონახოს. ხელოვნებას ხალხის ხსნა შეუძლია, შეუძლია გადაარჩინოს ადამიანის გონება, რომელსაც ომის საშინელებებით მთლიანად მოცვა ემუქრება, შეუძლია აღადგინოს ომით გათელილი ადამიანური ღირსება და სიტუაციური არტისტული მოვლენები ბუნებრივი ადამიანური პროტესტია ომის წინააღმდეგ.

Ukrainian pianist, musicologist, teacher, PhD in Arts, Professor of the Department of special piano, Vice-Rector for Research at Kharkiv I.P. Kotlyarevsky National University of Arts. Laureate of the first prize of H. Eller International piano competition in Tallinn, Estonia (1987). Conducts scientific activity, being the author of scientific manuals on the Music art more than 40 scientific articles, lectures programs. She takes part in International and National scientific conferences.

### Art and War: the creative experience of Kharkiv musicians

The report is devoted to the professional activities of Ukrainian musicians during the war. In particular, the work of musicians from Kharkiv, a Ukrainian city that heroically fought and repulsed enemy attacks from the first day of the war.
The war is a tragedy for Ukraine. However, paradox, it gave rise to an artistic counter-reflection due to unique artistic situations, which not have ever occurred in the conditions of ordinary everyday life. These are various creative projects of all kind – concerts, meetings, conferences, readings, round tables. Their number even exceeded the informational repletion of previous years. The leading topic of these events are achievements of Ukrainian art. In Kharkiv it is, in particular, music of Kharkiv composers – graduates of Kharkiv National University of Arts; who worked here before or are currently working and studying.
Situatedness generated by war creates an artificial aesthetic space – it can be any place, even that completely unsuitable for such actions in normal peaceful times; for example, Kharkiv Subway, basements, underground parkings. Talented musicians play in the streets, near destroyed buildings, in undoubtedly not suitable conditions for musical art. Such a dangerous life situation become aestheticized in art revealing unique opportunities for creativity – despite the non-artistic circumstances, the artistic event is going on. And this has significant value providing a way to comprehend the inner world of human being; the art become a mean of vitality and resistance, bolstering the spirit, willpower, hope.
A person as a creative individual is meant to find a way out for self-realization, despite any obstacles. And, a key to this balance, may be in the social and artistic and aesthetic fulfilment. So, art can save people, save one's mind from being consumed by horrors of war; can restore human dignity, impaired by war. And situational artistic events are a natural human protest to war.



## დევიდ ჩუ
## David Chu

კანადა/ჩინეთი
Canada/China

David Chu is a PhD candidate at Western University, Ontario. He has recently graduated from the University of Oxford with a master's degree in musicology. He is a Leonard Bernstein enthusiast, and his research interests lie primarily in the crossover aesthetics of Leonard Bernstein's music, especially MASS and 1600 Pennsylvania Avenue. He is also interested in the intersection between music and ideology, focusing on a trans-Pacific perspective on music during the (new) Cold War. He served as Assistant Conductor of the Sun Yat-sen University Symphony Orchestra from 2016 to 2020 and has composed and orchestrated a variety of ensembles.

### Communist Notes in the Anti-Communist Spiritual Movement: Maoist Propaganda and the Music of Falun Gong

Founded in mainland China in the early 1990s by Li Hongzhi, the Falun Gong had become hugely influential in the Chinese-speaking world as a new religious movement with a sizable media empire, boasting its touring Shen Yun shows and a symphony orchestra, despite being persecuted by the Communist Party of China. This essay diagnoses unexpected similarities between Maoist propaganda music and the music of Shen Yun (associated with Falun Gong) by examining the function of music within the new religious movement, its musical aesthetics, orchestral music created by Shen Yun, as well as staging and costumes of Shen Yun's touring shows. By comparing Falun Gong's musical practices with quintessential examples drawn from the repertoire of Maoist propaganda music, my observation engenders a historical and cultural investigation of the reasons behind Shen Yun's adoption of Maoist propaganda music for its alleged representation of 'authentic' traditional Chinese culture, as well as the evocation of religiosity through a secular musical form. I argue that Falun Gong's adaptation of Maoist music provided Chinese people disillusioned with Maoism yet aesthetically moulded by Maoist music with a solution to their ideological dilemma while providing the movement itself with an effective way of asserting religious authority through musical performances by adopting the Maoist model. Through the lens of this comparison, my essay challenges prevailing discourses and dichotomous presumptions about the relationship between music, politics, religion and authenticity and exhibits the ongoing tension and interplay between these concepts in the context of the emerging cultural 'New Cold War', where ideological opposition manifests in musical creativity and practices in a surprisingly similar fashion.

დევიდ ჩუ არის ონტარიოს დასავლეთის უნივერსიტეტის დოქტორანტი. მან ახლახან დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით, ის ლეონარდ ბერნსტაინის ხელოვნების თაყვანისმცემელია და მისი ინტერესები, ძირითადად, მდგომარეობს ამ უკანასკნელის მუსიკის, განსაკუთრებით MASS-ისა და 1600 Pennsylvania Avenue-ის ესთეტიკის კვლევაში. ასევე იკვლევს მუსიკისა და იდეოლოგიის ურთიერთქმედებას, დაინტერესებულია ახალი ცივი ომის პირობებში მუსიკის „ტრანსპაციფისტური" განვითარების საკითხებით. 2016 წლიდან 2020 წლამდე მუშაობდა სუნ იატ-სენის (ჩინეთი) უნივერსიტეტის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორის თანაშემწედ, ამ პერიოდში შეთხზა და გააორკესტრა არაიერთი ნაწარმოები.

### კომუნისტური ნოტები ანტიკომუნისტურ სპირიტუალურ მოძღვრებაში: მაოისტური პროპაგანდა და ფალუნგუნის მუსიკა

ჩინეთში 1990-იანი წლების დასაწყისში, ლი ჰონჯის მიერ საფუძველი ჩაეყარა ახალ რელიგიურ მოძრაობას, ფალუნ გონგს, იგივე ფალუნგუნს. ის გახდა უდიდესი გავლენის მქონე ჩინურენოვან სამყაროში, როგორც ახალი რელიგიური მოძრაობა დიდი მედია იმპერიით, თავისი გასტროლებით, „შენ იუნის" შოუებით და სიმფონიური ორკესტრით, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მხრიდან დევნის მიუხედავად. ამ ესეს ფარგლებში დაფიქსირებულია მოულოდნელი მსგავსებები მაოისტურ პროპაგანდისტულ მუსიკასა და შენ იუნის მუსიკას შორის (დაკავშირებული ფალუნ გონგთან). მოხსენება იკვლევს მუსიკის ფუნქციას ახალ რელიგიურ მოძრაობაში, მის მუსიკალურ ესთეტიკაში, შენ იუნის მიერ შექმნილ საორკესტრო მუსიკას, აგრეთვე დადგმასა და კოსტიუმებს შენ იუნის ტურისტული შოუებიდან. მაოისტური პროპაგანდისტული მუსიკის რეპერტუარის კვინტენსენციურ მაგალითებთან ფალუნ გონგის მუსიკალური პრაქტიკის შედარებით ავტორი ისტორიულ-კულტურული რაკურსით იკვლევს, თუ რამ გამოიწვია შენ იუნის მიერ მაოისტური პროპაგანდისტული მუსიკის, როგორც ავთენტური, ტრადიციული ჩინური კულტურის მიღება და როგორ ხდებოდა რელიგიური გრძნობების გაღვიძება სეკულარული მუსიკის მეშვეობით.

ავტორი ამტკიცებს, რომ ფალუნ გონგის მუსიკაში მაოისტური მუსიკის ადაპტაცია დაეხმარა მაოიზმით იმედგაცრუებულ, მაგრამ ესთეტიკურად მაოიზმისავე მუსიკალურ ყალიბში ჩამოყალიბებულ ჩინელებს იდეოლოგიური დილემის გადაჭრაში დაეხმარა, ხოლო თავად მოძღვრებისთვის უზრუნველჰყო ავტორიტეტის მოპოვების ეფექტური გზა მაოისტური მოდელის მუსიკალური წარმოდგენების მეშვეობით.

ამ შედარების ჭრილში, მოცემულ მოხსენებაში ავტორი უპირისპირდება გაბატონებულ მოსაზრებებს მუსიკას, რელიგიას, პოლიტიკასა და ავთენტურობას შორის არსებულ კავშირების შესახებ. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ცივი ომის კონტექსტში ზემოთნახსენებ ცნებებს შორის არსებულ დაძაბულობაზე, რომელიც მუსიკალურ შემოქმედებაში საოცრად მსგავსი ფორმით ვლინდება.



## თამარ ჩხეიძე
## Tamar Chkheidze

საქართველო
Georgia

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საეკლესიო მუსიკის მკვლევარი, მუსიკის თეორეტიკოსი. თბილისის სახ. კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი; გიორგი მთაწმინდელის სახ. გალობის უნივერსიტეტის დეკანი. იკვლევს ქართული გალობის ლიტურგიკულ, ისტორიულ-თეორიულ ასპექტებს, სამუსიკო დამწერლობის სისტემებს. უძღვება მუსიკალურ-თეორიულ და მუსიკალურ-ლიტურგიკულ დისციპლინებს კონსერვატორიასა და გალობის უნივერსიტეტში, ხელმძღვანელობს კვლევებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. იყო მიწვეული პროფესორი ლუბეკის Musikhochschule-ში (2018 წ) და ლისტის მუსიკის აკადემიებში (2019) ლექციათა ციკლით ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის შესახებ. სისტემატიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „ქართული გალობის ჭრელები" (2022); „ქართული საეკლესიო მუსიკის თეორიული საფუძვლები" (2018); არის მრავალი სამეცნიერო პროექტის მონაწილე, კრებულის რედაქტორი და შემდგენელი. მათ შორისაა სამგალობლო ტერმინთა ელექტრონული ლექსიკონი (თანაავტორი დ. შუღლიაშვილი); ქრესტომათია ჰარმონიაში (თანაავტორები ი. ჟღენტი, მ. ნადარეიშვილი, 2023);

### საქართველოს არქივებში დაცული ახლადგამოვლენილი წყაროები ქართული გალობის დამწერლობის სისტემების შემდგომი კვლევისთვის

ქართული გალობის კანონზომიერებების კვლევაში აქტუალურია დამწერლობის სხვადასხვა სისტემით (ნევმები, ჭრელები, ევროპული ხუთხაზიანი სისტემა) დაფიქსირებული საგალობლების კომპატრატული შესწავლა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ ფონდებში გამოვლინდა XIX საუკუნის ხელნაწერი, რომლის ფურცლებზე მოცემულია ლიტურგიის უმნიშვნელოვანესი საგალობლის „რომელი ქერაბინთას" რვა ვარიანტი, რვა განსხვავებული ჰანგით. ეს ხელნაწერი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენთვის ნაცნობ წყაროებს შორის ერთადერთია, სადაც ერთდროულად, ნევმური დამწერლობით და ჭრელების სისტემით გადმოიცემა საგალობლის მუსიკალური ჰანგი. ხელნაწერში დაფიქსირებული რვა ხმის „რომელი ქერაბინთას" ამავე საგალობლის ნოტირებულ ვერსიებთან შედარება დამწერლობის სისტემების კანონზომიერებების შესწავლის ახალ პერსპექტივებს ქმნის. ხელნაწერი გარეჯის მრავალმთის მონასტერის კუთვნილებაა, რაც ამ წყაროს მნიშვნელობას ზრდის, ქართული გალობის სამონასტრო სკოლების ტრადიციების შესწავლის მიმართულებით.

Musicologist, Ph.D. in Art Studies, researcher of Church music and music theory, Professor at Giorgi Mtatsmindeli Chanting University and Dean of the Faculty, Head of the church music department of TSC. She has researched the liturgical, historical, and theoretical aspects of Georgian chanting, unpitched notation, and musical-theoretical problems for many years. Her scientific research was supported by DAAD (2014). She leads musical-theoretical and music-liturgical disciplines and is the supervisor of BA, MA, and Doctoral thesis. She was a guest lecturer at The Lübeck Musickhohschule (2018) and The Liszt Academy of Music (2019)- lectures about the theory of Georgian traditional music; regularly participates at international scientific forums and spreads actively Georgian scientific results among international society; has published up to 50 scientific works, among them, in international editions; is the author of the books: The ornamented "Chreli" Chants of Georgian Chanting"; "Theoretical Basis of Georgian Church Music'' (Lectures, 2018); E-Dictionary of Chanting Terms (co-author D. Shugliashvili, 2015); "Chrestomathy on Harmony" (co-authors I. Zghenti; M. Nadareishvili, 2023); is the participant of many scientific projects, editor and compiler of the collection.

### Newly discovered sources preserved in the archives of Georgia for further study of the writing of Georgian chants

A comparative study of hymns transmitted by different writing systems (Nevmes, Chreli, Staff notation) is relevant for studying the features of Georgian chants. The manuscript of the 19th century was found in the funds kept in the National Archives of Georgia, on the pages of which there are eight versions of the most important hymn of the liturgy – Himn of Cherubikon with eight different melodies. This manuscript is unique, as it is the only source known to us where the hymn's tune is conveyed simultaneously by two different types of unpitched musical notation (neumes and so-called chreli) system. Comparison of various versions of the same hymn opens new perspectives for studying the peculiarities of musical writing systems in the Georgian chanting tradition. The manuscript belongs to the Gareji monastery, which increases this source's importance in studying the practices of the different monastic schools of Georgian singing.



## ეკა ჭაბაშვილი
## Eka Chabashvili

საქართველო
Georgia

Eka Chabashvili, Georgian composer, artistic researcher, doctor of musical arts, associate professor of Tbilisi State Conservatory, co-director of CMDC and organizer of the festival “Women and Music“. Eka is the author of several musical hybrid genres, multi-topophonic composition technique and atomic-nuclear musical system, to which a number of publications are dedicated. She has created new musical instruments – sound/sculpture “KHMA“ and modified piano ModEkAl. She has participated in various international festivals and scientific conferences; She was invited to conduct composition master classes in universities in Georgia, USA and Europe. She is currently studying the eco-system of the sound environment in Georgia and conducting fundamental research in ecomusicology.

### Ecomusicology and Nodar Mamisashvili’s “Sound Ecology Center“.

The sound environment and music itself are part of the Earth’s ecosystem. Therefore, researching its positive or negative impact is important for a clean and healthy environment. In the 70s of the 20th century, scientists from various fields in North America and Scandinavian countries were interested in the study of the sound environment, and the composer Nodar Mamisashvili, who established the “Sound Ecology Center“ in the 90s, investigated similar issues in Georgia.
In 21st century a new field – ecomusicology – has emerged in the field of musical art to study the sound eco-system and various issues related to it. According to the American researcher Aaron S. Allen, “Ecomusicology considers the interconnections between music, culture, and nature.“
TSC researcher-composers conduct fundamental research for Implementation of Ecomusicology in Georgia. The goal of research is, to study the ecosystem of Georgian music in urban and non-urban sound environments through the artistic research ‘sound oases’ and eco-music composition method“.
The presentation will focus on the areas of ecomusicology and interdisciplinary research methods, as well as Nodar Mamisashvili’s Center for Sound Ecology and his opinions. As a conclusion, I will introduce you a brief plan of our ecomusicological artistic research strategy.

ეკა ჭაბაშვილი, ქართველი კომპოზიტორი, მხატვრული მკვლევარი, მუსიკალური ხელოვნების დოქტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, CMDC-ის თანადირექტორი და ფესტივალის „ქალი და მუსიკა“ ორგანიზატორი. ეკა ჭაბაშვილი ავტორია რამდენიმე ახალი მუსიკალური ჰიბრიდული ჟანრის, მულტი-ტოპოფონიური კომპოზიციის ტექნიკისა და ატომურ-ბირთვული მუსიკალური სისტემის, რასაც არაერთი პუბლიკაცია ეძღვნება. შექმნილი აქვს ახალი მუსიკალური ინსტრუმენტები ხმოვანი-ქანდაკება „ხმა“ და მოდიფიცირებული ფორტეპიანო ModEkAl. მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებსა და სამეცნიერო კონფერენციებში; მიწვეული იყო კომპოზიციის მასტერკლასების ჩასატარებლად საქართველოს, აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებში. ამჟამად სწავლობს ხმოვანი გარემოს ეკო-სისტემას საქართველოში და ატარებს ფუნდამენტურ კვლევას ეკომუსიკოლოგიაში.

### ეკომუსიკოლოგია და ნოდარ მამისაშვილის „ბგერითი ეკოლოგიის ცენტრი“

ხმა და თავად მუსიკა დედამიწის ეკოსისტემის ნაწილია. ამიტომ მისი დადებითი თუ უარყოფითი გავლენის კვლევა მნიშვნელოვანია სუფთა და ჯანსაღი გარემოსთვის. ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკასა და სკანდინავიურ ქვეყნებში ხმოვანი გარემოს კვლევით სხვადასხვა დარგის მეცნიერები დაინტერესდნენ, ხოლო საქართველოში მსგავს საკითხებს იკვლევდა კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი, რომელმაც 90-იან წლებში „ბგერითი ეკოლოგიის ცენტრი“ ჩამოაყალიბა.
XXI საუკუნის მუსიკაში ხმოვანი ეკო-სისტემის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების შესწავლისთვის სამუსიკო ხელოვნების სფეროში გაჩნდა ახალი დარგი ეკომუსიკოლოგია. ეკომუსიკოლოგია შეისწავლის ხმოვანების ეკოლოგიას და გზებს, თუ როგორ გამოიყენება ბუნებრივ გარემოში წარმოქმნილი ბგერები მუსიკალურ კომპოზიციაში. ამერიკელი მკვლევარი აარონ ალენის განმარტებით „ეკომუსიკოლოგია განიხილავს მუსიკის, კულტურისა და ბუნების ურთიერთკავშირს“.
მკვლევარ-კომპოზიტორთა ჯგუფმა გადაწყვიტა უფრო ღრმად გაეცნოს ეკომუსიკოლოგიის არსს და შეისწავლოს კვლევის მეთოდოლოგია ფუნდამენტური კვლევის „ეკომუსიკოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა ქართული მუსიკის ეკო-სისტემის შესწავლისთვის“ [გრანტის ნომერი FR-22-8174] ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში;
ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ, მხატვრული კვლევის „’ხმოვანი ოაზისები’ და ეკო-მუსიკის საკომპოზიციო მეთოდი“ მეშვეობით ქართულ მუსიკის ეკო-სისტემის შესწავლა ურბანულ და არაურბანულ ხმოვან გარემოში და მეორეს მხრივ, ეკომუსიკოლოგიური კვლევის მეთოდების დანერგვა ქართულ მუსიკოლოგიაში.
მოხსენებაში ვისაუბრებთ ეკომუსიკოლოგიის მიმართულებებსა და კვლევის ინტერდისციპლინურ მეთოდებზე, ასევე ნოდარ მამისაშვილის „ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის“ და მისი მოსაზრებების შესახებ. ხოლო დასკვნის სახით გაგაცნობთ ჩვენი ეკომუსიკოლოგიური მხატვრული კვლევის სტრატეგიის მოკლე გეგმას.

PARTICIPANTS
მონაწილეები



## ასმათ ჭიბალაშვილი
## Asmati Chibalashvili

უკრაინა
Ukraine

დაამთავრა ოდესის მუსიკის სახელმწიფო აკადემია და სწავლა გააგრძელა კიევის ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკის ეროვნულ აკადემიაში. 2015 წელს მიიღო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის წოდება, 2022 წლიდან – უფროსი მკვლევარია.
ასმათ ჭიბალაშვილი უკრაინის ხელოვნების ეროვნული აკადემიის თანამედროვე ხელოვნების კვლევითი ინსიტიტუტის სამეცნიერო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეა. იგი ასევე კიევის მუსიკის ეროვნული აკადემიის ასოცირებული პროფესორია (თეორიული დისციპლინები). 2016 წლიდან უკრაინის კომპოზიტორთა ეროვნული გაერთიანების, ხოლო 2017 წლიდან – ISCM-ს უკრაინული სექციის წევრია.

### კონცეპტუალური სინთეზი, როგორც საკომპოზიტორო ტექნიკა მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში

მოხსენება ეძღვნება კონცეპტუალური სინთეზის ფენომენს, რომელიც XX საუკუნის II ნახევრიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით მნიშვნელოვან განვითარებას განიცდის. ეს უკავშირდება ხელოვნების სხვადასხვა დარგს შორის საზღვრების გაფერმკრთალების ტენდენციას, რომელიც რელევანტურია მეოცე საუკუნისათვის, ხოლო მუსიკალურ ხელოვნებაში – ნამუშევრის სხვადასხვა პარამეტრის ინდივიდუალიზაციას უკავშირდება.
მოხსენების ავტორი, კომპოზიციის პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, განსაზღვრავს კონცეპტუალურ სინთეზს, როგორც თანამედროვე საკომპოზიტორო ტექნიკის ტიპს, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ინოვაციური იდეების დანერგვაში, ნაწარმოებში არამუსიკალური ფაქტორების ჩართვის მეშვეობით. კონცეპტუალური ბირთვი, გარკვეული შინაარსობრივი კოდი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების მთავარ დრამატურგიულ და ფორმაქმნად ასპექტებს და ხორცშესხმულია ხელოვნების ერთი დარგის საზღვრებს მიღმა გადაბიჯებით, ნაწარმოების სტრუქტურასთან დაკავშირებით განმსაზღვრელ როლს ასრულებს.
დღეს, ახალი ტექნოლოგიების წყალობით, კონცეპტუალური სინთეზი ხარისხობრივად ახალ დონეზეა რეალიზებული. ტექნოლოგიები წარმოადგენენ ერთგვარ ინსტრუმენტებს, საშუალებებს, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორც ქმნადობის მეთოდზე, ისე ნაწარმოების პრეზენტირების მეთოდზე. ამგვარად, თანამედროვე კომპოზიტორის ძიებები მიზნად ისახავს აუდიტორიასთან ინტერაქტიულ ურთიერთქმედებას და ტრადიციული კომუნიკაციური მოდელების განახლებისაკენ მივყავართ.

Graduated from the Odessa State Academy of Music and completed her post-graduate studies at the Tchaikovsky National Academy of Music in Kiev (2010). In 2015 received PhD in Art Studies, since 2022 has been a Senior researcher
Asmati Chibalashvili is a deputy director for scientific affairs of the Modern Art Research Institute of the National Academy of Arts of Ukraine and Associate Professor (Theoretical Disciplines) at the Kyiv National P.I. Tchaikovsky Music Academy; as well as a member of the National Union of Composers of Ukraine (2016) and member of the Ukrainian section of the ISCM (2017).

### Conceptual synthesis as a compositional technique of the end of the 20th – the beginning of the 21st century

The report is devoted to the phenomenon of conceptual synthesis, which in the period of the second half of the 20th – the beginning of the 21st century gained significant development. This is related to the tendency to blur the boundaries between different types of art, which was relevant during the 20th century, and in music art – to the individualization of various parameters of the work.
The author, based on practical experience in composition, defines conceptual synthesis as a type of modern compositional technique that contributes to the implementation of innovative ideas through the involvement of non-musical factors in the work. The conceptual core, a certain content code, which defines the main dramaturgical and formative aspects of the work and is realized through the step beyond the boundaries of one kind of art, became decisive in the structure of the work .
Today, conceptual synthesis is realized at a qualitatively new level thanks to new technologies. They serve as a tool that significantly affects both the methods of creation and the format of the presentation of the work. Thus, modern composer's searches are aimed at interactive interaction with the audience and lead to the renewal of traditional communicative models.



## იური ჯანინი
## Juri Giannini

ავსტრია
Austria

Studied Musicology and Slavic Studies in Cremona and Vienna (PhD), graduating with a monograph on Erwin Ratz's theory of musical form and a dissertation on Hans Swarowsky as translator of opera textbooks. Since 2010 he has been teaching and researching at the Department of Musicology and Performance Studies (University of Music and Performing Arts Vienna). Further: journalistic work, especially on opera, 20th century, jazz, and Eastern European pop, and cultural education programs for children and adults. Current research focus: Issues of interculturality in the didactics of music history; Ideology and (Music) historiography; Relations between Translation Studies and Musicology; Cultural history of music.

### Translating Liszt into a Twist

History of music could also be narrated as a sequence (or better as a rhizome) of translation processes. In this case study I analyse the ways a famous piano composition by Franz Liszt (Lieberstraum Nr. 3 from 1850) was adapted and transformed into a twist by several pop music combos in the 1960s. Being itself a "translation" (the melody of the piano nocturne was first settled by Liszt as a Lied on a poem by Ferdinand Freiligrath), this tune often became material for crossover experiments in the 20th century, for example by Spike Jones and his City Slickers or by Django Reinhard and the Quintette du Hot Club de France. In the 1960s a twist arrangement (Liszt Twist) of the composition spread all over Europe through numerous languages, recordings, and performances by local and international stars and groups. Using methods and suggestions from musicology, translation studies, and cultural studies, this paper focuses on the different textual translations and performances of the twist, questioning if and how the various versions reveal (depending onto its changing cultural, geographical, and political contexts) a divergent approach and relationship to the classical and romantic musical canon of the past.

სწავლობდა მუსიკოლოგიასა და სლავისტიკას კრემონასა და ვენაში (დოქტორანტი), დაწერილი აქვს მონოგრაფია ერვინ რაცის მუსიკალური ფორმის თეორიის საკითხებზე, ხოლო დისერტაცია ჰანს სვაროვსკის, როგორც საოპერო ლიბრეტოების მთარგმნელის, შესახებ. 2010 წლიდან ასწავლის და სწავლობს მუსიკისა და შემსრულებლობის კვლევის კათედრაზე (ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტი). მუშაობდა ჟურნალისტიკაში, განსაკუთრებით ოპერასთან დაკავშირებულ თემებზე, ასევე მე-20 საუკუნის, ჯაზისა და აღმოსავლეთ ევროპის პოპზე და კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ბავშვებისა და მოზრდილებისთვის.
ბოლო დროის კვლევის მიმართულება: ინტერკულტურალიზმის საკითხები მუსიკის ისტორიის სწავლებაში; იდეოლოგია და (მუსიკის) ისტორიოგრაფია; მთარგმნელობითი კვლევებისა და მუსიკოლოგიის ურთიერთკავშირი; მუსიკის კულტურის ისტორია.

### როგორ ითარგმნა ლისტი ტვისტად

მუსიკის ისტორია ისევე შეიძლება იყოს მოთხრობილი, როგორც მთარგმნელობითი პროცესების თანმიმდევრობა (ან როგორც რიზომა). წინამდებარე მოხსენებაში განხილულია გზები, 1960-იან წლებში რამდენიმე პოპ-მუსიკის ანსამბლის მიერ როგორ ადაპტირდა ფრანც ლისტის ცნობილი საფორტეპიანო კომპოზიცია (Lieberstraum Nr. 3 1850 წ.) და როგორ გადაკეთდა ტვისტად.
თავად „თარგმანი" (თავიდან ლისტმა ფორტეპიანოს ნოქტურნის მელოდია გამოიყენა ფერდინანდ ფრეილიგრატის ლექსზე დაწერილ სიმღერაში), მე-20 საუკუნეში ხშირად გამხდარა შერეული ექსპერიმენტების საგანი, მაგალითად, სპაიკ ჯონსისა და მისი City Slickers-ის, ან ჯანგო რაინჰარდის და Quintette du Hot Club de France-ის მიერ. 1960 იან წლებში ამ სიმღერის ტვისტად არანჟირებული ვერსია გავრცელდა მთელს ევროპაში მრავალი ენის, ჩანაწერის, ადგილობრივი და საერთაშორისო ვარსკვლავებისა და ჯგუფების წარმოდგენების მეშვეობით.
მუსიკოლოგიის, მთარგმნელობითი კვლევებისა და კულტუროლოგიის მეთოდების გამოყენებით წინამდებარე ნაშრომი კონცენტრირებულია განსახილველი ნაწარმოების „თარგმანებზე" და ტვისტის ვერსიაზე, ასევე კითხვას სვამს იმის თაობაზე, სხვადასხვა ვერსია (განსხვავებული კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური კონტექსტით) ავლენს თუ არა კავშირს წარსულის კლასიკური და რომანტიკული პერიოდის მუსიკალურ კანონებთან.



პატრიკ ჰუანგი
Patrick Huang

კანადა/ჩინეთი
Canada/China

დასავლეთ ონტარიოს (კანადა) უნივერსიტეტის დოქტორანტი. მისი კვლევა ფოკუსირებულია ძველი ჩინური და ბერძნულ-ლათინურ მუსიკალური სისტემების შედარებაზე, რადგან ამ კულტურებში მუსიკა დაკავშირებულია მათემატიკასთან, ფილოსოფიასთან, ასტრონომიასა და პოლიტიკურ წესრიგთან (ანუ „musica universalis“).

### რატომ შვიდი: სიმბოლიზმი და ნუმეროლოგია ძველ ბერძნულ ლირაში და ადრეულ ჩინურ გუცინში

ანტიკურ ხანაში სხვადასხვა რეგიონში სიმებიან ინსტრუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩინეთში გუცინი დიდი ხნის განმავლობაში მოიხსენიებოდა, როგორც ლიტერატურასთან დაკავშირებული საკრავი, 7 სიმი კი 5 ძირითადი ელემენტისა და ორი ბრძენის სიმბოლოს ასახავდა. თუმცა ძველი მითები და არქეოლოგიური წყაროები ადასტურებენ, რომ გუცინის სიმების რაოდენობა იცვლებოდა „ცინის“ პერიოდში 221 ჩვ. წ. აღ-მდე.
ანალოგიური სცენარი შეინიშნება ბერძნული „ლირას“ (ქნარი) შემთხვევაშიც, პოლიქორდიის ნიშნებს ვხედავთ სიტყვიერ და იკონოგრაფიულ წყაროებში, შემდეგ თანდათან მოხდა ინსტრუმენტის სტანდარტიზაცია და იგი 7 სიმიანი გახდა, რაც უკავშირდებოდა მუზის სახელს და ასევვე ბერძნული მუსიკის თეორიის სხვადასხვა თავისებურებას.
წარმოდგენილ მოხსენებაში პირველ რიგში სხვადასხვა ისტორიული წყაროს შეჯამებით აღვწერ მრავალსიმიანობის ფენომენს და სტანდარტიზაციას ადრეულ ჩინურ გუქინსა და ძველ ბერძნულ ლირას შორის, შემდეგ შევეცდები გავაანალიზო მსგავსება და განსხვავებები, რომლებიც იწვევს სიმების ასეთ სტანდარტიზაციას. და ბოლოს, ორივე ტრადიციის მათსავე კულტურულ კონტექსტში შედარებით გამოვიკვლევ თეორიას და მექანიზმს, რომელიც ამ ყველაფრის მიღმაა ჩამალული.

References:
Maas, M. (1992). Polychordia and the fourth-century Greek lyre. The Journal of Musicology, 10(1), 74-88.
Yang, Y. (2016). Typological Analysis of the Chinese “Qin“ in the Late Bronze Age. The Galpin Society Journal, 137-151.

PhD student at the University of Western Ontario, Canada. His research focuses on the comparative study between Ancient Chinese and Graeco-Latin musical system, as both cultures associate music with mathematics, philosophy, astronomy and political order (i.e. ‘musica universalis’).

### Why Seven: The Symbolism and Numerology in Ancient Greek Lyre and Early Chinese Guqin

String instruments had significant meaning across regions in antiquity. In China, guqin (古琴) is long considered an instrument that symbolised the literati culture, and its seven strings were considered to represent the five basic elements and two sages. However, various earlier myths and archaeological findings revealed that the string number of guqin once varied during the Pre-Qin (before 221 B.C.) period (Yang, 2016). Similar scenario can be observed from the case ancient Greek lyre (λύρα), despite polychordia features can be clearly found in literal and iconographic features (Maas, 1992), the instrument was gradually standardised and became seven-stringed, then associated with the name of muses as well as various features in Greek music theory.
In my presentation, I will first describe the polychordia and standardisation of strings be-tween early Chinese guqin and ancient Greek lyre by summarising various historical sources, then try to analyse them to find the similarities and differences factors that lead to such string standardisation. Lastly, I will compare both traditions within their cultural context, in order to further explore the theory and mechanism that is hidden underneath.

**საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:**

**ნანა შარიქაძე**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

**საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სამეცნიერო პროგრამის ხელმძღვანელი:**

**მაია სიგუა**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი

**სამეცნიერო კომიტეტი: მარიკა ნადარეიშვილი, ზდრავკო ბლაჟეკოვიჩი, პიტერ ჯ. შმელცი**

**ფინანსური ადმინისტრატორი: თეა ტიგინაშვილი**, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

**საკოორდინაციო ჯგუფი: მაკა ვირსალაძე, ნინო თავაძე**

**ტექნიკური უზრუნველყოფა: გიორგი დოროყაშვილი**

**საზოგადოებასთან ურთიერთობა: სოფო ხაჭაპურიძე**

Chair-Person of the Organizing Committee: Nana Sharikadze, Rector of Tbilisi State Conservatoire

Deputy Chair-Person of the Organizing Committee, Head of the Scientific Program:

Maia Sigua, Head of Research Department of TSC

Scientific Program Committee: Marika Nadareishvili, Zdravko Blažeković, Peter J. Schmelz

Financial Administrator: Tea Tiginashvili, Head of Administration of TSC Deputy Head of Administration

Coordinators: Maka Virsaladze, Nino Tavadze

Technical Support: Giorgi Dorokashvili

Public Relationship: Sofia Khachapuridze

*კონფერენციის ორგანიზატორები მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის*

*მადლობას უხდიან:*

კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტს

სასტუმრო „რივერსაიდს“ და დიმიტრი შველიძეს,

*და პირადად ქეთევან ბაქრაძეს, ლია ქართლელიშვილს, ნინი ქუთელიას*

*The conference organizers are most grateful to:*

TSC International Relations Department

Hotel “River Side” and Dimitri Shvelidze,

*and personally to: Ketevan Bakrdaze, Lia Kartlelishvili, Nini Kutelia*

კონფერენცია ტარდება
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიაში

THE CONFERENCE IS HELD AT
THE VANO SARAJISHVILI TBILISI STATE
CONSERVATOIRE

საკონტაქტო ინფორმაცია:
სამეცნიერო კვლევების
კოორდინაციის დეპარტამენტი

გრიბოედოვის 8/10, თბილისი, 0108. საქართველო

Contact details:
SCIENTIFIC RESEARCH
COORDINATION DEPARTMENT

8/10, Griboedov str., Tbilisi, 0108, Georgia

www.tsc.edu.ge
science@tsc.edu.ge
(+995 32) 2 98 71 88

ბუკლეტზე მუშაობდნენ

შემდგენელ-მთარგმნელები: მაია სიგუა, მაკა ვირსალაძე
კონფერენციის ლოგოს დიზაინი: მარიამ პოლტახიენტი
კომპიუტერული დიზაინი: შალვა ცხოვრებაძე, ნინო აფრიამაშვილი

COMPILED BY

Compiler-Translators: Maia Sigua, Maka Virsaladze
Conference Logo Design: Mariam Poltakhienti
Computer Design: Shalva Tskhovrebadze, Nino Apriamashvili